კულტურა, ისტორია, სპორტი და სხვა

„დილა ამ გაზეთის გადაშლით დაიწყეთ...“

# საქართველოს რესპუბლიკა

შპს „საქართველოს რკინიგზა“
The Georgian Railway Ltd

სნსკ
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

ორშაბათი
10 მარტი,
2003 წელი
№63
(4442)

გაზეთი დაარსებულია 1918 წლის 25 ივლისს, აღდგენილია 1990 წელს. ფასი 50 თეთრი.

პრეზიდენტი

## „ერთად ავაშენებთ იმ ქვეყანას, რომელსაც ჰქვია სტაბილური და აყვავებული საქართველო“



**„თქვენ ხართ ჩვენი საზოგადოების საუკეთესო ნაწილი, რომლის თავდადების გარეშეც საქართველო დღემდე ვერ მოვიდოდა. ყველაფერი, რასაც თქვენ აკეთებთ და გააკეთებთ მომავალში, საქართველოს სიძლიერესა და მის ხვალინდელ დღესთან არის დაკავშირებული. მინდა გულწრფელი მადლობა გადაგიხადოთ ამისათვის პირადად ჩემი, საქართველოს ხელისუფლებისა და ხალხის სახელით“, – ამ სიტყვებით მიესალმა საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე 8 მარტს, სახელმწიფო კანცელარიაში წვეულ ქალბატონებს და პირადად გადასცა თითოეულ მათგანს სამშობლოს მაღალი ჯილდო – ღირსების ორდენი.**

საქართველოს პრეზიდენტმა, უწინარეს ყოვლისა, ქალთა საერთაშორისო დღე მიულოცა ღვაწლმოსილ ქალბატონებს, რომელთა შორის იყვნენ პედაგოგები, ჟურნალისტები, კულტურის მოღვაწეები, და აღნიშნა, რომ ბევრ მათგანს იცნობს და იცის მათი დამსახურების შესახებ.

იხ. მე-2 გვ.

თვალსაწიერი

## იმდენჯერ მოგვატყუეს, ძნელია ენდო, მაგრამ შანსი მაინც არის, ხავსი მაშველ რგოლად იქცეს

**განვლილი კვირის ყველაზე წონიანი და შედეგიანი მოვლენა რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტების სოჭის შეხვედრა რომ იყო, ვერც ერთი პოლიტიკური ძალა ვერ უარყოფს, თუმცა, მავანნი მორცხვად ცდილობენ იგი რამენაირად მიჩქმალონ და დააკნინონ.**

სოჭში გამართული შეხვედრის შესახებ ჩვენმა გაზეთმა უკვე მიაწოდა საზოგადოებას ვრცელი და სრული ინფორმაცია, ამიტომ თქმულის გამეორებას არ შევუდგები, მხოლოდ იმაზე გავამახვილებ მკითხველის ყურადღებას, რომ მთელი ამ ათი წლის მანძილზე პირველად გამოკვეთილად ითქვა დევნილთა დაბრუნების მექანიზმზე, ეს პროცესი პირველად „მიება“ იმ ეკონომიკური პროექტის განხორციელებას, რომელიც ესოდენ აუცილებელია აფხაზეთისთვის, ქართველებისთვის და რუსებისთვისაც – რკინიგზის აღდგენას.

ბევრი კომენტარი მოვისმინეთ და წავიკითხეთ ამ დღეებში ტელევიზიით, რადიოთი, პრესით...

ნაწილი მიიჩნევს, რომ დიდ საქმეს ჩაეყარა საფუძველი, როგორც იქნა მკვდარი წერტილიდან იძვრის ლტოლვილთა დაბრუნების საქმე.

ნაწილი კი მიიჩნევს, რომ ეს მოლაპარაკება კვლავ არც არაფერს შეცვლის და არც არაფერს დაიწყებს, რომ ეს ყველაფერი რუსეთს იმისთვის სჭირდებოდა, რომ სოჭი-სოხუმის უკვე გახსნილი სარკინიგზო სამგზავრო (და დაგეგმილი სატვირთო) მიმოსვლიდან ყურადღება სხვაზე გადაეტანა, უფრო მეტიც, დავეთანხმებინეთ მთელი მაგისტრალის ამოქმედებაზე, რომელიც მართლაც „სიცოცხლის გზა“ იქნება რუსეთის სტრატეგიული მოკავშირე სომხეთისათვის, დევნილთა შესვლა კი კვლავ უსაშველოდ გაჭიანურდება...

მშვენივრად მესმის პესიმისტებისა. რუსებმა იმდენჯერ დაგვალალატეს, იმდენჯერ გამოგვდეს სარმა, იმდენჯერ მოგვაღორეს, რომ ძნელია მათი ნდობა, რაგინდ მაღალ დონეზეც იყოს შეთანხმებულ-მოლაპარაკებული.

იხ. მე-2 გვ.

განცხადება

## „60 წუთის“ მეშვეობით კრიმინალურმა სამყარომ ბრძოლა დაიწყო სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ

იხ. მე-2 გვ.

მედიცინა

## რეპორტაჟი საოპერაციო მაგიდიდან

კი, – საოპერაციო მაგიდიდან, მაგრამ იქამდე ჯერ უნდა მიხვიდე.

„მიხვიდე“ – ვაჟკაცურად არის ნათქვამი, – მიგიყვანენ, და თუ ძალიან ზუსტად ვიტყვი, მიგაგორებენ.

მიგორებას უკვე მივეჩვიე: პირველად ონკოლოგიურ ცენტრში იყო, რომ მომამზადეს, რაღაც თეთრები ჩამაცვეს, დამაწვინეს გორგოლაჭებიან საწოლზე და გრძელ დერეფანში, სადაც როგორც ვაგზლის ჩიხში მატარებლის შემადგენლობის ფორმირებისათვის გამზადებული ვაგონები, უკვე რამდენიმე ჩემნაირი ზეწარგადაფარებული პაციენტი თავის რიგს ელოდებოდა.

გამიკეთეს ნემსი, არ ვიცი, რა ინექციაა, მაგრამ კარგ ხასიათზე დასაყენებელიაო.

პატარა ბავშვი შემოიყვანეს, ერთი ბეწო. დედა მინდა და დედა მინდაო! ტიროდა. ძალიან ტიროდა, გული დაგეთუთქებოდა, ისე. მედდას (საოპერაციოს ექთანს?), თვალისმომჭრელი გარეგნობისას, გულში ჰყავდა ჩაკრული და ამშვიდებდა, ეფერებოდა.

იხ. მე-3 გვ.



ლევან ნაჭყებიას ოქროს ხელები.

უკანასკნელ საათს



**ამშ და დიდი ბრიტანეთი ბაღდადის 72 საათში აღებას ვარაუდობენ. სამხედროთა დესანტებს თვითმფრინავებით და შვეულმფრენებით ჩასხამენ უკვე რამდენიმე საათის შემდეგ, რაც პრეზიდენტი ჯორჯ ბუში ერაყში სამხედრო ოპერაციის ბრძანებას გასცემს.**

**„ჰამასმა“ ისრაელის მაღალი თანამდებობის პირებზე ნადირობა გამოაცხადა. პალესტინელთა ორგანიზაცია ვარაუდობს, რომ ეს ისრაელის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციების გაღლას გამოიწვევს.**



ინტერპანორამა

**ინტერპოლმა პერუს ყოფილი პრეზიდენტის ალბერტო ფუხიმორის დაპატიმრების ორდერი გასცა. მას ბრალად ედება კორუფცია, სახელმწიფო სახსრების უკანონოდ გამოყენება, ქვეყნიდან 1 მილიარდი დოლარის გატანა, მძიმე დანაშაულობანი და 25 კაცის მკვლელობა ექსტრემისტული დაჯგუფებების მიერ.**



**უკრაინაში მრავალათასიანი მიტინგი მიმდინარეობს პრეზიდენტ კუჩმას გადადგომის მოთხოვნით. აქციის მონაწილეებს გამოტანილი აქვთ ლოზუნგები: „კუჩმას და მის რეჟიმს – არა“, „ქვეყანას სჭირდება პატრიოტი პრეზიდენტი“, „დიქტატურას – არა!“ და სხვ.**



გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

პრეზიდენტი

# „ერთად ავაშენებთ იმ ქვეყანას, რომელსაც ჰქვია სტაბილური და აყვავებული საქართველო“

(პირველი გვერდიდან)

ამასთან, მან ხაზი გაუსვა, რომ ასევე კარგად იცის, თუ რაოდენ მძიმე პირობებში უხდება ბევრ მათგანს ცხოვრება და მუშაობა. ედუარდ შევარდნაძის განცხადებით, ქვეყანაში უკვე იწყება საკმაოდ დამაიმედებელი პროცესები, თანდათან გამართულად იწყებს მუშაობას ეკონომიკა. ამის ერთ-ერთი დადასტურებაა ის გარემოება, რომ მასწავლებლებს უკვე ორჯერ გაეზარდათ ხელფასები, წლეულს იგივე მოხდება უმაღლეს სასწავლებლებში. რაც შეეხება მინიმალური ხელფასის ხუთჯერ გაზრდას, ედუარდ შევარდნაძის შეფასებით, ეს არარეალური მოთხოვნაა. „ამის გაკეთება რომ შეიძლებოდეს, საქართველოს პრეზიდენტი იქნებოდა პირველი, ვინც ამას მოითხოვდა და განახორციელებდა კიდეც“, — განაცხადა სახელმწიფოს მეთაურმა და აღნიშნა, რომ ამ გზაზე ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა იაროს ქვეყანამ და შექმნას ნიადაგი იმისათვის, რომ „ყველა მოქალაქე იყოს უზრუნველყოფილი და გარანტირებული ჰქონდეს მაღალი ხელფასი“.

ედუარდ შევარდნაძემ ცერემონიის მონაწილეებს გააცნო აგრეთვე ქალაქ სოჭში გამართული უმაღლესი დონის შეხვედრის შედეგები.

დასასრულ, საქართველოს პრეზიდენტმა ხაზგასმით განაცხადა, რომ მომავალი საქართველოს მშენებლობაში თითოეულმა მოქალაქემ უნდა მიიღოს აქტიური მონაწილეობა. „ამ გზით ავაშენებთ იმ ქვეყანას, რომელსაც ჰქვია სტაბილური და აყვავებული საქართველო“, — განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ და ბედნიერება და წარმატებები უსურვა შეხვედრის ყველა მონაწილეს და საქართველოში მცხოვრებ ყველა ქალს.

**საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური.**

განცხადება

# „60 წუთის“ მეშვეობით კრიმინალურმა სამყარომ ბრძოლა დაიწყო სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ

ამ ბოლო პერიოდში სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2“-მა სასამართლო ხელისუფლების მიმართ ცილისწამებისა და დეზინფორმაციის ახალი კამპანია დაიწყო. მართლმსაჯულების მისამართით გამოთქმულმა დაუსაბუთებელმა, სისტემატურმა ბრალდებებმა აშკარა შანტაჟისა და სასამართლოებზე ზეწოლის ხასიათი მიიღო. სიტყვის თავისუფლების პრინციპს ამოფარებული ეს გადაცემები ცალკეული პირების ამბიციებისა და მათი ინტერესების დაკმაყოფილების საშუალებად იქცა. უფრო მეტიც, გადაცემათა თითოეული სიუჟეტი, კომენტარი და ანალიზი მოკლებულია კვალიფიციურ, პროფესიულ და სამართლებრივ შეფასებას. საზოგადოებისთვის უცნობი „იურისტების“ მსჯელობა და სამართლებრივი მეტყველება დილეტანტის დონესაც ვერ აკმაყოფილებს.

ამასთან, ჩვენთვის ცნობილი ხდება გადაცემის ზოგიერთი ავტორისა თუ მათი ნათესავების კრიმინალური წარსული. ყოველივე ამის ფონზე, გასაგებია ასეთი ადამიანების მონდომება, მართლმსაჯულების მიერ მძიმე დანაშაულში მხილებული პირები საზოგადოებას უმწიკვლო პიროვნებებად წარმოუდგინონ და ამით საკუთარი კრიმინალური წარსულის რეაბილიტაცია შეძლონ.

შეიძლება ითქვას, რომ „60 წუთის“ მეშვეობით კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლებმა ბრძოლა დაიწყეს სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ. ამ განცხადების საფუძველს იძლევა ის, რომ „60 წუთი“ მძიმე დანაშაულის ჩადენაში მსჯავრდებულ პირებს: კერესელიძეს, ქობალიას, ბარბაქაძეს და სხვებს უდანაშაულო ადამიანებად წარმოაჩენს და ცდილობს საზოგადოების შეცდომაში შეყვანას.

გვსურს დაბეჯითებით განვაცხადოთ: საზოგადოება დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მას ჰყავს ისეთი სასამართლო ხელისუფლება, რომელიც ამგვარი გადაცემების შიშით სამართალს არ გაამრუდებს.

ვინაიდან სასამართლო ხელისუფლება მოკლებულია შესაძლებლობას, ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის ეთერით მოქალაქეებს ობიექტური ინფორმაცია მიაწოდოს, თავს ვალდებულად ვთვლით, საზოგადოება დავარწმუნოთ, რომ მართლმსაჯულებაზე ზემოქმედების განხორციელება და ამ გადაცემების მიზანი ყოველთვის უშედეგო მცდელობად დარჩება და აღიქმება კრიმინალური წარსულის მქონე პირების მიერ აგრესიის გამოვლენის ერთადერთ საშუალებად.

გადაცემა „60 წუთის“ უკანასკნელი სიუჟეტის ლაიტმოტივი განსაკუთრებული ქღერადობით წარმოთქმული ფრაზები გახდა, რომ თითქოს „უზენაესი სასამართლო „60 წუთს“ უპირისპირდება“. საჯაროდ ვაცხადებთ, რომ უზენაესი სასამართლო ახორციელებს მართლმსაჯულებას და არავითარ პოლიტიკურ თუ სხვა ამბიციურ დაპირისპირებებში არ მიიღებს მონაწილეობას. აქედან გამომდინარე, ამ გადაცემის ავტორებს არ მივცემთ საშუალებას, რომ ხელოვნური დაპირისპირების შექმნით თავიანთი არაკომპეტენტურობა უზენაესი სასამართლოს კვალიფიციურობას გაუტოლონ.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საზოგადოებას გვსურს ვაცნობოთ, რომ:

— საქართველოს უზენაესი სასამართლო მიმართავს საქართველოს გენერალურ პროკურატურას, გადაამოწმოს გადაცემა „60 წუთის“ სიუჟეტები. შეისწავლოს, ხომ არ შეიცავს ისინი სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ნიშნებს და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

— საქართველოში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებს, ვისთვისაც რეალურად ღირებულია დემოკრატიისა და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპები, ვთხოვთ, მხარი დაუჭირონ სასამართლოს დამოუკიდებლობას, როგორც თითოეული ჩვენგანის, მთელი საზოგადოების უფლებათა დაცვის უმნიშვნელოვანეს გარანტს და არავის მისცენ საშუალება, მართლმსაჯულებისადმი უნდობლობის შექმნით საბოლოოდ გაანადგურონ თავისუფლებათა დაცვის ეს რეალური მონაპოვარი, რათა სახელმწიფო საბოლოოდ არ იქცეს ჭორებითა და ინტრიგებით მართულ ორგანიზმად.

— მოვუწოდებთ საქართველოს ყველა მოსამართლეს, კონკრეტული საქმის განხილვისას შეინარჩუნონ ობიექტურობა და მიუკერძოებლობა, ფარული კამერებისა და ცილისწამებათა შიშით არ მოექცნენ მავანთა ზეგავლენის ქვეშ და გადაწყვეტილებები მიიღონ მხოლოდ კანონის საფუძველზე. გარწმუნებთ, რომ უზენაესი სასამართლო იცავს თითოეული თქვენგანის იმიჯსა და რეპუტაციას. მოსამართლეებზე ზეწოლის განხორციელების არც ერთი მცდელობა არ დარჩება ურეაგირებოდ ისევე, როგორც ნებისმიერი საქმის განხილვისას მოსამართლის მიერ დაშვებული კანონდარღვევა.

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრესსამსახური.**

მიმართვა

# თბილისში ვეტერანთა სახლის ასაშენებლად

როგორც ცნობილია, რამდენიმე წლის წინათ, სახელოვანი მამულიშვილის, აწ გარდაცვლილი საბჭოთა კავშირის გმირის, გამოჩენილი არქიტექტორის, პროფესორ ირაკლი ციციშვილის ინიციატივით, კვლავ გახდა ფართო მსჯელობის საგნად და დადებითად გადაწყდა ქ. თბილისში რესპუბლიკური მნიშვნელობის ვეტერანთა სახლის შექმნის აუცილებლობა. ამ წინადადებას მხურვალედ დაუჭირეს მხარი საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ და საქართველოს ხელისუფლების სხვა ხელმძღვანელებმა.

სამწუხაროდ, ქვეყანაში არსებულმა რთულმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ვითარებამ ხელისუფლებას არ მისცა საშუალება ამ დანიშნულებით სათანადო სახსრების გამოყოფისათვის. ამიტომ, შესაბამისმა სტრუქტურებმა თხოვნით მიმართეს საქართველოს მოსახლეობას, რათა მათ შემოწირულობის სახით გამოეყოთ შესაძლო თანხები, ამ საშვილიშვილო მნიშვნელობის მშენებლობის დასაწყებად. ამავე დროს, სახელმწიფო ორგანოებისა და სტრუქტურების ხელმძღვანელებს თავიდან არ მოუხსნიათ ამ საქმეში შესაძლო წილობრივი მონაწილეობის მიღების ვალდებულება.

შემოწირულობათა შემოტანა დაწყებულია, მაგრამ ნელი ტემპით მიმდინარეობს. ამასთან დაკავშირებით საქართველოს ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტმა, ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა საბჭომ, ომის ინვალიდთა და ვეტერანთა კავშირმა და სამხედრო ძალების ვეტერანთა კავშირმა შეადგინეს ახალი მიმართვა, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია:

**„ჩვენო ძმებო, მეგობრებო, სამამულო ომის, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებათა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის და სამხედრო ძალების ვეტერანებო, მწყობრში მდგომო სამხედრო მოსამსახურეებო, ძვირფასო ინტელიგენციავ, საქართველოს სახელმწიფო და კერძო წარმოება-დაწესებულებების, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის სპეციალისტებო, ჩვენო ახალგაზრდობავ, ერთხელ კიდევ გაუწყებთ, რომ უკვე დაწყებულია ფულადი სახსრების შეგროვება ქ.თბილისში ვეტერანთა სახლის ასაშენებლად.**

**ეს იქნება პირველი სახლი, რომელიც ახლო მომავალში მაღალ დონეზე მოემსახურება ქვეყანაში მცხოვრებ სამშობლოს ბედნიერებისა და მისი დიადი მომავლისათვის აქტიურად მებრძოლ, დიდად დამსახურებულ ადამიანებს — მოხუცებსაც და ახალგაზრდებსაც.**

**აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი მოკრძალებული თხოვნაა შესაძლო საქველმოქმედო ფინანსური დახმარება აღმოგვიჩინოთ ამ უაღრესად კეთილშობილური საქმის ღირსეულად შესრულებაში.**

**შეგახსენებთ მისამართს: საქართველოს ომის ვეტერანთა რესპუბლიკური ფონდი.**

**ფონდის რეკვიზიტები: სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკის“ მთაწმინდის ფილიალი. ანგარიში - 000700070; კოდი - 220101505, 380004 ქ.თბილისი, თაბუკაშვილის ქ. 38.“**

**საქინფორმი.**

თვალსაწიერი

# იმდენჯერ მოგვაღორეს, ძნელია ენდო, მაგრამ შანსი მაინც არის, ხავსი მაშველ რგოლად იქცეს

(პირველი გვერდიდან)

მაგრამ არის მომენტი, როცა უნდა დაიჯერო, როცა მოვლენათა ლოგიკა გაიძულებს დაიჯერო.

ახლა სწორედ ეს მომენტია.

რუსეთი აფხაზეთის კონფლიქტის საქმეში, ასე ვთქვათ, არბიტრია (იმას ნუ გამოვეკიდებით, რამდენად მიუმხრობელი და პატიოსანი არბიტრია) და ამ კონფლიქტის გარკვეულად მოწესრიგება (ბუნებრივია, სათავისოდ) მის ინტერესებში შედის.

რუსეთს ძალიან სჭირდება სოჭი-თბილისის სარკინიგზო ხაზი, რომელსაც მარშრუტი ნებისმიერად შეიძლება დაუგრძელო (მოსკოვ-თბილისად, მოსკოვ-ერევნად, საჭიროების შემთხვევაში, — მოსკოვ-ბაქოდ და ა. შ.).

ამიტომ რაღაც „დათმობაზე“ უნდა წავიდეს, რაღაც ნაბიჯი უნდა გადადგას. და აი, დგამს.

რაც შეგვეხება ჩვენ...

დგება ხოლმე ჟამი, როცა მზად ხარ, ნებისმიერ იმედს, ნებისმიერ ხავსს ჩაებღაუჭო.

ოღონდ, მე მაინც ოპტიმისტი გახლავართ და მგონია, რომ ეს ხავსი, თუ გონივრულად გამოვიყენებთ, დიაღაც შეიძლება მაშველ რგოლად იქცეს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი პრეზიდენტი ერთობ იმედიანად დაბრუნდა სოჭიდან, უფრო იმედიანად, ვიდრე აქამდე დაბრუნებულა რუსეთული შეხვედრებიდან. თუმცა, საბოლოო შეთანხმებამდე, ალბათ, მასაც აწუხებს კითხვები, რომლებიც ნებისმიერ ჩვენგანს უტრიალებს: გალის შემდეგ რამდენად მობილურად მოხდება ლტოლვილთა დაბრუნება აფხაზეთის სხვა რაიონებში? კონკრეტულად რა მექანიზმები ამოქმედდება დაბრუნებულთა დასაცავად? ვინ დაუბრუნებს მათ სახლ-კარს, რომლებშიც, უკვე ცხოვრობენ აფხაზები, რომლებსაც, ვთქვათ, საკუთარი გაუნადგურდათ ომის დროს?..

შეკითხვა უამრავია. ღმერთმა ქნას, ყველა მათგანს გაეცეს პასუხი.

ადამიანი იმედით ცოცხლობს. ჰოდა, იმედი ნუ მოგვშლოდეს...

სანამ სოჭში ბატონი ედუარდ შევარდნაძე ქაჯეთის ციხეს ლაშქრავდა, ჩვენს პარლამენტშიც დიდი შერკინება იყო „გაერთიანებული დემოკრატებისა“ და მათი კოლეგების სულსწრაფობით მინიმალური ხელფასის 115 ლარამდე გაზრდის შესახებ მიღებული დადგენილების შესაჩერებლად. შეაჩერეს კიდეც, როგორც უკანონოდ ჩატარებული კენჭისყრის შედეგი. ისე რომ, რამდენად გამოუვათ ხმაურიანი წინასაარჩევნო „გასროლა“ დემოკრატებს, ჯერ კიდევ საკითხავია. ისინი ახლა სხედან და საკონსტიტუციო სასამართლოში შესატან სარჩელს წერენ.

ყველა ისე იკრებს ძალებს საარჩევნოდ, როგორც შეუძლია. ეს სამზადისი ბაზარს დაემსგავსა, სადაც პოტენციური მოკავშირეებია დახლებზე გამოფენილი და არის ერთი აღებ-მიცემობა.

ამ ბაზარში ყველაზე დიდი ფასი შალვა ნათელაშვილს და მის ლეიბორისტებს აძევთ. ჯერჯერობით ისინი ვერ მიიმხრეს ვერც ნაციონალებმა და ვერც დემოკრატებმა. ახლა მას „აღორძინება“ ექაჩება თავისკენ, მაგრამ შალვა ნათელაშვილი კვლავაც „მტკიცედ დგას და სხვაგვარად არ ძალუძს“, რადგან საკმაოდ რეალური შანსი აქვს დამოუკიდებლად გადალახოს 7-პროცენტიანი რუბიკონი და არ აპირებს ვინმეს უღელში თავის გაყოფას. თანაც, კარგად მოეხსენება ერთი უკუღმართი „ტრადიცია“: როგორც კი თავის პარტიიდან ხალხს გაიყვანს ამა თუ იმ არჩევით ორგანოში, იმ ხალხის ნაწილს მაშინვე ღალატის ბაცილა შეეყრება და იმ წუთშივე მოკურცხლავს ხოლმე ბატონ შალვას ლეიბორისტული წიაღიდან.

დანაკლისი ამღორძინებლებმა „XXI საუკუნისა“ და ჭყონდიდელის საზოგადოების მიერთებით შეივსეს. როგორც იტყვიან, ღმერთმა სიკეთეში მოახმაროთ.

ბოლოს და ბოლოს, „გვირგვინი იფსკვნეს“ მოქალაქეებმა და სოციალისტებმა და ერთიანი ბლოკი შექმნეს. მათაც ასევე სიკეთეში მოხმარებოდეთ ერთმანეთი.

ამ ალიაქოთით გაბეზრებული ხალხი კი იხვეწება, ღვთის გულისთვის, იხსენით ქვეყანა, მომავალ პარლამენტში წევრთა რაოდენობა გაანახევრეთ, მაგათი ატანა აღარ შეგვიძლიაო.

მართლაც, წარმოიდგინეთ იდილიური სურათი: საქართველოს პარლამენტში ზის 100-120 დალაგებული, ქვეყნის ბედზე დაფიქრებული, განათლებული, დინჯი და ზრდილი ჯენტლმენი...

**ალეკო ასლანიშვილი.**

მსოფლიო შტრიხებში

# უცნაური განაჩენი

**ძალზე უჩვეულო განაჩენი გამოიტანეს შეერთებულ შტატებში: განსასჯელი 100 საათის განმავლობაში უნდა იდგეს სან-ფრანცისკოს მთავარი საფოსტო სამმართველოს წინ ორმხრივი წითელი პლაკატით, რომელზეც ეწერება: „მე ქურდი ვარ. ეს ჩემი სასჯელია“. შემდეგ მას მოუწევს ორი თვით ციხეში ჯდომა.**

**სასამართლომ ასეთი განაჩენი გამოუტანა შონ ჯემენტერს, რომელიც სან-ფრანცისკოს სახლებიდან ფოსტას — ჟურნალ-გაზეთებს, წერილებს და სხვა გზავნილებს — იპარავდა.**

**განაჩენში ნათქვამია: „ორთვიანი პატიმრობა და სამარცხვინო დღე — საფოსტო სამმართველოს წინ პლაკატით დგომა — მოწოდებულია, შეაგნებინოს ბატონ ჯემენტერსაც და ყველა დანარჩენსაც ასეთი დანაშაულის სერიოზულობა“.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## მედიცინა

# რეპორტაჟი საოპერაციო მაგიდიდან

(პირველი გვერდიდან)

იცით, ნებისმიერ კრიტიკულ სიტუაციაში მაშველი რგოლივით საიდანღაც გამოჩნდება იუმორი, ტვინში შემოგიძვრება და მაინცადამაინც თავისი თვალით შეგაფასებინებს სიტუაციას.

იმ დერეფანშიც შემოფრინდა და იმ ვითარებისთვის სრულიად შეუფერებლად წამომაცდენინა: — ერთი ასეთი მედდა ჩემთვისაც მოგეყვანათ-მეთქი.

ამაზე ნემსს უკვე უმოქმედიაო, თქვეს საპასუხოდ და შემაგორეს საოპერაციოში, სადაც სულ ერთ საათში ქირურგმა კოტე მარდალეიშვილმა სასწაული მოახდინა — ხელბურთის სათამაშო ბურთის ზომამდე ჰიპერტროფირებული ფარისებრი ჯირკვალი გულმკერდის ყაფაზის გაუჭრელად ხელით ამოაგდო და მომკვეთა.

იმ დღიდან დამებედა ქირურგის ოქროს ხელები და — ბავშვები საოპერაციოში.

ახლა მესამედ მივყავართ ოპერაციის გასაკეთებლად: ჩერნობილიდან გადმოცემული რეპორტაჟების სერიალის შედეგებმა ახლა მიწია — თითქიის 17 წლის შემდეგ, ცოტაც — ავღანეთში „გასეირნებამ“...

ოთარ ღუდუშაურის სახელობის ნაციონალური სამედიცინო ცენტრის სუპერპროფესიონალები, რომელთაც ქალბატონი მარინა ღუდუშაური, პარალელურად შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე ხელმძღვანელობს, ბავშვთა რესპუბლიკურ საავადმყოფოს მესამე სართულზე არიან შეხიზნული. საოპერაციო — მეექვსეზეა.

მურმან იაშვილის სახელობისაა ეს საავადმყოფო — „სამშობლო“... მურმანი — ამხანაგი და მეგობარი, სითბოთი და ღიმილით სავსე, და ახლა — ბრინჯაოს ბიუსტი ტალავერში და სევდიანი მოგონება.

თუმც, არა მარტო სევდიანი:

— იცით, მთელი ეს ბაღი, ეს სიმწვანე და სილამაზე, სულ ბატონ მურმანის თაოსნობითა და მონდომებით არის გაკეთებული. გამოჰყავდა თანამშრომლები, გვახმარდა, თავს დაგვტრიალებდა, — მითხრა სანდომიანმა ქალბატონმა (დეკორატორმა?), რომელიც ტოტებს სხლავდა და ეტყობა შეამჩნია, რომ მარტო ინტერესის გამო არ შევჩერდი ამდენ ხანს მურმან იაშვილის ბრინჯაოს ბიუსტის წინ...

ეს იყო პირველად მოსვლისას.

ახლა მესამედ, მტკივანი ფეხის თრევით მოვსულვარ. მეოთხედ აღარ მომიწევს. მაგრამ არა იმიტომ, რომ დამიმთავრდება ოპერაციების სერია, არამედ იმიტომ, რომ სწორედ ამ სტრიქონების წერისას (განგების ნება იყო, თუ ტელეპათია?) დამირეკა მინისტრმა ამირან გამყრელიძემ და მითხრა: პირველი, რომ კეთილი ხალხი ფრიად შეწუხებულია შენი ჯანმრთელობის მდგომარეობითო (დიდი მადლობა მათ ყურადღებისა და თანადგომისათვის!) და, მეორე, რომ ერთ თვეში უკვე გაიხსნება ღუდუშაურის სახელობის ცენტრის უნიკალური კლინიკა, სადაც ბოლო დეტალებიღა დარჩა დასამთავრებელი.

სულ ერთ თვეშიო.

მეოთხედ იქ მოგიწევსო მისვლა.

ეს იყო ამ შაბათს.

მე კი საოპერაციო მაგიდიდან გპირდებოდით რეპორტაჟს.

მაგრამ, მგონი, სიტყვას ვერ შევასრულებ, რადგან შემოვა საოპერაციოში ექიმი-ანესთეზიოლოგი არჩილ აბესაძე, ჯერ ნემსს გამიკეთებს „წელის არეში“, უფრო — ხერხემლისკენ, შემდეგ მოძებნის არტერიას, იქაც — ნემსი, ჩემო ბატონო, და „წვეთოვანას“ ჩადგმა; ჩამოგიფარებენ ცხვირწინ ყავისფერ მუშამბას, უზარმაზარ საოპერაციო ჭაღებს ჭერიდან დაგანათებენ; შემოფარფატდება საოპერაციო სანიტარი ხათუნა, პირზე დოლბანდაკრული, წნევას გამიზომავს. შეხედავ მას და მიხვდები იმას, რაც ადრეც უნდა გცოდნოდა: აღმოსავლეთის ქვეყნებში ქალები ჩადრს სახის დასამალად კი არ იფარებენ, არამედ თვალთა სილამაზის ხაზგასასმელად და გამოსაკვეთად...

ამასობაში ქირურგიც მობრძანდება — ლევან ნაჭყებია, ახალგაზრდა კაცი, რომელიც მაცი ხვიტიასავით მოქნილია და სხარტი, და რომელსაც ევროპისა და ავსტრალიის წამყვან ქირურგიულ ცენტრებში უმუშავია, დაოსტატებულა და რატომღაც არ მობეზრებია პაციენტ სანებლიძისთვის ოპერაციების გაკეთება, — უკვე მესამედ.

ლევან ნაჭყებია ასისტენტითურთ, რომელსაც ჰქვია ტრისტანი, იწყებს მუშაობას.

მეც ვიწყებ „მუშაობას“ და ვიღებ იმ კადრებს, რომლებსაც დღეს გთავაზობთ.

მერე, ფირი რომ დამთავრდება, მონიტორის ეკრანზე „განვითარებული ამბებით“ ვერთობი: იქ, როგორც ივ კუსტოს ოდისეაში, წყალქვეშა მცენარეებივით ჰკიდია და ნარნარად ირხევა გაცვეთილ-დაფლეთილი ხრტილები, რაღაც ზონდი (ქირურგის დანა?) ფილიგრანულად მოძრაობს და ჰკვეთს ამ არეულ აბსურდულობას. შემდეგ ეს მასა უცებ გაჰქრება, გაიწოვება და თავიდან დაიწყება ჟიულ ვერნის ფანტასტიკა.

— როგორ მიდის საქმე? — ირეალობიდან გამოგიყვანს ბადურ ზიმლიცკის შეკითხვა, რომელიც საოპერაციოში მხოლოდ იმიტომ კი არ შემოსულა, რომ ეს მისი მოვალეობის (იგი ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სამსახურის ხელმძღვანელია) ერთ-ერთი შემადგენელი აუცილებლობაა, არამედ, მე მგონი, უფრო იმიტომ, რომ გაარკვიოს — ბოლოს და ბოლოს, როდის მოიცილებენ ამ მომაბეზრებელ პაციენტს, რომელსაც, როგორც ჩანს, მოსწონს საოპერაციო მაგიდაზე უსაქმოდ წოლა.

იმ დღეს კიდევ ოთხი ოპერაცია გააკეთეს. ერთი — სულ პატარა გოგონა იყო...

ყველა წარმატებული აღმოჩნდა.

ჩემიც, თქვენ წარმოიდგინეთ, მიუხედავად იმისა, რომ ერთი წუმპეადამიანი ნადედაკაცარივით იწყევლებოდა — ცოცხალი არ გამოვიდესო საავადმყოფოდან.

რას იზამ, ხდება ხოლმე ასეც.







**არმაზ სანებლიძე.**
ავტორის ფოტო.

## ფინანსები

# ერაყის ფაქტორი ინვესტორების განწყობაზე ზეწოლას კვლავ განაგრძობს

**გასულ კვირაში ამერიკის შეერთებული შტატების საფინანსო ბაზრებზე ინვესტორების განწყობას, ერაყის „მუდმივ საფრთხესთან“ ერთად, სამეწარმეო სექტორის მდგომარეობის შესახებ ნეგატიური ინფორმაციაც განაპირობებდა. მენეჯერების ინსტიტუტის მიერ სამეწარმეო ინდექსის გამოქვეყნებამ ვერ გაამართლა ინვესტორების მოლოდინი, რამაც კვირის დასაწყისში ძირითადი საფონდო ინდექსების დაცემა განაპირობა.**

საფონდო ბაზარზე ორშაბათს, დილიდანვე შენელდა აქციების მასშტაბური გაყიდვა. სავაჭრო დღის შედეგების მიხედვით კი Dow Jones-ი 53.22 პუნქტით, ანუ 0.7%-ით შემცირდა 7837.86-მდე, ხოლო Nasdaq-ი 17.23 პუნქტით, ანუ 1.3%-ით 1320.29 მაჩვენებლამდე. ვაჭრობის მოცულობამ ნიუ-იორკის საფონდო ბაზარზე 1.23 მლრდ. აქცია შეადგინა.

როგორც საინვესტიციო ბანკის Merrill Lynch-ის წარმომდგენლებმა თავის კლიენტებს განუცხადეს, ნახევარგამტარების გიგანტი Intel-ი შემოსავლების საპროგნოზო მონაცემების შემცირებას აპირებს და 2003 წლისათვის ამ მაჩვენებელს 6.5-7 მლრდ. დოლარის ფარგლებში ვარაუდობს. Merrill Lynch-მა დაადასტურა Intel-ის აქციების „ნეიტრალური“ რეიტინგი, რომელიც ორშაბათის სავაჭრო სესიის შემდეგ 60 ცენტით, ანუ 3.5% -ით შემცირდა 16.66 დოლარამდე და ძირითადი საფონდო ინდექსების დაცემის ლიდერად იქცა.

მომდევნო დღეს, ანალიტიკოსების ნეგატიურმა საპროგნოზო კომენტარებმა ფინანსური გიგანტების General Motors-ის, Walt Disney-ის და ასევე Caterpillar-ის წარმომადგენლების გაფრთხილებამ 2003 წლისათვის საპროგნოზო მოგების შემცირების შესახებ, კვლავ ძირითადი საფონდო ინდექსების დაცემა გამოიწვია. Dow Jones-ი გასული წლის 10 ოქტომბრის შემდეგ ყველაზე დაბალ მაჩვენებელზე 7704.87-ის დონეზე დაეცა. Nasdaq-ი კი 12.52 პუნქტით, ანუ 0.9%-ით შემცირდა 1307.77 მაჩვენებლამდე.

ანალიტიკოსების შეფასებით, ყოველივე ეს ისევ და ისევ გეოპოლიტიკურ დაძაბულობას უკავშირდება, რადგან ინვესტორებს არ სურთ სახსრების ჩადება საერთაშორისო ფრონტზე გაურკვევლობის პირობებში.

ერაყის წინააღმდეგ შეერთებული შტატების საბრძოლო მზადებით გამოწვეულმა შეშფოთებამ, ტერორისტული მუქარის მიმართ საყოველთაო შიშმა, სამომხმარებლო პესიმიზმმა და, ბოლოს, ამერიკული ზამთრისათვის უჩვეულოდ ცუდმა ამინდმა, თავისი ნეგატიური გავლენა მოახდინა Walt Disney-ის თემატური პარკების დამთვალიერებელთა მოცულობაზე, რის შედეგადაც კომპანიამ მკვეთრად შეამცირა 2003 წლისათვის მოგების საპროგნოზო მაჩვენებელი. ექსპერტთა შეფასებით, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, შესაძლოა კომპანიის ხარჯები 5%-ით შემცირდეს, რის გამოც სამშაბათის ვაჭრობის მონაცემებით, Walt Disney-ის აქციები 0.75 დოლარით შემცირდა 16.05-მდე.

ოთხშაბათის სავაჭრო სესია ძირითადი საფონდო ინდექსების ზრდით დასრულდა. ზრდა ვაჭრობის დამთავრებამდე ცოტა ხნით ადრე დაიწყო, მას შემდეგ, რაც შეერთებული შტატების ხაზინის წარმომდგენლებმა “ძლიერი დოლარის” მხარდაჭერის შესახებ განცხადება გააკეთეს. თუმცა მომდევნო დღეს, ერაყის გარშემო შექმნილი სიტუაციის მორიგი დაძაბვის ფონზე, საფონდო ინდექსები კვლავ ქვემოთ წავიდა. გაიზარდა მხოლოდ General Electric, Johnson & Jonhson- ისა და Merck-ის აქციები, არ შეცვლილა კოტირებები Coca-cola –ს აქციებზე.




მნიშვნელოვანი დანაკარგი განიცადა Alcoa, Boeing,Caterpillar, Citigroup, International Paper, JP Morgan Chase, Alttria, SBC Communications-სა და Walt Disney-ის აქციებმა. სავაჭრო სესიის განმავლობაში ახალი რეკორდები დაამყარეს Boeing-ისა და McDonald,s-ის აქციებმა. პირველი 1995 წლის მარტის შემდეგ მინიმალურ, ხოლო მეორე დეკადის მანძილზე ყველაზე დაბალ დონემდე დაეცა.

თუმცა, კვირის ბოლო დღის სავაჭრო სესია ამერიკის შეერთებული შტატების ძირითადი საფონდო ინდექსების უმნიშვნელო ზრდით დასრულდა, ეს საკმარი არ აღმოჩნდა კვირის შედეგების პოზიტიურ ტერიტორიაზე დამთავრებისათვის. ანალიტიკოსების შეფასებით, კომპანიების აქციები დაძაბული გეოპოლიტიკური ვითარების ფონზე განაგრძობდნენ „ექსკურსს ისტორიაში“, ერთმანეთის მიყოლებით ხსნიდნენ რა მრავალწლიან მინიმუმებს.

* * *

**სავალუტო ბაზრებზე ერაყის ფაქტორმა გასულ კვირაშიც გააგრძელა ამერიკული ვალუტის კურსზე ზეწოლა. პირველი დარტყმა, დოლარზე კვირის დასაწყისშივე დაფიქსირდა და ჯერ კიდევ წინა გამოსასვლელ დღეებში მომწიფდა**. საერთაშორისო ინსპექტორების დაჟინებული მოთხოვნით, ბაღდადმა დაიწყო „ალ-სამუდ-2“-ი რაკეტების განადგურება, რამაც გააძლიერა გაეროს უშიშროების საბჭოში ერაყის მშვიდობიანად განიარაღების მომხრეთა პოზიცია. ამას თან ქვეყნის ტერიტორიის ამერიკელი სამხედროებისათვის დათმობის თაობაზე, თურქეთის პარლამენტის უარიც დაერთო, საიდანაც პენტაგონი ერაყისათვის ჩრდილოეთის ფრონტის გახსნას გეგმავდა.

უშიშროების საბჭოში გაზრდილმა აზრთა სხვადასხვაობამ გაძლიერა ალბათობა, რომ შეერთებული შტატები ომს გაეროს ნებართვის, თანაც იმ უპირატესობის გარეშეც დაიწყებს, რასაც ამერიკელებს თურქეთის ფრონტის გახსნა მისცემდა. შესაბამისად გაიზარდა, მძიმე, ხანგრძლივი ომის შესაძლებლობა. ყოველივე ამან ანალიტიკოსების შეფასებით, დამატებითი რისკები შეუქმნა ამერიკულ ვალუტას, რამაც არ დააყოვნა, ასახულიყო მის კურსზე. ამასთან, არცთუ სახარბიელო მონაცემები ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ, კერძოდ, სამეწარმეო საქმიანობის თებერვლის ინდექსი, რომელიც მოსალოდნელზე დაბალ დონეზე დაფიქსირდა, დოლარის კურსზე ზეწოლის დამატებითი ფაქტორი აღმოჩნდა.

მომდევნო დღეს, მანდანას აეროპორტში განხორციელებულმა ტერაქტმა გააძლიერა საფინანსო ბაზრებზე ნერვული დაძაბულობა და განაგრძო დოლარის კურსზე ნეგატიური ზეწოლა. ფორექსის ბაზრის ბევრმა მონაწილემ ფილიპინებზე მომხდარი აფეთქება აღიქვა, როგორც სიგნალი საერთაშორისო ტერორისტების მხრიდან შური იძიონ ალქაიდას ერთ-ერთი ლიდერის ჰალიდ შეიხ მოჰამედის დაჭერის გამო.

გარდა ამისა გასული კვირის სამშაბათს, კანადის ბანკის მიერ განხორციელებულმა ღონისძიებებმა ამერიკული დოლარის მიმართ, კანადური დოლარის კურსის გაძლიერება განაპირობა. „კანადის მიმართულებით“ დოლარის კურსის შესუსტებამ, მისი პოზიციის დათმობა სხვა ვალუტებთან მიმართებაშიც გამოიწვია.

ამასთან, უპასუხა რა ჟურნალისტების შეკითხვებს, შეერთებული შტატების ფინანსთა მინისტრმა ჯონ სნოუმ განაცხადა, რომ „დოლარით ვაჭრობა ხდება ბაზარზე და ის, რაც ბაზარზე იყიდება „ფასში ხან იკლებს, ხან იმატებს“. მისი შეფასებით „ეს ხდება ნორმალური დიაპაზონის ფარგლებში და ამაში საგანგაშოს ვერაფერს ხედავს.“ ნაციონალური ვალუტის მიმართ სნოუს ასეთმა „გულგრილობამ“ შეაძრწუნა ვალუტის ტრეიდრები და წარმოშვა ეჭვი, რომ შესაძლოა, ამერიკული ადმინისტრაცია ექსპორტის წახალისების მიზნით, უარს ამბობს „ძლიერი დოლარის“ პოლიტიკაზე.

იხ. მე-4 გვ.

## საქართველოს თავდაცვის სამინისტროს განცხადება

თანახმად, „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების 26-ე მუხლისა, ვაქვეყნებთ ერთ პირთან მოლაპარაკების მეშვეობით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით თავდაცვის სამინისტროს მთავარი სამეურნეო სამმართველოს მიერ მომწოდებელთან ა. წ. 14 თებერვალს გაფორმებულ ხელშეკრულებას:

| ხელშეკრულების № და გაფორმების თარიღი | პროდუქციის დასახელება | ღირ. ლარებში |
|---|---|---|
| № 02/5; 14.02.03 წ. | ზეთი — ტაპ-15, მს-20 | 100 000. |

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 63, ორშაბათი, 10 მარტი, 2003 წელი.

ფინანსები

# ერაყის ფაქტორი ინვესტორების განწყობაზე ზეწოლას კვლავ განაგრძობს

(მესამე გვერდიდან)

სნოუს განცხადების შემდეგ, დოლარის კურსმა ევროსთან გაარღვია რა წინააღმდეგობის 1.09 დონე 1.0966 –მდე დაეცა. რის გამოც შეერთებული შტატების ხაზინა იძულებული აღმოჩნდა განმარტება გაეკეთებინა. მათი წარმომდგენლების განცხადებით, შტატების ადმინისტრაციის სავალუტო პოლიტიკა უცვლელი რჩება, ისევე როგორც ფინანსთა მინისტრის შეხედულება, რომ „ძლიერი დოლარი" ქვეყნის ინტერესებს შეესაბამება.

ასეთი განცხადებების შემდეგ, გათვალეს რა, რომ ამერიკული ვალუტის კურსის შესუსტება დროებით მაინც შეჩერდება, ვალუტით მოვაჭრეთა ნაწილმა დოლარზე მოკლე პოზიციების დახურვა გადაწყვიტა, რამაც მისი კურსის შედარებით გამყარება განაპირობა.

* * *

**მრავალწლიანი მაქსიმუმის მიღწევის შემდეგ, ძვირფასი ლითონების ბაზარზე ბოლო პერიოდის განმავლობაში ოქროზე ფასების დაწევა ფიქსირდება.** თუმცა გასული კვირის ბოლოს, ამ ძვირფასი მეტალის ფასი იმის წინა კვირის ბოლოს დაფიქსირებულ ფასთან შედარებით უმნიშვნელოდ გაიზარდა და უნციაზე 356.60 დოლარით განისაზღვრა.

პლატინისა და ვერცხლის ფასმა შესაბამისად 689 და 4.67 დოლარი შეადგინა.

* * *

**ნავთობის ფიუჩერსების გადახურებული ბაზარი გასული კვირის დასაწყისში შედარებით შეგრილდა მას შემდეგ, რაც არცთუ დიდი ხნის წინ, ნიუიორკის Nymex-ის სასაქონლო ბირჟაზე ნავთობის ფასმა ლამის 1990 წელს, ერაყის მიერ ქუვეითის ოკუპაციის პერიოდში, დაფიქსირებულ ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია.**

ბოლო პერიოდის განმავლობაში ფასების ზრდას მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი შეერთებული შტატების ნავთობისა და ნავთობპროდუქტების მარაგის შემცირებამ, რომელმაც თებერვალში კრიტიკულად დაბალ ზღვარს მიაღწია.

თუმცა, ბაზრის მამოძრავებელ მთავარ ფაქტორად კვლავ ერაყის გარშემო შექმნილი დაძაბული სიტუაცია რჩება, რომელიც ახლო აღმოსავლეთიდან ნავთობის მოწოდების შეფერხებით იმუქრება. ამ ორი ფაქტორის შერწყმამ ბოლო პერიოდში ნავთობის ბაზარზე მკვეთრი „ხარის" განწყობა განაპირობა, რაც შედარებით შეგრილდა მას შემდეგ, რაც ერაყის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ მზად არის შეასრულოს გაეროს ინსპექტორების მოთხოვნა „ალ-სამუდ-2"-ი რაკეტების განადგურების თაობაზე. თუმცა შეერთებული შტატების ადმინისტრაციის შეფასებით, ეს ბაღდადის მხრიდან მორიგი ტყუილის კამპანიაა, ნავთობის ტრეიდერებმა იგრძნეს, რომ „ალ-სამუდ-2"-ის ისტორია აძლიერებს გაეროს უშიშროების საბჭოში ერაყის მშვიდობიანად განიარაღების მომხრეთა პოზიციას და ყოველ შემთხვევისათვის მოხსნეს ნავთობის ფასს სამხედრო პრემიის გარკვეული ნაწილი.

ორშაბათის ვაჭრობის შედეგებით, ლონდონის საერთაშორისო ბირჟაზე Brent-ის მარკის ნავთობის ფიუჩერსი ბარელზე 32.48, ხოლო ნიუ-იორკის Nymex-ის სასაქონლო ბირჟაზე WTI-ის ნავთობის ფიუჩერსის ფასი 35.88 დოლარამდე დაეცა.

ზედმეტად მაღალი სამხედრო პრემიის განწყობამ იმდენად აიტაცა ტრეიდერები, რომ მათი მხრიდან რეაგირება არ მოჰყოლია ქუვეითის სახელმწიფო ნავთობის კომპანიის წარმომადგენელთა განცხადებას ომის დაწყების შემთხვევაში, უსაფრთხოების მოსაზრებით, ერაყის საზღვრის გასწვრივ ნავთობის საბადოებზე სამუშაოების შეწყვეტის თაობაზე. ნავთობის მოპოვების მოცულობა ამ ადგილებში დღეში 400 ათასს ბარელს შეადგენს. დღეისათვის კი ქუვეითი დღე-ღამეში დაახლოებით 2.1 მლნ ბარელ ნავთობს მოიპოვებს.

ზედიზედ სამი სესიის დაცემის შემდეგ, სამშაბათის ვაჭრობის შედეგად კვლავ მოიმატა ნავთობის ფასმა. ტრეიდერები დარწმუნდნენ რომ ერაყის გარშემო განვითარებულმა ბოლოდროინდელმა მოვლენებმა ვერ შეცვალეს თეთრი სახლის პოზიცია ამ კრიზისის გადაჭრის საკითხში.

თეთრის სახლის პრესმდივანის არი ფლეიშერის ინფორმაციით, ვაშინგტონი კვლავ მხარს უჭერს გეგმას, რომლის მიხედვითაც გაეროს უშიშროების საბჭოში საერთაშორისო ინსპექტორების მორიგი ანგარიშის შემდეგ, შეერთებული შტატები ახალი რეზოლუციის პროექტზე კენჭისყრას მოითხოვს. როგორც ცნობილია, პროექტში ნათქვამია, რომ ერაყმა გაუშვა მშვიდობიანად განიარაღების ბოლო შესაძლებლობა.

ამასთან, თურქეთის მთავრობა ამერიკელი სამხედროებისათვის ტერიტორიის დათმობის შესახებ, პარლამენტზე საკითხის დაყენების ხელახალ შესაძლებლობას იხილავს.

ასე, რომ ტრეიდერები კვლავ ომის დაწყების ჩვეულმა შიშმა მოიცვა, რის შედეგადაც ლონდონის საერთაშორისო ბირჟაზე Brent-ის მარკის ნავთობის ფიუჩერსი ბარელზე 33.09, ხოლო ნიუ-იორკის Nymex-ის სასაქონლო ბირჟაზე WTI-ის ნავთობის ფიუჩერსის ფასი 36.89 დოლარამდე გაიზარდა.

კვირის ბოლოსაკენ ნავთობის ფასის მორიგი ზრდა დაფიქსირდა, რაც ერაყთან დაკავშირებული მოვლენების მორიგი ესკალაციის ფონზე ტრეიდერების პესიმისტურმა განწყობამ განაპირობა. ბევრმა მათგანმა სავაჭრო დღის „გრძელ" პოზიციაზე დახურვა გადაწყვიტა. ხუთშაბათის ვაჭრობის შედეგებით, ლონდონის საერთაშორისო ბირჟაზე Brent-ის მარკის ნავთობის ფიუჩერსი ბარელზე 33.53, ხოლო ნიუ-იორკის Nymex-ის სასაქონლო ბირჟაზე WTI-ის ნავთობის ფიუჩერსის ფასი 37.00 დოლარამდე გაიზარდა.

ტრეიდერების ნერვული დაძაბულობის ზრდას ხელი შეუწყო პენტაგონის განცხადებამაც, რომ ერაყმა შესაძლოა საკუთარი ნავთობსაბადოების აფეთქება მოახდინოს, იმ შემთხვევაში, თუ ამერიკელი სამხედროები მასზე იერიშს განახორციელებენ.

**ეკა ლეჟავა,**
**„სრ" ეკონომიკური მიმომხილველი.**

---

კვლევითი სამუშაოების მიმდინარეობის 30 წლიწადი

# ციხეგოჯი – კოლხეთის სამეფოს ერთ-ერთი ცენტრისა და ეგრისის სამეფოს დედაქალაქის წარსული

**კოლხეთისა და ეგრისის სამეფოების ისტორიაზე ბევრი დაიწერა და დასაწერიც ცოტა როდია. ამ სიადუმლოთა ერთი ფურცელი ძევს ციხეგოჯი – არქეოპოლის – ნოქალაქევში, რომელიც ჯერ, ანტიკურ ხანაში კოლხეთის ერთ-ერთი ცენტრი იყო, ხოლო შემდეგ – ეგრისის დედაქალაქი. მისი მიდამოების არქეოლოგიურ შესწავლას საიუბილეო თარიღი – 30 წელი შეუსრულდა. ამ ხნის განმავლობაში დიდია ძეგლზე მონაპოვარი და თანაც მეტად მნიშვნელოვანი, მაგრამ გაცილებით მეტი იქნებოდა, რომ არა ეს უკანასკნელი პერიოდის „არეულობა" ქვეყანაში.**

**ექსპედიციამ მიწას პირი გაუხსნა მის „ქვეყანაში" ოციოდე კილომეტრის რადიუსით და პასუხმაც არ დააყოვნა; ახალ-ახალი ფაქტებით გაამდიდრა ჩვენი წარსული, კოლხთა და ეგრთა ისტორია. ყველაფერი ეს გამთხრელთა კოლექტივმა სამ სქელტანიან კრებულში, ერთ მონოგრაფიაში, ოთხ ბუკლეტში და მრავალ სტატიაში გამოაქვეყნა (ქართულად, რუსულად, გერმანულად და ფრანგულად. ამ საკითხით დაინტერესებულნი აღნიშნული ლიტერატურით ისარგებლებენ), აქ ახლა მოკლედ რამდენიმე საკითხზე ვისაუბრებთ:**

**ნაქალაქარი ნოქალაქევის ნანგრევები მეტად შთამბეჭდავი იყო, ამიტომ იგი ჩვეულებრივ მნახველთა, თუ მეცნიერთა ყურადღებას ყოველთვის იპყრობდა. ძეგლისა და სოფლის სახელი „ნაქალაქევი" არაფერს კონკრეტულს არ ამბობდა, რადგან, სამწუხაროდ, საქართველო მოფენილია „ნაქალაქარებით", „ნასახლარებით", „ნაციხარებით" და სხვა ნანგრევებით.**



**მატიანეებში და სამეცნიერო ლიტერატურაში სავარაუდოდ გამოთქმული იყო, რომ „ციხეგოჯი" იგივე „სამზღუდეა" და ბიზანტიელთა „არქეოპოლისიც" ნოქალაქევია. ნაქალაქარის ხანგრძლივმა გათხრებმა ყველა ამ სახელს უეჭველი საყრდენი მოუძებნა.**

**ზუსტი ისტორიული მონაცემების უქონლობის გამო, კარგა ხნის მანძილზე, ვერ დადგინდა თუ როდის მიიღო ქრისტიანობა დასავლეთ საქართველომ. ისტორიკოსთა ერთ ნაწილს ამ თარიღად ბიზანტიელ მემატიანეთა მონაცემებით 523 წელი მიაჩნდათ, ხოლო მეორენი IV ს-ეს ღებულობდნენ. მას შემდეგ კი, რაც ექსპედიციამ ნაქალაქარის ტერიტორიაზე მდგარ ორ ეკლესიას გათხრებით ოთახი დაუმატა და ყველა ერთად IV-VI საუკუნეებით დაათარიღა, აღსდგა დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის მიღებისა და გავრცელების სწორი თარიღი, IV საუკუნე. ნოქალაქევმა ეს თარიღი საბოლოოდ დაამკვიდრა.**

**ნოქალაქევის ნაქალაქარზე არქეოლოგიური მონაპოვარი მასალა ძირითადად ადგილობრივია, მაგრამ ცოტა როდია წინა აზიისა და ხმელთაშუა ზღვის ირგვლივ მდებარე ძველი ქვეყნებიდან. ამასთანავე ნაქალაქარი და მისი მიდამოები, შეიძლება ითქვას, გადატვირთულია ბრწყინვალე ხუროთმოძღვრული ძეგლებით. ამ მხრივ პირველ რიგში უნდა აღინიშნოს თვით ნაქალაქარი. როგორც აღვნიშნეთ, საქართველოში ბევრი ნაქალაქარია, მაგრამ შედარებით ასე სრულად და მრავალფეროვნად სხვაგან არ არის შერჩენილი. ამ მხრივ პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ნაქალაქარის შემომზღუდავი სამჭიშკრიანი გალავანი, რომელთაგან ორი სახმელეთოა, ხოლო ერთი – სამდინარო, კაპიტალური გვირაბით. ამათგან ერთ-ერთი ჭიშკრის გაწმენდისას არქეოლოგები ტრაგედიის მნახველნი გახდნენ. იმ მრავალი ომიდან, რომელიც ქალაქს გადახდილი აქვს, ერთ-ერთის დროს, გალავანზე მაღლა მდგარი დამცველი ეგრი მტრის მიერ გადმოწოლილი კედლის ქვეშ მოყოლია. შემდეგში სიმაგრის აღმდგენთ ვერ უნახავთ თავდაყირა ჩაჩეხილი რკინის მუზარადიანი მეომარი და ახალი კედელი მასზე გადაუტარებიათ. სამწუხაროდ, ახლა იმის დადგენაც არ შეიძლება, თუ რომელი „ვეშაპი" იყო დამპყრობი: სპარსელი, ბიზანტიელი თუ არაბი. ეჰ, ვინ იცის, ვის არ უკაფია, ეს მშვიდობისმოყვარე ხალხი!**

**ნაქალაქარზე აღმოჩენილი ეკლესიების გარდა ყურადღებას იპყრობს მეფეთა ორი სასახლე და ორი აბანო. IV-VI საუკუნეების მეფეთა სასახლეები საქართველოში სულ რამდენიმეა და ჩვენს სინამდვილეში ეს დიდ მონაპოვრად ითვლება. ამ დაზიანებული სასახლეებიდან ერთი ორსართულიანი იყო, მეორე კი – სამსართულიანი. ასეთი დიდი კაპიტალური ნაგებობა მეორე არა გვაქვს. მისი მისაღები სამეფო დარბაზი მეტად შთამბეჭდავია.**

**აბანო ცენტრალური გათბობით რომაელების მიგნებაა ანტიკურ პერიოდში. ჩვენთან ასეთი აბანოების მშენებლობა, თუ უფრო ადრე არა, II საუკუნიდან მაინც ხდებოდა. ნოქალაქევში, როგორც ეს საქართველოში წესად ჰქონიათ. სამეფო ქალაქებში ორ-ორ აბანოს აგებდნენ. ერთი უფრო დიდი და კაპიტალურად იდგმებოდა მეფე-დიდებულთა უბანში, მეორე კი უშუალოდ ქალაქში. პირველი მათგანი გამორჩეულად დიდია და კაპიტალური, მეორე კი შედარებით მომცროა. ორივე აბანოს თარიღი IV-V საუკუნეებით შემოიფარგლება.**

**ექსპედიციამ საერთო სურათის წარმოსადგენად, შეძლებისდაგვარად, დასავლეთი საქართველო მოიარა, ხოლო გათხრითი სამუშაოები აწარმოვა 15-20 კილომეტრის რადიუსით. ამ პუნქტებში დიდძალი მასალა იქნა მოპოვებული. მრავალფეროვან არქეოლოგიურ ექსპონატებთან ერთად მრავალფეროვანია არქიტექტურული ნაგებობებიც. არქიტექტურის მრავალსახეობიდან გამოირჩევა ისეთი სახეობები როგორიცაა ციხეები, სასახლეები, ეკლესიები, აბანოები, დამხმარე ნაგებობები და სხვა.**

**ციხეების შესწავლისას იმ ეპოქის ქვეყნის დაცვის ერთი სურათი დადგინდა. ეგრისს, როგორც მაღალი დონის სახელმწიფოს, დაცვის ერთიანი სისტემა ჰქონია. კერძოდ, კოლხეთის დაბლობზე ციხესიმაგრის აგება ძნელი იყო და ჭაობიან მიდამოებში დაცვაც ნაკლებად ეფექტიანი იქნებოდა. ამიტომ ციხეთა დაცვის ხაზი გაუტარებიათ დაბლობისა და მაღლობის შეერთების ზღვარზე. მისი ერთი მონაკვეთი იწყება ცხენისწყლის მიდამოებში და თავდება სოხუმ-კელასურთან. ამ ჯაჭვიდან აქ რამდენიმეს ჩამოვთვლით: აბედათი (ბიზანტიელთა „ონოგურისი"), ნოქალაქევი, კოტიანეთი, შხეფი, „საკალანდარაშვილო", ეკი, ჭაქვინჯი, სათანჯო, სკური, რეკა, წარჩე და სხვა.**

**ექსპედიციის მიერ აღმოჩენილი ეკლესიებიდან სამია ისეთი, რომლებიც ახალ სიტყვას ამბობენ დასავლეთ საქართველოში საკულტო ნაგებობათა განვითარების გზაზე. ამათგან პირველია, V-VI საუკუნეებით დათარიღებული ტეტრაკონქის ტიპის ეკლესია, რომელიც ნოჯიხევში აღმოჩნდა (მარტვილის რ-ნი). მეორე ეკლესია აქედან შორსაა აღმოჩენილი, ზუგდიდის რაიონის სოფელ ჯვარზენში. იგი ტრიკონქის ტიპისაა და IX ს-ით თარიღდება. ამ ორი ტიპის ეკლესია დასავლეთ საქართველოში პირველადაა აღმოჩენილი, ხოლო რაც შეეხება მესამეს, ნოჯიხევში გამოვლენილ რვააფსიდიან ეკლესიას, იგი უნიკალურია, რადგან ეს ტიპი მთელ საქართველოში პირველადაა გამოვლენილი. ეს ძეგლი ყოველთვის იქნება საქართველოს არქიტექტურის ისტორიის სახელმძღვანელოებში.**

**ახლა რაც შეეხება აბანოს. ჰიგიენის დაცვის ეს ნაგებობა, ყველა ქვეყანაში კი არ მდგარა. იგი აუცილებელი იყო მაღალი დონის კულტურის მქონე ქვეყნებისათვის. სხვას, ყველაფერს თავი რომ გავანებოთ და მხოლოდ ამ ნაგებობებით ვიმსჯელოთ, ანტიკური და შუა საუკუნეების საქართველოში აბანოს იმდენი ნაშთია, რომ ჩვენ აუცილებლად ზედა ზოლში მოვხვდებოდით. ნოქალაქევის ირგვლივ 15 კილომეტრის რადიუსით ექვსი აბანოა აღმოჩენილი! ესეც ხომ მრავლისმეტყველია!**

**ჩვენ აქამდე არაფერი გვითქვამს იმაზე, რომ ნაქალაქარზე კოლხეთისა და ეგრისის ქვეყნების იმდენი მრავალფეროვანი ექსპონატი აღმოჩნდა, რომ აუცილებელი შეიქნა იქვე მუზეუმის აგება. ადგილობრივი თუ უცხოელნი, მის დათვალიერებისას აღტაცებას ვერ მალავენ. ეს მუზეუმი, ძეგლთან ერთად, ამ მხარის სიამაყეა.**

**მუზეუმში ექსპონირებულია ქართული და იმპორტული კერამიკული, მინის, ლითონისა და მრავალი სხვა მასალის ექსპონატები. მათი დიდი ნაწილი ხელოვნების მაღალი დონისაა. მრავლისმეტყველია ოქროს, ვერცხლისა და სპილენძის ნუმიზმატიკური მასალაც. მათში გამოირჩევა ე. წ. „კოლხური თეთრი". ადრეანტიკურ ხანაში კოლხი, როცა ამ მონეტებს ჭრიდა, განა სხვა ბევრი ქვეყანა ჭრიდა?! კოლხი იმ ადრეულ ხანაშიც კი, მსოფლიოში გამორჩეული გახლდათ!**

**ასე რომ, ციხეგოჯი – არქეოპოლისის გათხრებმა არაერთი ახალი ფურცელი ჩაწერა არა მარტო კოლხეთისა და ეგრისის სახელმწიფოების ისტორიაში, არამედ მთელი საქართველოს წარსულის უკეთ წარმოსაჩენად.**

**აქამდე არაფერი გვითქვამს, მაგრამ ახლა უნდა ვთქვათ, რომ ნაქალაქარზე და მის ირგვლივ რამდენიმე ობიექტზე საკმაო ბლომად გამოვლინდა ბერძნული (ბიზანტიური) წარწერები და ასომთავრული წარწერის ფრაგმენტები. ყველა ისინი მრავალმხრივაა საინტერესო და სათანადოდ გამოქვეყნებული გვაქვს სხვადასხვა ნაშრომში.**

**ამ ნაქალაქარის გამთხრელთა დიდი კოლექტივი დარწმუნებულია იმაში, რომ საქართველოში ჯერ კიდევ ბევრნი არიან ისეთები, რომლებიც სამშობლოს ფიცულობენ. საზოგადოების ეს ფენა უშფოთველად ამოუდგება ექსპედიციას და ძველებური ტემპით და შემართებით გაგრძელდება კოლხთა და ეგრთა ნაამაგარის გამოვლინება და არქიტექტურული ნანგრევების რესტავრაცია – კონსერვაცია.**

**პარმენ ზაქარაია,**
**პროფესორი.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

საიდუმლოთა ერთი ფურცელი

# არქეოპოლის – ნოქალაქევში

## ერისთავ ქუჯის საბრძანებელი

**ამ 30 წლის წინათ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ფეოდალური ხანის განყოფილება შეუდგა დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე გრანდიოზული და მეტად რთული აღნაგობის ძეგლის, ძველი ნაქალაქარის არქეოლოგიურ შესწავლას აკადემიის წევრ-კორესპონდენტის პროფესორ პარმენ ზაქარაიას ხელმძღვანელობით, ეს ძეგლი დიდი ხანია იპყრობდა სპეციალისტთა ყურადღებას თავის მასშტაბებით და შთამბეჭდავი ნაშთებით.**

ჯერ კიდევ XIX საუკუნის 30-იან წლებში ცნობილმა შვეიცარიელმა სწავლულმა ფრედერიკ ლიუბუა დე მონპერემ კავკასიაში მოგზაურობისას ინახულა ეს ძეგლი და გადაჭრით გააიგივა ის ბიზანტიური წყაროების **არქეოპოლისთან** (ანუ „ძველ ქალაქთან“, ლიუბუას ეს მოსაზრება გაიზიარეს სხვა უცხოელმა და ქართველმა მეცნიერებმა და დღეს უკვე აღარავის ეპარება ეჭვი, რომ ქალაქ სენაკის აღმოსავლეთით 16 კმ-ის დაშორებით, მდინარე ტეხურის პირას მდებარე სოფელ ნოქალაქევში[1] შენახული ძველი ქალაქის ნაშთები ბიზანტიურ ქალაქ არქეოპოლისის და ამავე დროს ქართული წყაროების „ციხეგოჯს“, ე. ი. ეგრისის ერისთავის ქუჯის რეზიდენციას ეკუთვნის.. ყოველივე ამან და ბიზანტიურ წყაროებში დაფიქსირებულმა ფაქტებმა არქეოპოლისის როლისა ეგრისის ისტორიაში, კიდევ უფრო გაზარდეს სპეციალისტთა ინტერესი ამ ნაქალაქარის მიმართ და შემთხვევითი არაა, რომ 1930-31 წლებში გერმანელი მეცნიერი-არქეოლოგი ალფონს მარია შნაიდერი, ახალგაზრდა ქართველ არქეოლოგებთან (ლევან მუსხელიშვილთან და გიორგი გოზალიშვილთან) ერთად აქ სტაციონარულ არქეოლოგიურ გათხრებს იწყებს, საფუძველი გვაქვს, უყოყმანოდ ვამტკიცოთ, რომ ქრისტიანობა ეგრისში უკვე IV საუკუნეში დამკვიდრდა, სახელმწიფო რელიგიად იქცა დაახლოებით იმავე ხანაში, როგორც ქართლში.

უაღრესად მნიშვნელოვანია აქ სამეფო სასახლეების აღმოჩენა, რამდენადაც ჩვენ მათი ნიმუშები საქართველოში ნაკლებად გვაქვს. დიდ ინტერესს იწვევს აქ ორი სხვადასხვა ტიპის აბანოს ნაშთების გათხრა, რომელთაგან ერთი სრულიად თავისებურია და პრაქტიკულად ანალოგიები არ მოეძებნება. ჩვენ პირობითად მას „სამეფო აბანო“ ვუწოდეთ. ეს ნაგებობები მოქალაქეთა კულტურის მაღალ დონეზე მიუთითებენ.

ნოქალაქევში მოპოვებულმა არქეოლოგიურმა მასალამ აჩვენა მისი ერთიანობა დასავლეთ საქართველოს სხვა, როგორც შიდა ეგრისის (ვარდციხე, ქუთაისი, შოროპანი), ისე ზღვისპირა (ბიჭვინტა, სოხუმი, ციხისძირი) ქალაქებთან. ეს ამტკიცებს, რომ არ არსებობს არავითარი საფუძველი ზღვისპირა და შიდაეგრისის საქალაქო ცხოვრების ერთმანეთისაგან გამიჯვნისათვის, სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული განსხვავების ვარაუდისათვის. ნოქალაქევის არქეოლოგიურმა გათხრებმა, ისევე როგორც „ნოქალაქევის ქვეყნის“ ტერიტორიაზე მოპოვებულმა ნაგებობებმა და არქეოლოგიურმა მასალამ თვალნათლივ აჩვენეს მთელი დასავლეთ საქართველოს ცივილიზაციის ერთიანობა. ესაა ნოქალაქევის შესწავლის ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი. ამრიგად, ნოქალაქევის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, თავისი 30-წლიანი მუშაობის შედეგად აჩვენა მეტად შთამბეჭდავი და მეცნიერულად ღირსშესანიშნავი მიღწევები, რომელთაც ასახვა ჰპოვეს სპეციალურ კრებულებში, ცალკეულ მონოგრაფიებში და სტატიებში, ექსპედიციის მიღწევები გამოიხატა არა მარტო ძველი ქალაქის ცალკეულ უბანთა, შემადგენელ ნაწილთა, ნაგებობათა გამოვლენასა და გაწმენდაში, არამედ საინტერესო და მრავალფეროვანი მასალის მოპოვებაში. ნოქალაქევის გათხრების წყალობით შესაძლებელი გახდა დასავლეთ საქართველოს ადრეფეოდალური ხანის საქალაქო ცხოვრების თავისებურებათა შესწავლა და მათი ბუნებისთვის მყარი ბაზისის შექმნა; საფუძველი ჩაეყარა „ნოქალაქევის ქვეყნის“ შესწავლას, შესაძლებელი გახდა საქართველოს ისტორიის არაერთი საკითხის დაყენება და გადაწყვეტა, ცალკეულ პრობლემათა ახლებური განხილვა.

**ნოდარ ლომოური,**
**პროფესორი.**

1. სოფელს ადგილობრივ „ნაქალაქევი“ ერქვა, მაგრამ „ნაქალაქევები“ საქართველოში ბევრია და მათგან გამოსარჩევად, ექსპედიციამ უწოდა მათ მეგრული ფორმით „ნოქალაქევი“.



P.S. **მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ჩვენი ქვეყნის იმ ადამიანებს მივმართო, რომელთაც აქვთ საქველმოქმედო სახსრები და ვთხოვო, მიაქციონ ყურადღება ამ უნიკალურ ძეგლს და დაეხმარონ ნოქალაქევის ექსპედიციას, როგორც გათხრების წარმოებაში, ისე სარესტავრაციო სამუშაოების განხორციელებაში. ეს დიდი ეროვნული საქმე იქნება!**

ნოქალაქევის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ამ ხნის განმავლობაში სხვადასხვა ისტორიული ეპოქის უბრწყინვალესი არქეოლოგიური კულტურები გამოავლინა. პირველ ყოვლისა ეს ეხება ისეთ უმნიშვნელოვანეს აღმოჩენას მთელს კავკასიაში, როგორიცაა ძველი წელთაღრიცხვის VIII-VII ს.ს. დათარიღებული საწარმო-ნამოსახლარები თანმხლები რიტუალური მოედნით. საწარმოთა აღმოჩენა ნაქალაქარის ქვედა ტერასაზე მოხერხდა და წარმოდგენილია ძვირფასი და ნახევრადძვირფასი მინერალებისაგან (სარდიონი, აქატი, იასპი, ქალცედონი და სხვ.) მძივების დასამზადებელი და საიუველირო სახელოსნოებისაგან. ამ აღმოჩენების შემდეგ გაბათილდა მანამდე არსებული მოსაზრებები იმის თაობაზე, რომ თანადროულ კოლხურ სამარხოვნებზე გამოვლენილი საიუველირო ნაწარმი თითქოს მცირეაზიური, თუ სირიული წარმომავლობის უნდა ყოფილიყო. სახელოსნოებთან გამოვლინდა კავკასიასა და მთელს მახლობელ აღმოსავლეთში უანალოგო ორპროტომიანი კერამიკული ზოომორფული (ირმები, ცხენები, თევზები, მგელ-ძაღლები, ვერძები და ა. შ.) ფიგურები (ერთადერთი ანალოგი ცნობილია ვანის ნაქალაქარიდან). ამ კულტურის მეცნიერულმა შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის უძველესი კოლხური მოსახლეობა საკმაოდ მჭიდრო კავშირშია იმდროინდელი ხმელთაშუაზღვის აუზის, ეგვიპტის, ანატოლიის და მახლობელი აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებთან.

## ქვეყნის მაღალი განვითარების მაჩვენებელი

ნაქალაქარის უძველეს კულტურულ ფენებში ყველაზე ადრეული იმპორტის საგნები ძველი წელთაღრიცხვის VI ს-ის ბოლოთი თარიღდება და ქიოსური ამფორების სახითაა წარმოდგენილი. აღნიშნული ფენებიდან არქეოლოგიური ძეგლები ძირითადად ადგილობრივია და მაღალმხატვრული გემოვნებით შესრულებული.

ძველი წელთაღრიცხვის VI ს-ის ბოლოს ქართლის სამეფოში განვითარებული მოვლენების შემდგომ, ეგრისის ერისთავი ქუჯი ხდება, რომელიც მდინარე ტეხურის ამ რეგიონში აშენებს „ქალაქსა და ციხეს“.

ერისთავ ქუჯის მოღვაწეობის ეპოქა ციხეგოჯში არქეოლოგიურადაც დასტურდება. გამოვლენილია საკმაოდ დიდ ფართობზე გაწფენილი ნამოსახლარი, სადაც არქეოლოგიური მასალები დიდი რაოდენობით იქნა მოძიებული. შესწავლილია ელინისტური ხანის (ძვ. წ. IV ს-ის ბოლო II ს.ს) სამაროვნის დიდი ნაწილით. უხვადაა წარმომადგენელი მცირეაზიური ბერძნული და შავიზღვისპირეთის საწარმოო ცენტრებში დამზადებული ფუფუნების საგნები (ძირითადად სადა შავლაკიანი და მხატვრული კერამიკის ბრწყინვალე ნიმუშები). სხვადასხვა მაღალხარისხოვანი პროდუქტის შემოსატანად ხმარობდნენ სინოპისა და როდოსის სახელოსნოებში დამზადებულ იმ ამფორებს, რომელთა ნაშთებიც ნაქალაქარზეა გამოვლენილი. ამ პერიოდიდან ნოქალაქევში და მის მიდამოებში საკმაოდ მრავლად ჩნდება ადგილობრივი ფულის ერთეული ე. წ. „კოლხური თეთრი“, რაც სამონეტო სისტემისა და საერთოდ ქვეყნის მაღალგანვითარებულობის მაჩვენებელია. ექსპედიციების შედეგად გამოვლენილი სამარხების ერთი ნაწილი ელიტარული საზოგადოების კუთვნილება გახლავთ. მათ თან ჩატანებული ჰქონდათ ოქროს და ვერცხლის საკმაოდ მდიდრული ინვენტარი (სამაჯურები, საყურეები, თასები, მძივები, ბეჭდები და სხვ.). სამარხთა სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ მოსახლეობა საკმაოდ მრავალრიცხოვანი უნდა ყოფილიყო. ძვ. წ. I ს-დან კულტურული ფენის გაიშვიათება გვაფიქრებინებს, რომ ცხოვრების ხელახალი აღმავლობა აქ ახალი წლის I ს-იდან იწყება და თავისი განვითარების ზენიტს აღწევს ახ. წ. IV-VI ს. ს., როდესაც ეგრისის სამეფოს დედაქალაქს არქეოპოლისის სახელწოდებით იცნობენ.



დღემდე მოპოვებულმა არქეოლოგიურმა ძეგლებმა სრულიად ახლებური ახსნა მოუძებნეს ბევრ ძველ შეხედულებას. პირველ ყოვლისა, საბოლოოდ გადაწყდა ციხეგოჯის-არქეოპოლისისა და დღევანდელი ნოქალაქევის იდენტურობის საკითხი, რომელიც წლების განმავლობაში საკამათო გახლდათ. არსებითად ნოქალაქევის უძველესი ბაზილიკის აღმოჩენის შემდგომ გახდა შესაძლებელი, ეგრისის სამეფოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების ახლებური თარიღის IV ს-ის დასაწყისის გაზიარება სამეცნიერო ლიტერატურაში. გამოვლენილი, დიდი რაოდენობით არქეოლოგიური მასალები ძირითადად ადგილობრივი ნაწარმია, თუმცა საკმაო რაოდენობითაა იმპორტი ისეთი საწარმოო ცენტრებიდან, როგორებიცაა სირია, მცირე აზია, შავი ზღვის სამხრეთი და ჩრდილოეთი რეგიონები. ადგილობრივი წარმოების მასალები საქალაქო ცხოვრების ყველა კომპონენტითაა წარმოდგენილი: ყოფა, კულტურა, რელიგია, წარმოება და სხვ. IV-VI ს.ს. ისეთი გავრცელებული ჭურჭელი როგორიცაა წელშეზნექილი ამფორა, ვფიქრობთ, ადგილობრივად – ნოქალაქევშივე მზადდებოდა. ეს ჭურჭელი ექსპოტის საგანსაც წარმოადგენდა ეგრისის სამეფოდან სხვა მეზობელ რეგიონებში.

ნაქალაქარზე აღმოჩენილი მასალები ცხადყოფენ სოფლის მეურნეობის (ფეოდალიზმის ეკონომიკური საფუძველი ცნობილია, რომ სოფლის მეურნეობაა) მეთევზეობის, მეთუნეობის, სამონეტო მიმოქცევის – ვაჭრობის, მესაქონლეობის მაღალ ხვედრით წილზე.

VI ს-ის ბოლოსა და VII ს-ის დასაწყისში რომელიღაც ძალზედ სერიოზული (თუმცა კი დღემდე ბოლომდე გაურკვეველი) პოლიტიკური კატაკლიზმის გამო ქალაქი მნიშვნელოვნად ზიანდება და ის თავის ფუნქციას პრაქტიკულად კარგავს. ამას გვაფიქრებინებს კულტურული ფენების გაქრობა, მონეტების არარსებობა, ახალ მშენებლობის ან აღდგენა-რესტავრაციის კვალის არარსებობა და სხვ.

ნაქალაქარის უდიდესი მნიშვნელობის გამო ჩვენი პირადი მეცადინეობის შედეგად ბოლო სამი წელიწადია გათხრით სამუშაოებში ჩაერთო დიდი ბრიტანეთის კემბრიჯის, ოქსფორდისა და საუთჰამპტონის უნივერსიტეტებისა და არქეოლოგიის დეპარტამენტების სტუდენტები და სპეციალისტები. ვფიქრობთ ერთობლივი კვლევები კიდევ უფრო მეტ სინათლეს შეიტანს ციხეკოჯის, ეგრისის სამეფოს და ზოგადად დასავლეთ ამიერკავკასიის რიგი პრობლემების შესწავლის საქმეში.

**დავით ლომიტაშვილი,**
**ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორის მოადგილე.**

P.S. **ნოქალაქევი-არქეოპოლისი ერის საუნჯეა, ქვეყნის სიმდიდრეა, ამიტომ მისი მოვლა-პატრონობა ხელეწიფებათ ერის შვილებს, ერისკაცებს.**

**იმედია ასეთები ბლომად აღმოჩნდებიან და ექსპედიციის მიმართ ქველმოქმედებას ლაღად გასწევენ! ველით ასეთ ადამიანებს!**

კვირა



## რუბრიკას უძღვება ზურაბ ოიკაშვილი

**– რით იყო მნიშვნელოვანი გასული კვირა ქვეყნისთვის და თქვენთვის პირადად? – „კვირის“ ტრადიციულ შეკითხვას უპასუხებს ნატო ბაბუნია.**

### ქვეყნისთვის

– გასული კვირის მნიშვნელოვან მოვლენებზე კონკრეტული საუბარი გამიჭირდება, ვინაიდან რამდენიმე დღის წინათ ჩამოვედი საქართველოში მეუღლესთან ვოუტერთან და შვილთან ანდრიასთან ერთად და მაინც, გაზაფხული დადგა, რაც იმის მანიშნებელია, რომ ზამთარი დამთავრდა. ეს ბუნებრივი პროცესია, მაგრამ რთული ზამთრის „გადაგორება“ მარტივი საქმე არ არის. მოგეხსენებათ, უკვე რამდენიმე წელიწადია საზღვარგარეთ ვცხოვრობ და ვმოღვაწეობ, მაგრამ, ცხადია, სამშობლოს პრობლემების შესახებ ინფორმირებული ვარ.

მე და ჩემი მეუღლე თბილისის ქუჩებში სეირნობისას ვცდილობდით, რომ შეუსაბამოდ გაღიმებული, მხიარული სახეები არ გვქონოდა.

### ჩემთვის პირადად

– მნიშვნელოვანია, რომ სამშობლოს ვესტუმრე მეუღლესთან და შვილთან ერთად. მონატრება საოცარი გრძნობაა – შევხვდი მეგობრებს, მოვინახულე ბებია, ახლობელ-ნათესავები.

ბავშვობიდან მოყოლებული ოცნება ამისრულდა. რას ვგულისხმობ? – გოგი ჭიჭინაძის დირიჟორობით დაკვრას. მართლაც, დიდი ხანია მინდოდა ამ მშვენიერ მუსიკოსთან, ჩემს უახლოეს მეგობართან დაკვრა, მუსიცირება, მაგრამ აქამდე, წლების მანძილზე ვერ მოხერხდა და ამიტომ, შაბათს გამართული კონცერტი ჩემთვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნიშანსვეტია. ამ კონცერტს კიდევ ერთი საინტერესო მოვლენა დაუკავშირდა – ჩემი მეუღლე ვოუტერ ფოსენიც მუსიკოსია, ისიც მევიოლინეა. სწორედ თბილისში წარვსდექით სცენაზე პირველად ერთად, რაც მანაც მნიშვნელოვან ფაქტად აღიქვა. მასაც უკვე ძალიან შეუყვარდა საქართველო, ქართველი ხალხი და ქართველი მსმენელი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## პირველი ქართული სიმფონია

# უცნობი მუსიკის მოლოდინში

**ამ დღეებში, უფრო ზუსტად კი, 18 მარტს ქართული საზოგადოება მოწმე გახდება ჩვენი მუსიკალური კულტურის ღირსშესანიშნავი მოვლენისა. თითქმის საუკუნოვანი „დუმილის“ შემდეგ აჟღერდება ქართული მუსიკის ერთ-ერთი ყველაზე ადრინდელი ნიმუში – 1907 წელს შექმნილი და 1908 წელს შესრულებული კოტე ფოცხვერაშვილის (1880-1959) სიმფონიური პოემა „ამირანი“.**

კონსტანტინე (კოტე) ფოცხვერაშვილი, როგორც ცნობილია, ეკუთვნის ქართველ კომპოზიტორთა და საზოგადო მოღვაწეთა იმ შესანიშნავ პლეადას, რომლის სახელთან არის დაკავშირებული ახალი ქართული მუსიკალური ხელოვნების განვითარება და წარმატებები. ჯერ კიდევ საუკუნის გარიჟრაჟზე (900-იანი წლები) თბილისსა და ქუთაისში სრულდებოდა ფოცხვერაშვილის ნაწარმოებები. სახელდობრ, „ამირანის“ არაერთგზისი საჯარო შესრულების ფაქტი დადასტურებულია წერილობითი საბუთებით, იმდროინდელი პრესიდან ამონარიდებით. მართალია, არის ერთი სათუო მომენტი: თვითონ კომპოზიტორის სიტყვებით, „ამირანი“ დაიწერა 1907 წ. დორპატში (დღევანდელი ტარტუ) და იქვე შესრულდა ერთი წლის შემდეგ – 1908 წლის 20 თებერვალს. ამავე დროს არსებობს 1905 წლის 10 მარტით დათარიღებული დოკუმენტი, რომელშიც „ამირანი“ ნახსენებია როგორც რეალურად არსებული ნაწარმოები, რომელიც რეკომენდებულია დასადგმად ქუთაისში და სხვა ქალაქებშიც: ამ თარიღს (1905) აღნიშნავენ, აგრეთვე, ფოცხვერაშვილისადმი მიძღვნილი წერილების ავტორები. ჩვენ სარწმუნოდ უფრო ავტორისეული დამოწმება ჩავთვალეთ. ასეა თუ ისე, „ამირანი“ მაინც პირველი სიმფონიური ქმნილებაა ქართულ მუსიკაში და ამდენად, ქართული სიმფონიური მუსიკის დასაბამი უნდა გადაიწიოს უკან სულ ცოტა 3 წლით. დღემდე ქართული სიმფონიური მუსიკის პირველ ნიმუშად მიჩნეული იყო დიდი ქართველი კომპოზიტორის დიმიტრი არაყიშვილის „ჰიმნი ორმუზდს“ (1911). ამდენად, ჩვენ მოწმე ვხდებით ქართული მუსიკის ისტორიის დაზუსტებისა და კორექტირების ფაქტისა, ამაშია „ამირანის“ ამჟამინდელი შესრულების პრინციპული მნიშვნელობა. დორპატში (ტარტუში) პრემიერის შემდეგ „ამირანი“ შესრულდა პეტერბურგში, ხარკოვში, ვარშავაში, ბაქოში, თბილისში (1910 წ. 16.V), ქუთაისში.

უკანასკნელად კი „ამირანი“, როგორც ჩანს, 1916 წელს შესრულდა. ამით ნაწარმოების საკონცერტო სიცოცხლე შეწყდა (იმედს გამოვთქვამ – დროებით!) და მისი, ისევე, როგორც კ. ფოცხვერაშვილის დიდი ფორმის სხვა ნაწარმოებების, რეალურად არსებობის (ზოგს ესეც კი აეჭვებდა) შესახებ მხოლოდ სხვადასხვა ცნობარისა და პუბლიკაციის საშუალებით თუ შეიტყობდით. მათ შორის, უდავოდ საუკეთესოა „მინდია“, ჟორდანიას ვრცელი, შინაარსიანი წერილი ჟურნალში „საბჭოთა ხელოვნება“ (1957, № 1). უნდა ვახსენოთ, აგრეთვე, ვახტანგ რამიშვილის მონოგრაფიული ნარკვევი „კოტე ფოცხვერაშვილი“ (თბ. 1972).

არათუ ჩემ, არამედ ჩემი მასწავლებლების თაობასაც არ მოუსმენია „ამირანი“ და სამწუხაროდ, დროთა განმავლობაში გამომუშავდა მისდამი ერთგვარად სკეპტიკური დამოკიდებულება. თვითკრიტიკულად ვაღიარებ, რომ ამ მხრივ, არც მე შევადგენდი გამონაკლისს. ფაქტი ფაქტად რჩება: „ამირანი“, ისევე როგორც კ. ფოცხვერაშვილის სხვა დიდი ფორმის ნაწარმოები, აღარ შესრულებულა 1916 წლის შემდეგ.

კი მაგრამ, იკითხავს საქმეში ჩაუხედავი ადამიანი, რა იყო ფოცხვერაშვილის შემოქმედების ესოდენ მნიშვნელოვანი ნაწილის გაუცხოებისა და საგულდაგულო მივიწყების მიზეზი მრავალი ათეული წლის მანძილზე? პასუხი მარტივზე მარტივია. როგორც ცნობილია, ბატონი კოტე 1918 წელს გახდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოფიციალური ეროვნული ჰიმნის „დიდების“ ავტორი (მოდით, ერთად, კიდევ ერთხელ ვახსენოთ საქართველოს ისტორიისა და პირადად კომპოზიტორის ბიოგრაფიის ეს „მზიური ხანა“), რითაც დამატებით – ქართველი ხალხის უდიდესი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. ასე გაგრძელდა სამი წელი („დიდების“ ამაღლებული ჰანგი დღესაც ჩვენი ეროვნული ჰიმნია!), შემდეგ კი... შემდეგში რაც მოხდებოდა, ძნელი წარმოსადგენი არაა. „დიდების“ „წყევლა“ მთელი სიცოცხლის მანძილზე თან სდევდა და დაუსრულებელ სიძნელეებს უქმნიდა ცხოვრებაში მის ავტორს და საკვირველი ეს კი არ არის, არამედ ის, რომ იგი ფიზიკურ განადგურებას გადაურჩა იმ სასტიკ და დაუნდობელ ხანაში.



ვიღას ახსოვდა ან ადარდებდა „ამირანი“ და „ძმანი მისნი“: პოემები „მსოფლიო ვაება“ (1912 წ.) და „ბრძოლის ველი“ (1915), ოპერა „კერპთა დამხობა“ (1910) და სხვ.

ამიტომაც იყო, რომ ბატონი კოტე ჩვენ თანამედროვეთა ცნობიერებაში დარჩა ძირითადად როგორც გამოჩენილი მუსიკალური და საზოგადო მოღვაწე: მრავალი საგუნდო ხალხური კოლექტივის, მეჩონგურე ქალთა განთქმული ანსამბლის დამაარსებელი (ა. მეგრელიძესთან ერთად, 1933), სხვადასხვა საინტერესო გამოგონების ავტორი და ა. შ. მისი შემოქმედების საკონცერტო აქტივი კი ამოიწურებოდა პირველ პირში, პოპულარული სიმღერებით: „ლალე“ და „ინდი-მინდი“, აგრეთვე, რომანსით „აღმართ-აღმართ“, „მესტვირული“, მზეონას არიით ოპერიდან „კერპთა დამხობა“.

კ. ფოცხვერაშვილის შემოქმედების „მკვდრეთით აღდგომის“ პროცესს სათავეში ჩაუდგა კომპოზიტორის ქალიშვილი ქალბატონი ელენე (დოდო) ფოცხვერაშვილი, ოდესღაც მეჩონგურეთა განთქმული ანსამბლის სოლისტი. მას დიდი რუდუნებით შეუგროვებია თავის სახელოვან მამასთან დაკავშირებული საარქივო მასალები (აფიშები, პროგრამები, საგაზეთო წერილები, ეპისტოლარული მემკვიდრეობა და ა. შ.), რომლებიც წარმოდგენას იძლევიან ბატონ კოტეს არცთუ იავარდებით ფენილი ცხოვრების გზის შესახებ. აღმოჩნდა კომპოზიტორის ადრინდელი სიმფონიური პოემის „ამირანის“ და დიდი ფორმის სხვა ნაწარმოებების კლავირები და პარტიტურები, რომელთა გაცნობის შემდეგ, ბუნებრივია, დაიბადა სურვილი მათი ცოცხალი შესრულებისა. კ. ფოცხვერაშვილის შვილიშვილმა, ცნობილმა კომპოზიტორმა გიორგი ჩლაიძემ იკისრა თავისი პაპის შემოქმედებითი მემკვიდრეობის მეურვეობა და არჩევანი სიმფონიურ პოემა „ამირანზე“ შეაჩერა. მისი პარტიტურა უმნიშვნელო კორექტივების შემდეგ გადაეცა საქართველოს ტელერადიოს სიმფონიურ ორკესტრს და დირიჟორ ვადიმ შუბლაძეს, რომლებმაც მოამზადეს ნაწარმოები შესასრულებლად.

„ამირანის“ განმეორებითი დაბადება, რომლის მოწმენიც სულ მალე გავხდებით, გვავალებს მოკლედ მაინც შევეხოთ კ. ფოცხვერაშვილის საკომპოზიტორო განსწავლისა და შემოქმედებითი გზის პირველ ეტაპს, როდესაც შეიქმნა „ამირანი“.

დაწყებითი სამუსიკო განათლება ბატონმა კოტემ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელსა და სემინარიაში მიიღო. მალე იგი სასწავლებლის გუნდის ხელმძღვანელ ლოტბარად დააწინაურეს, სადაც დიდი ნიჭი და მონდომება გამოამჟღავნა, სწავლობდა ვიოლინოზე დაკვრასაც. მუსიკალური ცოდნის გაღრმავება მომავალმა კომპოზიტორმა შემდგომ დორპატის უნივერსიტეტში (1901-დან) განაგრძო. აქ მან ქართული ხალხური მუსიკის არაერთი საღამო გამართა. 1903 წელს იგი პეტერბურგში გადადის და მხარში ამოუდგება თავის უფროს მეგობარსა და ხელშემწყობს, გამოჩენილ ქართველ კომპოზიტორს მელიტონ ბალანჩივაძეს, მასთან ერთად და დამოუკიდებლადაც იგი რუსეთის მრავალ ქალაქში მის მიერ ჩამოყალიბებული საგუნდო კოლექტივებით ქართული ხალხური სიმღერის კონცერტებს მართავს. როდესაც 1910 წ. პეტერბურგში გაიმართა რუსეთის იმპერიაში შემავალ ხალხთა დიდი ეთნოგრაფიული ფესტივალი, ავტორიტეტული რუსი მუსიკოსები – პეტერბურგისა და მოსკოვის კონსერვატორიების პროფესორები გაოცებულნი აღნიშნავდნენ კ. ფოცხვერაშვილისა და მ. ბალანჩივაძის გუნდების გამოსვლის შემდეგ: „არც ერთი ხალხი, არათუ ჩვენში, არამედ სხვაგანაც ასეთ სიმღერებს არ მღერისო“.

სწორედ აქედან იღებს სათავეს თვითმყოფი ქართული ხალხური სიმღერების საერთაშორისო აღიარება.

პეტერბურგში ცხოვრებისას კ. ფოცხვერაშვილი კარგად დაეუფლა სალოტბარო ხელოვნებას, 1910-14 წლებში პრივატულად მეცადინეობდა პეტერბურგის კონსერვატორიის პროფესორებთან ლიველი საკეტისთან – მუსიკის ისტორიასა და თეორიაში, ხოლო კომპოზიციაში – გ. ბრუნისთან.

1911 წლის 12 იანვარს თავისი უფროსი მეგობრისა და მზრუნველის – იაკობ გოგებაშვილისადმი პეტერბურგიდან გამოგზავნილ წერილში ფოცხვერაშვილი წერდა: ...„როგორც იქნა, მოვესწარი იმას, რასაც ვნატრობდი. ევროპული და ქართული მუსიკის სისტემატურად შესწავლას შევუდექი, თუ მეორე ნატვრაც ამისრულდა და ქართული მუსიკით ვსთქვი ის, რისი თქმაც მინდა, ჩემს მიზანს მიღწეულად ჩავთვლი“. ჩვენის მხრივ, დავძენთ, რომ ეს ნატვრა კომპოზიტორს აუსრულდა და მან საპატიო ადგილი დაიმკვიდრა ახალი ქართული პროფესიული მუსიკის გამოჩენილ მოღვაწეთა პლეადაში.

როგორც ზემოთ ვთქვით, თანამედროვე მსმენელისათვის კ. ფოცხვერაშვილი – კომპოზიტორი უმთავრესად ცნობილია, თავისი ხალხური სიმღერების დამუშავებებით. იმედს გამოვთქვამთ, რომ „ამირანის“ და, სასურველია, სხვა დიდი ფორმის ნაწარმოებების შესრულების შემდეგ, ეს წარმოდგენები კომპოზიტორის შემოქმედების შესახებ ძალიან გაფართოვდება და გაღრმავდება. მოვიტანოთ ციტატა მ. ჟორდანიას ზემოხსენებული წერილიდან: „უნდა გამოიყოს ხუთნაწილიანი სიმფონიური პოემა – ლეგენდა „ამირანი“, რომელიც 1905 წელს დაიწერა და შესრულდა რამდენიმე ქალაქში (მათ შორის, დორპატში, პეტერბურგში, ხარკოვში, ოდესაში, ბაქოში, თბილისში, ქუთაისში და სხვა). თავის დროზე მას თვალსაჩინო წარმატებაც ხვდა. ხშირად იგი იდგმებოდა პანტომიმური სცენებით, მდიდარი მხატვრული გაფორმებით (თბილისში დადგა გამოჩენილმა რეჟისორმა ალ. წუწუნავამ). „ამირანი“ სიმფონიური პოემის შექმნის პირველი ცდაა საქართველოში, თუმცა, თავისი ფორმით უფრო სიუიტას უახლოვდება. მასში ჭარბობს ილუსტრაციული მომენტები.

სულ ცოტა ხანში ჩვენ დავრწმუნდებით ამ სიტყვების სისწორეში (ასე მგონია!) ანდა შესაძლოა, რაღაც კორექტივების შეტანა დაგვჭირდეს ზემოხსენებულ შეფასებაში. ნუ გავუსწრებთ წინ მოვლენებს. დაველოდოთ. „ამირანს“ კი დავუბრუნდებით მისი შესრულების შემდეგ.

დასასრულ, მკითხველებს და საზოგადოდ მუსიკის მოყვარულებს შევახსენებ, რომ 18 მარტის კონცერტში ისინი „ამირანის“ გარდა, თანამედროვე ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებებს მოისმენენ.

**გულბათ ტორაძე.**

## ხიდი

# ქართული ბალეტი ესპანეთში

გუშინ ესპანეთში გაემგზავრა ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის საბალეტო დასის ერთი ჯგუფი რვა მსახიობის შემადგენლობით. ქართველი მოცეკვავეები მონაწილეობენ ესპანეთის ქალაქებში ვალიადოლიდსა და ვალენსიაში 10-22 მარტს განხორციელებულ საერთაშორისო პროექტში, რომელიც ითვალისწინებს კლასიკური ბალეტის პროპაგანდას. ისინი გამართავენ დამოუკიდებელ გამოსვლებსაც და ასევე ცნობილ ესპანელ მოცეკვავეებთან ლაურა ორმიგონთან და ოსკარ ტორადოსთან ერთად გამოვლენ გალა-კონცერტებზე.

ქართველ მოცეკვავეთა ჯგუფში არიან: ცისია ჩოლოყაშვილი, ნინო ოჩიაური, ანუკი ყიფშიძე, მარიამ ალექსიძე, დავით და ლაშა ხოზაშვილები, ერიკ ბაბლიძე, გიორგი საგინაშვილი. ისინი იცეკვებენ ფრაგმენტებს კლასიკური საბალეტო რეპერტუარიდან, კერძოდ პადე-დეს ბალეტებიდან „ჟიზელი“, „სილფიდა“, „მაკნატუნა“, „ამაო სიფრთხილე“ და სხვ. შესრულდება, აგრეთვე სცენა ანდრია ბალანჩივაძის ქმნილებიდან „მთების გული“.

ჯგუფთან ერთად გაემგზავრნენ თეატრის გენერალური დირექტორი ზურაბ ლომიძე და საბალეტო დასის გამგე მარინე ალექსიძე.

როგორც ბატონმა ზურაბმა გამგზავრების წინ ბრძანა, ეს მიწვევა ესპანეთთან თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მრავალწლიანი ურთიერთობის შედეგია. პირველად 1992 წელს ეწვია ესპანეთს თეატრის ასი მსახიობი, შემდეგ ერთ-ერთ ესპანურ ფესტივალშიც მონაწილეობდნენ. ამჯერადაც დაგეგმილია მოლაპარაკება მათთან შემდგომი თანამშრომლობის საკითხებზე.

გარდა ამისა, ქალაქ ვალიადოლში იხსნება ბალეტის მუზეუმი. საამისოდ ესპანელებმა ითხოვეს მასალები ვახტანგ ჭაბუკიანის შესახებ. ჩვენ ამ მისიას სიამოვნებით ვასრულებთ და მიგვაქვს საკმაო მასალა საჩუქრად. გარდა ამისა, ესპანეთის მხარეს სურს ამ ქალაქში საბალეტო დასის ჩამოყალიბება, ჩვენი მიწვევაც ერთგვარად საფუძველს უყრის ამ ჩანაფიქრს – დასძინა ზურაბ ლომიძემ.

**რუსუდან მუხიგულაშვილი.**

## მსოფლიო შტრიხებში

### ბიჭუნები აჯანყდნენ... კაბისათვის

**ეს ხმაურიანი სკანდალი ამერიკაში, ნიუ-ჯერსის შტატის ერთ-ერთ სკოლაში მოხდა, როცა სკოლის ადმინისტრაციამ დასაჯა რამდენიმე ბიჭუნა გაკვეთილებზე ქვედა კაბით გამოცხადების გამო.**

**ბიჭები აჯანყდნენ და ეს იმით ახსნეს, რომ „თუ კი გოგონებს აქვთ უფლება – ეცვათ კაბებიცა და შარვლებიც, ამისთვის კი მათ არ სჯიან, ჩვენ რა დავაშავეთო...**

**მოზარდებმა ეს სქესობრივი ნიშნით მათ დისკრიმინაციად მიიჩნიეს.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ძიება

# ვაზი და მისი მონათესავე ქართული გვარსახელები

გვარი ხშირად წარმოქმნილია მცენარის სახელწოდებიდან; გვართა სიმრავლის მიხედვით მცენარეთაგან პირველობას არავის უთმობს ისეთი კეთილშობილი სახეობა, როგორიც ვაზია, ცნობილია, რომ სახელწოდება ვაზი მოგვიანებით გაჩენილა. ძველ ძეგლებში უფრო ვენახი გვხვდება. IX საუკუნის ერთ-ერთ ძეგლში ნათქვამია: „მრავალ სახედ გამოხატულ იქნეს, რამეთუ იყო მათ თანა ლომი და ვაზი ვენახი და კაცი და ორბი იგი... და იყო ვაზი იგი ვითარცა ვენახი მღვდელთმოძღურისა ლუკაისგან ქადაგებულ“.

ვენახი ვაზის ზოგადი სახელწოდებაა. ვაზის 500-ზე მეტ ჯიშს ითვლიან, საკუთრივ ვაზს, მისი ლერწის ყოველ მნიშვნელოვან ნაწილს თავისი სახელი ჰქვია. ვაზის ნაწილებია: ფესვები, ლერწი (რქა), ზრი (იგივეა რაც მუშავაზი და ლერწი), ბაბილო, ტოტი, ხვეულა, რკალი, ხე („ჰრქუეს ხეთა მათ რქა-ვენახსა“ მოვედ და იყავ ჩუენ ზედამაფედ-ო იგულისხმება ვაზის ხე). ვაზის ჯიშის ხე — „ვარდული“ ძელი, მაღნარი, კვირტი, რტონი, ჩხა, მწუერვალნი, მასკნე (სკუნა), აყირო, ფოთოლი, ყურძენი („ყრპენი“), ტევანი (და არა მტევანი), ასო მ ართრონია, კლერტი („ბურძღენი“) — ბურძღალი, ღერო, კიწი, მაცუალი, კუფხალი („კუფხალი ტევნის რტო“), ქერქი (ქიზიყში ყურძნის მარცვლის კანი), ლეშკი (ყურძნის ხორცი), ჭაჭა, ღვიძლი (რაჭაში ყურძნის ხორცი), კურკა („ხუნწკალი“), შტრი — „ხუნწკალი“ ყურძნისა და მისთანათა გურკა“ (საბა), შეადარეთ: წკა (მეგრულში), ე. ი. თავში **ხუნ** და ბოლოში **ლი** აქვს ჩამოცილებული, ხოლო ჭკუმი (ჭანურად თესლსა ნიშნავს), წიპწა (იგივეა რაც კახეთში ყურძნის თესლი, ანუ კურკა), ვაზი ექვემდებარება, აგრეთვე, როგორც რტოს გადაწვენას (წიდნას), ისე ნერგით გამრავლებას...

ვაზის მრავალი ჯიშიდან შეიძლებოდა დაგვესახელებინა მაღლარი, ბაბილო (დობილო), ოლიხნარი (ლიხი ფრიად მაღალი „შამბი“-ს სახელი იყო. ვაზთანაა დაკავშირებული ცნებები: ხეივანი, ტალავერი (ტარაველი), დაბლარი, მაღლარი, დარგვა (ძველად „დაასხა“), სარი, ბაღი, ნავენახარი, ღვინო, არაყი, თათარა, ჩურჩხელა, ახალნერგი, ანუ ბაცა, („ბაცად ითქმის ახალშენი ვენახი“), სადაყელვა გადაწიდვნა, სარი (ასარვა, შესარვა), ჭიგო, ხარდანი („სარი ვაზის მანა“-ა, ე. ი. პალო, ანუ მიწაში ჩასარჭობი საყრდნობი): მანა ქართულია, პალო კი ნასესხები ჩანს, „ჭიგო დიდი სარი“, „ხარდანი — სარიანი ვენახი“, ზვარი, ტყე (სასარე), ღობე, ჩხირი (იმერეთში ჰქვია სარს), საყრდნობი, გასხვლა, ნეკი, სამამულე, რქა, დანეკვა, საყურძნე რქა, სანაყოფო რქა, ვაზის მიკვრა, დაკავება, ვენახის შეკონვა „საკონი“, შეხვევა, აჯოჯვა და გაფურჩქვნა, შეყელვა (ყელსაგანაა წარმომდგარი), ზვარი.

ზვარ-ვენახზე თხრობა, ზრუნვა და დამუშავება ყველა ზემოგანხილულითაც არ ამოიწურება. მევენახეს კიდევ არაერთი სხვა სამუშაო და საზრუნველი აქვს. როგორც ვნახეთ, მცენარეთა ათიათასობით ჯიშიდან ვაზი განუმეორებელი მცენარეა, რომლისგან მოწეულ კარგ ღვინოს ვიდრე პირთან მივიტანდეთ, თითოეულ ბუჩქთან ერთი ხუთასჯერ მაინც უნდა მისვლა.

სიტყვა გაგვიგრძელდა. ვგონებთ, რომ მომავალ თაობას უთუოდ წაადგება ზემოთ მოხმობილი ინფორმაცია, რომელიც ვაზთან (ვენახთანაა) დაკავშირებული.

ჩვენი აზრით, ვაზთან (ვენახთანაა) დაკავშირებული ისეთი გვარები, როგორიცაა: **ვაზიძე;** ვაზიძე — ჰყავს ძმა ქურციკა. იგი ძმასთან ერთად ზაალ ერისთავმა შესწირა ალავერდს (1650 წ.); ვაზიძე ქურციკა, ძმა ვაზიძისა (პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტომი II, თბ. 1993, გვ. 165); **ღვინაშვილი,** 1995 წელს აღრიცხულია 562 სული (გურჯაანი, საგარეჯო თბილისი); **ღვინაძე** — 302 (თბილისი, კასპი, გორი); **ღვინიანიძე** — 90 (ქუთაისი, ვანი, წყალტუბო); **ღვინიაშვილი** — 3608 (თბილისი, გურჯაანი, ქარელი); ფუძით ღვინ-ო-თი უნდა იყოს გაწყობილი გვარები: **ღვინერია** — 217 (თბილისი, სამტრედია, ვანი); **ღვინეფაძე** — 368 (თერჯოლა, თბილისი, ქუთაისი), **ღვინტიძე** — 39 (ვანი, ბათუმი), **ღვინცაძე** — 122, ამას მოსდევს **ჭაჭაშვილი** (53), **ჭაჭია** (209), **ჭაჭიაშვილი** (164), **ჭაჭუა** (471) **ჭაჭუკაშვილი** (102).

**არაყიშვილი,** არყიდან მიღებულ გვარად ითვლება; სინამდვილეში წინარე გვარი ყოფილა არაყჩიშვილი, შდრ: დიმიტრი არაყჩიშვილი, მოგვიანებით ჩ ამოვარდა და დარჩა არაყიშვილი.

**კვირტია, კვირტიძე** გვარის ფუძეა კვირტი; კვირტია 567 სულია აღწერილი. **ცერაძე,** შდრ: ცერი, ცერა (ცერად გასვლა): ცერაძე — 235.

**ციცქიშვილის** ფუძეა ვაზის (ყურძნის) ჯიში ციცქა. (ხაშური, თბილისი, ჭიათურა).

**ბადაგაძე,** შდრ. ბადაგი ტკბილი (ტყბილი) მოდუღებული (საბა), ბადაგი, რომელშიც ჩურჩხელას ავლებენ; ბადაგაძე — 295 (დუშეთი, თბილისი, მცხეთა), არის გვარი **ჩურჩხელაშვილიც** (ახმეტა, გურჯაანი, თბილისი).

**ჯანიაშვილი** (აზნაურული გვარია), ფუძე უნდა იყოს ჯანი (ჯანის ვაზი). აქედან ჯანიაშვილი. ჯანიაშვილი — 2610 სული (თბილისი, სიღნაღი, გურჯაანი); **ჯანია** — 25, (ზუგდიდი, თბილისი, ქუთაისი). გვაქვს, აგრეთვე, მრავალი ქართული გვარსახელი, რომლებიც ნაწარმოებია სიტყვისაგან (ჯან-ი) ინდოურ-სპარსულად ნიშნავს სულს), შდრ: **სულავა, სულაშვილი, სულიაშვილი** და სხვ.

**ბურკაძე,** ბურკა იგივეა რაც თესლი, წიპწა, კურკა, აქედან ბურკაძე — 660 სული (ვანი, სამტრედია, თბილისი); შდრ: **ბურიკაშვილი.**

**ზედაშიძე,** ზედაშე ღვინოსთანაა დაკავშირებული, ზედაშე შესაწირავი, ზიარების დროს ან ჯვრისწერის შესრულებისას 11 საეკლესიო დღესასწაულისათვის საგანგებოდ შემონახული საუკეთესო ღვინოა. ღვინო. შდრ. მეზადაშე (საბა, 278). ზედაშე (ზედაშისა) (ძვ.).

**ხრიკაძე** — ხრიკული, ხრიკა დიდი კოპე, ხრიკ-ი, ხრიკა სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარება. ხრიკა (კუთხ.) ორშიმო (ქვევრიდან ღვინის ამოსაღები ჭურჭელი (ქეგლი, 583). ხრიკაძე — 283 (ბორჯომი, თბილისი, ახალციხე). **ხრიკული** — 281 სული. (თბილისი, ახალციხე, კასპი).

**მაჭარაშვილი, მაჭარაძე,** მაჭარაშვილი — მაჭარი (მაჭრისა) ახლად დაყენებული დაუდუღარი ღვინო (ქეგლა, 286) მაჭარაშვილი — 8099 (საჩხერე, თბილისი, ჭიათურა); მაჭარაძე — 897 (თბილისი, ქუთაისი, სამტრედია).

**ჯანჯუხაძე,** ჯანჯუხას იგივე ჩურჩხელას (შდრ. ჩურჩხელაშვილი, ამოავლებდნენ გურულები. ჭანჭუხ-ი, ჯანჯუხ-ა (კუთხ.) იგივეა, რაც ჩურჩხელა. ჯანჯუხაძე — 31 (გურჯაანი, სიღნაღი, ქუთაისი).

**ძინძიბაძე,** გვარი შედგება ფუძისაგან ძინძი და ორი სუფიქსისაგან -ბა და ძე. ძინძი, ველური ყურძენი, კრიკინა ვაზის ჯიშია. შდრ. ძინძაძინძა ძლიერ დასხმულად, მსხმოიარედ (ხილი...), „ჩვენს ვენახში — ძინძაძინძა, თქვენს ვენახში — კიმპლა-კიმპლაო“ (ქეგლ. 545).

**ძინძაბაძე** — 995 (საჩხერე, ჭიათურა, თბილისი).

**ბარდაძე** — შდრ. ვაზის ჯიში — ციცაბარდა, თეთრი ბარდა. ბარდაძე — 218 (თბილისი, კასპი, მცხეთა).

**ჩხაიძე** — ერთ-ერთი ვარიანტით გვარის ფუძეა ჩხა. ჩხა იგივეა, რაც ყურძნის მტევნებით აჭრილი ვაზის ტოტი, ჩხაიძე — 6977 (ლანჩხუთი, თბილისი, ოზურგეთი).

**ბაგაური, ბაგა** — ჰქვია, აგრეთვე, ახალგაშენებულ ვენახს, ვაზების ბაღს, ახალგაშენებულ ვენახს, ახალი ნერგი ანუ ბაგა ერქვა „ბაგად ითქმის ახალშენი ვენახი“. ბაგაური — 858 (ახმეტა, თბილისი, რუსთავი). შრდ. ბაგიაშვილი.

**ხუნწარია, ხუნწელია,** ვარაუდით ხუნწკალთან უნდა იყოს დაკავშირებული.

**მარანელი,** მარანი სოფლის სახელწოდებაცაა და ღვინის დასაყენებელი და შესანახი ადგილიც. სოფლის სახელიდანაა გვარიც მარანელი. შდრ. **ჭურაძე** (ჭური), ჭურმარანი ვაზთან, ყურძენთან, ვენახთანაა დაკავშირებული. მარანელი — 268 (თბილისი, გორი, სამტრედია), ჭურაძე — 402 (ზესტაფონი, თბილისი, ქუთაისი). შდრ. ჭურკვეიძე.

**ჯაში, ჭაშია, ჯაშაშვილი** — „ჭა“, ხეზე გასაშვები ვაზის ჯიშების ზოგადი სახელი იყო. შდრ. ო-ჯა-ლეში. ამ გვარებში ფუძეა ჭა, ში და შვილი სუფიქსებია.

ჯაში — 1007 (თბილისი, ოზურგეთი, ბათუმი). **ჯაშია** — 57 (ზუგდიდი, მარტვილი, თბილისი); **ჯაშიაშვილი** — 1339 (თელავი, თბილისი, თეთრიწყარო). **ჯაშატაშვილი** — 66 (თერჯოლა, ქობულეთი, ბათუმი).

**სარიშვილი,** სარი იგივეა რაც ჭიგო. სარი ვაზისთვის შესადგმელი ხე. სარიშვილი — 1279 (თბილისი, ოზურგეთი, ლანჩხუთი); **სარია** — 359 (წალენჯიხა, ზუგდიდი, თბილისი); (სარიშვილი, სარა, შდრ: მანაშვილი; მანა სარი ვაზის მანად იყო მიჩნეული (შდრ. მარნეული).

**ბაბილოძე,** ბაბილო იგივეა, რაც უსურვაზი. უსურვაზი — ველური ვაზი,— ბაბილო, კრიკინა (ქეგლ., 433). ბაბილოძე — 521 (ოზურგეთი, ქობულეთი, თბილისი) და სხვ.

ასეთია მოკლედ ჩვენი წიაღსვლები ვაზთან და ვენახთან დაკავშირებული გვარების.

**იაკობ ახუაშვილი.**

ადამიანი დროში

# ლამაზი გაკვეთილის „რეჟისორი“

**ქართული ენის კანონპროექტის ირგვლივ გამართული გაცხარებული სჯა-ბაასია. ბევრს ჭირდება შეხსენება, რომ ამ საქმეში დიდი პასუხისმგებლობა მასწავლებლობას აკისრია. კარგად უნდა ვიცოდეთ ვინაა ჩვენი შვილის ქართულის მასწავლებელი, ვინ ასწავლის ახალგაზრდობას სახელმწიფო ენას, ვინ უნერგავს მათ ქართული ლიტერატურის, წიგნის სიყვარულს.**

გაგაცნობთ ერთ-ერთ მათგანს. ის დედაქალაქის განათლების სისტემაში კარგად არის ცნობილი და მშობლიური ენისა და ლიტერატურის ერთ-ერთ საუკეთესო მასწავლებლად ითვლება. მის საქმიანობას წლების განმავლობაში იმ დროიდან ვადევნებ თვალს, როცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ ჩოხატაურის რაიონის სოფელ ბუკნარის საშუალო სკოლაში ჩავიდა სამუშაოდ; იქ მეუღლის მშობელი ელოდა თავის დედისერთას...

ბუკნარელები შეხვედრისას დღემდე ასე მოიხსენიებენ მარიკა გელიაშვილს — „ჩემი ქართულის მასწავლებელი“. მეუღლის დედის გარდაცვალების შემდეგ ოჯახი თბილისში დაბრუნდა; ის ახლა დედაქალაქის 155-ე სკოლაში მუშაობს.

მივაკითხე. ქართული ლიტერატურის სანიმუშო კაბინეტი მოუწყვია. აქ ჩატარებულ მის გაკვეთილსაც დავესწარი... ამ კაბინეტში კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებისადმი მიძღვნილ ლიტერატურულ საღამოზეც „მე ვარ სარანგი“ მოვხვდი. შევხვდი მისი სკოლის მე-10 კლასელებს; დავესწარი მათ მიერ მომზადებულ ლიტერატურულ-მუსიკალურ საღამოს „როგორ უყვარდათ“. იგრძნობა, რომ სკოლის ქართული ლიტერატურის კაბინეტი აქ მოსწავლეებისათვის მეორე ოჯახად უქცევიათ. ქართველი კლასიკოსი მწერლების სურათებსა და მათი ნაწარმოების გვერდით, იქ სადაც კონსტანტინე გამსახურდიას სურათიცაა გაკრული, კვარცხლბეკზე მოსწავლე ლევან ქვანიას მიერ „აშენებული“ სვეტიცხოველის მაკეტიც დგას. აქვე შეიძლება მწერლის ხმის მოსმენა... მოსწავლეებთან საუბარი კი გარწმუნებთ როგორ ახლოს არიან ისინი მისულნი ამ მწერლის გმირებთან; არ უჭირთ, სვეტიცხოვლისა და არსაკიძის მარჯვენის ხოტბის შესხმა... ლიტერატურის კაბინეტში სიყვარულის თემაზე გამართულ საღამოზე კი ისინი ფეხდაფეხ „მისდევდნენ“ არსაკიძეს სვეტიცხოვლის მშენებლობაზე, დიდგორში „ახლდნენ“ დავით მეფე აღმაშენებელს!.. მსჯელობდნენ დედისიმედის და დავით მეფის, თამარისა და თარაშ ემხვარის, შორენასა და არსაკიძის უიღბლო, მაგრამ დიდ და ლამაზ სიყვარულზე, შორენას — ნინო მათიაშვილი ასრულებდა, თამარს — მედეა ბერძენიშვილი, თარაშს — ირაკლი ბერიძე, არსაკიძეს — ზაალ სვანიძე, ნიკა დარჩიაშვილი ხომ ნამდვილი „მეფე გიორგი“ იყო...

ასეთი ღონისძიებები, მარტო წარსულისკენ ყურება როდია, მას ჩვენი დღევანდელობისთვის და მომავლისთვის კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს.

მე-11 კლასელებთან, გაკვეთილზე როცა მასწავლებელი „აპოლონიოს როდოსელის“ „არგონავტიკას“ ხსნიდა, როცა მოსწავლეებს მსოფლიო ლიტერატურის შედევრებს აცნობდა, საოცარი ჰარმონიული ურთიერთობა იგრძნობოდა მოსწავლეებსა და ამ სკოლის ქართული ლიტერატურის მასწავლებელს შორის. მის მიერ მოწყობილ სკოლის ქართული ლიტერატურის კაბინეტი ხომ იმითაც არის საინტერესო, რომ იქ ინახება იშვიათობად ქცეული ვიქტორ ნოზაძის მიერ 1975 წელს პარიზში გამოცემული „ვეფხისტყაოსნის“ „მიჯნურთმეტყველება“, 1958 წელს ამავე ავტორის მიერ სანტიაგოში გამოცემული „ვეფხისტყაოსნის“ საზოგადოებით მეტყველება“, გიორგი ახვლედიანის „ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები“, არნოლდ ჩიქობავას „ენათმეცნიერების შესწავლა“... ვაჟას, ილიას, აკაკის... ყველა ქართველ კლასიკოსთა ნაწარმოებები. მდიდარი ლიტერატურითაა წარმოდგენილი მართლმადიდებლური რელიგიის კუთხე. ინტელექტუალთა კუთხეში კი მსოფლიო ლიტერატორთა, ფილოსოფოსთა, სწავლულთა ნაშრომებია თავმოყრიილი. ლიტერატურის კაბინეტი მდიდარია მასწავლებლის მიერ შეგროვილი ხელოვნების უნიკალური ალბომებით. ქართული ლიტერატურის კაბინეტში ღონისძიებებზე მოდიან პედაგოგები, მოსწავლეები, მათი მშობლები, კურსდამთავრებულები და ყველა, ვისაც წიგნი და მშობლიური ლიტერატურა უყვარს... ბუკნარელების შემდეგ სწორედ მათგანიც მოვისმინე მარიკა გელიაშვილის მისამართით ნათქვამი „ჩვენი ქართულის მასწავლებელი“. მის მიერ მომზადებული ღონისძიებები კი კლასგარეშე მუშაობის მეთოდიკის ჩარჩოებშია მოქცეული, თუნდაც მაშინ, როცა საღამო გაიმართა „სიჩუმეში ანგელოზმა ჩაიარა“ და იყო შეჯიბრი ქართულ ხატოვან სიტყვათა თქმებში.



... მასწავლებელ მარიკა გელიაშვილს მზადა აქვს სამი შრომა: „მწერლის ენაზე დაკვირვება სკოლაში“ (ძველი ქართული ენის მასალების მიხედვით), „რუსთველური მეგობრობის ზნეობრივი ძალა“ („ვეფხისტყაოსნის“ ტექსტებზე მუშაობის გამოცდილებიდან), „გალაკტიონის ბიოგრაფიის სწავლება“ (მწერლის ლექსისა და წერილების მიღმა), მაგრამ თავისი ნაშრომები ფინანსური სიძნელეების გამო ვერ გამოუცია.

წლების განმავლობაში მარიკა გელიაშვილი არაერთხელ დასახელდა დედაქალაქის წლის საუკეთესო მასწავლებელთა შორის, წარმოჩინდა „მასწავლებელი-მკვლევარის“ ლაურეატთა შორისაც. არის უმაღლესი კატეგორიიის მასწავლებელი, ღირსების ორდენის კავალერი. ჩაბარებული აქვს საკანდიდატო მინიმუმი და არასოდეს გაუწყვეტია კავშირი მშობლიურ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. კითხულობს ლექციებს მეტყველების კულტურაში, ქართულ ენაში, პრაქტიკულ სტილისტიკაში, ხელმძღვანელობს სტუდენტთა პედაგოგიურ პრაქტიკას.

მასწავლებელ მარიკა გელიაშვილს თაავის საქმიანობაში სკოლის დირექტორის სარდიონ შაფათავასი და პედაგოგიური კოლექტივის თანადგომაც შველის. საგულისხმოა მის ერთ საქაღალდეში მოქცეული მოსწავლეთა მრავლისმეტყველი ბარათებიც:

— „მარიკა მასწ... თქვენ ჩემთვის მარტო მასწავლებელი არ იყავით. საიდუმლოს გაგიმხელთ, ჰუმანიტარულ კლასში სწავლის გაგრძელება რომ გადავწყვიტე, მიზეზი თქვენ ხართ. თამუნა ბუდაღაშვილი“.

„სკოლა დავამთავრე, კვლავ მენატრებით, თქვენ შემაყვარეთ ქართული. მაია ქსოვრელი“.

„საგნის გარდა ცხოვრების შესახებ ბევრი გვასწავლე. ნინო მათიკაშვილი“.

„მასწავლებლის გარდა, თქვენ ჩვენი მეგობარიც იყავით. ყველანი ერთმანეთთან დაგვამეგობრეთ. ნუცა მემარნიშვილი“.

— „ჩემთვის ლამაზი გაკვეთილის „რეჟისორად“ დარჩით. ნინო ბიგვავა“.

— წლების განმავლობაში ჯილდო და პატივი არ დამკლებია, მაგრამ ჩემთვის ყველაზე დიდი პატივი მოსწავლეთა ეს ბარათებია და წარმატებები, რომელსაც ისინი ქართულში აღწევენ. ილიას თქმისა არ იყოს „სხვა შენთვის და შენ სხვისთვის, აი, გზა ცხოვრებისა, აი, ხიდი ცხოვრებისა, აი, გასაღები სამოთხისა“. — მას ასე სწამს თავისი პროფესიის ხიბლი.

**ნათელა ვარდოსანიძე.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 63, ორშაბათი, 10 მარტი, 2003 წელი.

უცნობი ისტორია

# ბრძოლა კავკასიისათვის

## (1942–1943 წლები)

1921-1932 წლებში ო. ფონ ნიდერმაიერი რეიხსვერის არაოფიციალური წარმომადგენელი იყო საბჭოთა კავშირში. როგორც ამერიკელი მკვლევარი ს. მიტჩი აღნიშნავს: „ნიდერმაიერი არ ერიდებოდა აღმოსავლეთში ნაცისტების პოლიტიკის კრიტიკას, რომლის თანახმადაც, საბჭოთა კავშირის არაგერმანელი ხალხები არაადამიანებად ითვლებოდნენ“.

მისდამი დამორჩილებული ახალი ცენტრები სასწავლო ბანაკებით შეიქმნა პოლტავის ოლქის ტერიტორიაზე. კერძოდ, ქართული ლეგიონი მდებარეობდა გადიაჩის ტერიტორიაზე. აქ შექმნილი ქართული ლეგიონის მეთაურები იყვნენ პოდპოლკოვნიკი რისტოვი, შემდეგ პოდპოლკოვნიკი დრ. მაუსი, პოდპოლკოვნიკი ჰაინე და დამამთავრებელ ეტაპზე — პოდპოლკოვნიკი ლინდე.

ამასთან, ვარშავის აღმოსავლური ლეგიონების ფორმირების ცენტრებისგან განსხვავებით, სადაც გერმანულ კადრის პერსონალს აღმოსავლური ლეგიონების ბატალიონებს მუდმივად ამაგრებდნენ და აღარ აბრუნებდნენ მათ წარმომგზავნ გერმანულ დივიზიებში, აქ სახმელეთო ჯარების გენერალური შტაბის საორგანიზაციო განყოფილების ბრძანებით, დივიზიები, რომლებზეც უკრაინაში შექმნილ ლეგიონთა ბატალიონების მომაგრება იყო გათვალისწინებული, ვალდებული იყვნენ თვითონ წარედგინათ კადრის პერსონალი ამ მომავალი ბატალიონების ლეგიონერთა სწავლებისათვის.

1942 წლის მაისიდან 1943 წლის მაისამდე უკრაინაში მოხერხდა ქართული ლეგიონის მხოლოდ ოთხი ბატალიონის შექმნა.

1943 წლის მაისში უკრაინის აღმოსავლური ლეგიონების ფორმირების ცენტრი გადააკეთეს ექსპერიმენტულ 162-ე თურქულ ქვეითი დივიზიად, რომლის მეთაურად დაინიშნა გენერალ-მაიორი, ო. ფონ ნიდერმაიერი, მისი ჩამოყალიბების ბაზად გამოიყენეს ფორმირების სტადიაში მყოფი აღმოსავლური ლეგიონების ბატალიონები, მათ შორის ორი ქართული ქვეითი ბატალიონი.

თუმცა, ზოგიერთი ავტორის აზრით, 162-ე დივიზიის 303-ე თურქულ ქვეით პოლკში შედიოდა ქართული სამთო მსროლელთა ბატალიონი 1/1, რომელიც, თავდაპირველი ჩანაფიქრის მიუხედავად, 1942 წლის შემოდგომაზე მაინც არ გაიგზავნა კავკასიის ფრონტზე ტუაფსესთან მებრძოლ პირველ სამთომსროლელ დივიზიაში, მაგრამ გ. გაბლიანის ამას წინათ გამოქვეყნებული ნაშრომის ეს მოსაზრება არ დასტურდება.

კერძოდ, გ. გაბლიანის ცნობით, რომელიც იმ დროს ქართული სამოკავშირეო შტაბის სამხედრო განყოფილებას ხელმძღვანელობდა და რომლის მოვალეობაში შედიოდა რეგულარული კონტაქტების დამყარება ფრონტის სხვადასხვა უბანზე დისლოცირებულ ქართველ მოხალისეთა ნაწილებთან, 1943 წლის ზაფხულში ნოიჰამერის (სილეზია) საწვრთნელ პოლიგონზე 162-ე დივიზიის გადასროლის შემდეგ, სადაც დასრულდა კიდეც დივიზიის ფორმირება, „მის შემადგენლობაში დარჩნენ მხოლოდ თურქმენი და აზერბაიჯანელი ჯარისკაცები. დანარჩენი ეროვნების ლეგიონერები გადაიყვანეს პოლონეთში მდებარე აღმოსავლური ლეგიონების ფორმირების ცენტრში“.

ამასვე ამტკიცებს თავის მემუარებში შ. მაღლაკელიძეც.

დასასრულს, აუცილებელია აღინიშნოს, რომ, თუმცა, უკრაინაში აღმოსავლური ლეგიონების ფორმირების ცენტრის ძირითადი მიზანი იყო 1942 წლის ზაფხულში და შემოდგომაზე კავკასიაში მებრძოლი გერმანული დივიზიებისათვის ქართული, აზერბაიჯანული და სომხური ბატალიონების დროული ჩამოყალიბების უზრუნველყოფა, ობიექტური მიზეზების გამო (უწინარეს ყოვლისა, თავად ცენტრის ძალზე გვიანი შექმნა) საბრძოლო მოქმედებათა კავკასიურ თეატრში მონაწილეობისათვის ორი ქართული ბატალიონი შეიქმნა და კავკასიის ფრონტზე ჩავიდა მხოლოდ 1942 წლის დეკემბერსა და 1943 წლის იანვარში, იმის გამოც, რომ 1943 წლის 1 იანვრიდან დაიწყო სტალინგრადის კატასტროფით გამოწვეული გერმანიის ჯარების საერთო უკან დახევა კავკასიიდან, ხსენებული ბატალიონები მიამაგრეს არმიათა „ა“ ჯგუფის დივიზიებს, ფრონტის ყუბანის უბანზე რომ იმყოფებოდნენ. კერძოდ, ბატალიონი 1/9 შეიყვანეს ვერმახტის მე-9 ქვეითი დივიზიის შემადგენლობაში (ნოვოროსიისკის ყურის ჩრდილო-დასავლეთი), ამავე დროს ყირიმიდან ჩამოსული ბატალიონი II/4 დაბანაკდა ტამანის ნახევარკუნძულზე მე-17 არმიის ზურგში, 1943 წლის მარტ-აპრილში ყუბანში მცირე ხნით ყოფნის შემდეგ, ორივე ნაწილი გადაიყვანეს ყირიმში, სადაც იყენებდნენ ნახევარკუნძულის სამხრეთ სანაპიროს დასაცავად.



ქართული ბატალიონის „ბერგმანი-I“ ლეიტენანტი: ქუდზე ხანჯლის ემბლემით.

უნდა აღინიშნოს, რომ კავკასიისათვის ბრძოლებში მონაწილე ხუთ ქართულ ბატალიონს შორის, ყველაზე ბრძოლისუნარიანი აღმოჩნდა აბვერის ეგიდით შექმნილი განსაკუთრებული დანიშნულების კავკასიური შენაერთი „ბერგმანი“, აგრეთვე, პოლონეთში ჩამოყალიბებული ქართული ლეგიონის პირველი, 795-ე საველე ბატალიონი.

### განსაკუთრებული დანიშნულების კავკასიური შენაერთი „ბერგმანი“

აბვერის ობერლეიტენანტის (1942 წლის ივლისიდან — კაპიტნის) პროფ. ტ. ობერლენდერის პირადი ინიციატივით შექმნილი განსაკუთრებული დანიშნულების კავკასიური ბატალიონი „ბერგმანი“, სტრუქტურითაც და მის წინაშე დასახული ამოცანებითაც არსებითად განსხვავდებოდა ქართულ ლეგიონში შემავალი გერმანიის არმიის ქართული საველე ბატალიონებისგან. ასეთი შენაერთის შექმნის იდეა ტ. ობერლენდერის ჯერ კიდევ 1941 წელს გაუჩნდა. საბრძოლო მოქმედებათა კავკასიურ თეატრში ვერმახტის ოპერაციებთან დაკავშირებით კავკასიელებით დაკომპლექტებული განსაკუთრებული დანიშნულების შენაერთისათვის უნდა მიენდოთ საჰაერო-სადესანტო ოპერაციების განხორციელება, ჯვრის უღელტეხილზე (2382 მეტრი ზღვის დონიდან), საქართველოს სამხედრო გზაზე მდებარე სტრატეგიული დანიშნულების ობიექტების ხელში ჩასაგდებად. ასეთი ოპერაციების წარმატების შემთხვევაში, სარდლობის ჩანაფიქრით, გერმანიის ჯარებს აღარ გაუჭირდებოდათ კავკასიის ქედის გადალახვა ვლადიკავკაზსა და თბილისს შორის.

იდეა პირადად მოიწონა აბვერის უფროსმა, ადმირალმა კანარისმა, ობერლენდერს რომ მიანდო შესაბამისი ეროვნების სამხედრო ტყვეთაგან ბატალიონის დონეზე განსაკუთრებული დანიშნულების შენაერთის ჩამოყალიბება.

საბჭოთა სამხედრო ტყვეების ბანაკების პირადად მონახულების შედეგად ობერლენდერმა და მისმა მოადგილემ, თბილისში დაბადებულმა ზონდერფიურერმა ვ. ფონ ვუტჩენბახმა გულმოდგინე შერჩევის საფუძველზე გადაიბირეს 700-მდე ქართველი, აზერბაიჯანელი, ჩრდილო კავკასიელი და სომეხი. გარდა ამისა, საბჭოთა სამხედრო ტყვეების შენაერთში ჩართეს დაახლოებით 130 ქართველი ემიგრანტიც, ძირითადად საფრანგეთის არმიის ყოფილი სამხედრო მოსამსახურეები, რომელთაგანაც ჩამოყალიბდა აბვერის სპეციალური ქვედანაყოფი „თამარი-II“. გერმანელი კადრის პერსონალი, ვერმახტის აღმოსავლური ლეგიონების საველე ბატალიონებისგან განსხვავებით, შეადგენდა არანაკლებ 300 რჩეულ ოფიცერს, უნტეროფიცერსა და ჯარისკაცს. შენაერთის ფორმირების ადგილი იყო ნოიჰამერის (სილეზია) სასწავლო-საწვრთნელი პოლიგონი. იქ მყოფმა კავკასიურმა შენაერთებმა მიიღეს გერმანული სამთო ეგერების აღჭურვილობა. განსხვავება, მხოლოდ ის იყო, რომ ვერმახტის სამთო-მსროლელთა ნაწილების ჯარისკაცებისგან განსხვავებით, თავიანთი კეპების (Bergmutze) მარცხენა მხარეს ედელვაისის ყვავილის ფორმის ნიშანს რომ ატარებდნენ, „ბერგმანის“ სამხედრო მოსამსახურეები იქ იმაგრებდნენ კავკასიური ხანჯლის ფორმის ლითონის ემბლემა-შენაერთის არაოფიციალურ ნიშანს.

შეიარაღებაში ძირითადად ჰქონდათ მსუბუქი იარაღი: ხელის ტყვიამფრქვევები, ასეულის ნაღმტყორცნები, ტანკსაწინააღმდეგო თოფები და გერმანული წარმოების კარაბინები. ბატალიონის უნიკალურობა ის იყო, რომ, ვერმახტის ჩვეულებრივი ნაწილებისგან განსხვავებით, ამ შენაერთის სამხედრო მოსამსახურეები პირადად ადოლფ ჰიტლერის კი არა, არამედ გერმანიის რაიხის შეიარაღებული ძალების ერთგულების ფიცს სდებდნენ.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 51, 58.

იხ. მე-11 გვ.

პოეზია უპირველეს ყოვლისა

## მთვარისა კერესელიძე

* * *

ხევ-ხევ ჩაფრინდა ნისლები,
ღამე ყორნისფრად აფრინდა,
ნააპრილ-ნამაისები,
გზები ჩახერგა, ჩაფლითა...
ქსანზე შეერთდა, ბილიკი,
პირაქეთა და პირიქით!
ყავლი გაყუცვდა ბებერ „ბენს“
კვლავ გონებაში ხმიანობს,
„წყალნი წავლენ და წამოვლენ,
ქვიშანი დარჩებიანო!“

* * *

ახალი, ახალ-ახალი
მოდის სყლ სიცილ-ხარხარით,
წყხილით მიდის ძველი!
არ დამიყრია ფარ-ხმალი,
არ დავალ ხანხალ-ხანხალით
წინაც დიდება მელის!
გული ისევე მღერის
გაბზარული და დაღლილი...
მოვდივარ, ძველი ხალიბით
ჩამხატრებია მცერი!
ნამყისაგან დაცლილი,
რას მეცილება მაცილი,
მომაქვს მოჭრილი მარჯვენა!
რა არ დაგვწამეს, რა ცილი,
ვწამლავენ უცხო ბაცილით
ვაწყევლინებენ გაჩენას!
ეს ვინ არიან, ასეთი,
რა გადაგვკიდა გამჩენმა!

* * *

ისევ ისე სათცარ, გაზაფხულის ფერებით,
მიცოვებული სალოცავს —
სოფელს მივეფერები...
აქ ისევ გაიჭრება, ზეცისაკენ სარკმელი,
ისევ აყრაცხელი მომაწყდება სათქმელი...
აქედან იკვეთება სამოსახლო სამასი,
სიდიადე დავითის, ბრწყინვალება საბასი...
ამიცრომაც სათცარ გაზაფხულის ფერებით,
მიცოვებული სალოცავს —
სოფელს მივეფერები!

## გამოცხადება

საქართველო ვაზიათ,
გზას ჭეშმარიცგს აზიარობს,
სყრვილია ოდითგანვე იბერთა!
განა ახლა სამშობლოის სიყვარული
მიბერდა?!

ჯერ რადროის სიბერეა?
ახლა ისევ ჭაბუკდება ქართლი!
კლდეზე ისევ ნათელია, იისფერი
სანთლის!

ის ალავი, ალავია თყბლის,
მასში ხელი ყრევია ყფლის!
ეს ქედები, ეს ჭალები და ნაპირი,
არის ყფლის ბოძებული, დანაპირი!
აშრიალდა ცყეში შინდის ცოცი,
მოდის, მაგრამ რა მთა კაცი მოდის!
დიდგორიდან მოდის კაცი მთა ვით,
— ვინ იქნება?
— ყძლეველი დავით!
თავზე მეფის შარავანდი ეფარვის,
და ყმზერენ მეისრენი შეფარვით...
ნაბიჯები ყდრეკელი, მეფყრი,
მზეი ადგას ქედებს, ნისლებშებყრვილს!
მოდის თასი ზე ყჭირავს ნებისად,
სამშობლოის მისის ყკვდავებისად!

## იმერული ესკიზები

ც. ნადირაძეს

ლყრჯო მთებო, რიყო-ჭრიყო,
ყფლის ხელით გამოჭრილო,
სახსვისოდ არ გამიმეცრო
ჭრელფარჩება იმერეთო!
მთიდან — მთაზე და რა მთათა,
იადონი გადაფრინდა,
ხოხობივით აფართხალდა
მზე ყლყრჯეს სადაფიდან!

* * *

საქართველო ღმერთია
საქართველო ერთია
ყველაფერზე მეცია — ეს!
ვეჯერა, თყ არ ვეჯერა
მეეცრაცე წერს!
ყველა, ყველა, ყველა,
ვეიფათყრებს ხელს!
გაიყიდა ყველაფერი
მიწა,
ცა
და წყალი...
და ვეიბერავს, მაგრამ
განა ზყრვის ქარი?!
გზას ვეილობავს ლელვაც,
ელვაც, ქარიშხალიც,
საყკყნის ქარი!
საყკყნის ქარი!
აღარ ვეიდგას დარები,
იასამნის ქარების
იელებს რომ ერთვიან
კვლავ სამშობლო მარადი
(ლოცვა კყბოს კარამდის)
მიწიერი ღმერთია!

## ციკლიდან ჩემი აფხაზეთი

საითა ხარ მახარია,
ხე იმედის გამხმარია,
ხომ არ გახდი ხახყლი და ცვათ,
დახაცყლო ოქროს ფყნჯით,
რომ არ გახდე არცვანყჯი,
დამიბრყნდი აფხაზეთის ცათ!

## სიმღერა ბათუმზე

აქ მზის წვიმებმა დამაწვიმეს
აქ სიყვარყლის წვიმა წვიმს,
ცოცვა მეც გამინაწილე,
შენი სითბო და სინათლე.
ვარდის წვიმებმა დამწვიმეს
შენი თვალების ხაროდან,
თყ სიყვარყლით დამწვი, მე,
მაშ რაღად მომიხაროდა.
ბათუმი,
ჩემი ოცნების ქალაქი.
ბათუმი, — ზღაპარია და არაკი!
ჩემი სიცოცხლის ნაწილო
შენი თვალები მინათებს,
თანაბრად გავინაწილოთ,
შენი სითბო და სინათლე.
სიცოცხლის წვიმამ დამწვიმა,
შენი თვალების ხაროდან,
ორთავ თვალების სინათლე
და სიხარყლის წყარო ხარ!
ბათუმი,
ჩემი ოცნების ქალაქი,
ბათუმი, — ზღაპარია და არაკი!

* * *

დიდება შენდა საწყთროთ,
დიდება შენდა!
ვინაც შენ გენდო
ველარ აშენდა...

* * *

შენ ჩაიარე ქილიკით
მარადისობის ბილიკი,
მე კი, მე მინდა, პირიქით
მზის ვარდისფერი ბილიკით,
ზღვის სილაჟვარდით, ან ძალით,
ყაყაჩოების ხანძარი...
შემოხიზნყლი ვარდები...
და მყდამ შენზე ვილოცებ,
მყხლებზე დაგივარდები...

## ზოგიერთებს

ძველ სამოსელში ახლებყრად
გამომზირალი,
განა თქვენსავით ყაჩაღი ვარ, ანდა
ფირალი!
...
რა თავში ვიხლი ახლა ოცნებას?!
„ვაი შენ, ჩემო მშიერ-მწყყრვალო,
შიშველ-ცოცველო პაცრიოსნებავ!“

* * *

მინავლდა სანთელი, აზრის
საკყროსეველზე რომ ენთო
მაინც ხომ გადარჩა ცვაძრის
ნანგრევში — მაღალო სვეცო!
დანგრეყლ ცვაძრიდან ისმის
რეკვა გადარჩენილ ზართა,
მოდი, მომაფარე კალთა!
მოდი, მომაფარე კალთა!

* * *

დამთავრდა ერთი ფყრცელი
ჩემი ცხოვრების დაისის,
ვით შემოდგომა ყცვლელი,
ყჭკნობი ედელვაისი...

გაყხარელი მაისი,
მდევდა ცხოვრება ბყლითა,
და ხოხობივით ნაისრი
ლექსი ჟონავდა გყლიდან!

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## ლიტერატურული წიაღსვლები

# პოეზიის დასაცავად

## რილკეს წერილების ახალი თარგმანის გამო

**„იძულებული ვარ გავაკეთო ის, რასაც არ ვისურვებდი და თუკი ჩემს სიტყვებში გონივრული საბუთების ნაცვლად მხოლოდ კეთილი ნება იქნება, მომიტევეთ. თითქმის უშედეგო და ნაღვლიან მოვალეობად მიმაჩნია დავიცვა პოეზია, ადრე უპირველესი პატივის საგანი, დღეს კი პატივაყრილი“...** — ამ სიტყვების ავტორი, ინგლისურენოვანი სონეტის ფუძემდებელი ფილიპ სიდნი, მისივე ეპოქის, XVI საუკუნის, ჰუმანიტართა შეშფოთებას გამოხატავს და პოეზიისადმი თანამედროვეთა გულგრილობას იდეალიზებული წარსულის გამოხმობით ცდილობს.

წარსულში ჩასახლება, ყველა დროის რომანტიკოსთა თავშესაფარი, უპირველესად დროთა დარღვეული კავშირის აღდგენას ითვალისწინებს.

გაივლის რამდენიმე საუკუნე და ავსტრიელი პოეტი რაინერ მარია რილკე იგივე სიდნის ეპოქაზე იწყებს ნოსტალგიას. თვლის, რომ თანამედროვე მანქანურ ცივილიზაციას ნამდვილ საგნებთან არაფერი აქვს საერთო და მომავლის მძიმე წინათგრძნობები იპყრობს. განიცდის ახალ დროებაში პოეზიის მიუსაფრობას და მთელი თავისი არსით მისდამი ერთგულებას და მფარველობას გამოხატავს.

პოეზიისთვის უდროობის ხანა — არის ყველა დროის პოეტთა თემა. განსხვავება მათ შორის გამოხატვის ფორმებსა და მეთოდებშია, რაც პოეტთა ინდივიდუალობის ნიშნით და მათივე ბედით ხდება მნიშვნელოვანი.

დღეს თითქმის არაფერს გვეუბნება და ოდნავ პათეტიკურადაც ჟღერს, რომ კაცობრიობის ყველაზე ცნობილი მოაზროვნენი პოეტები იყვნენ, ანუ სალექსო ფორმით გამოხატავდნენ თავიანთ პიროვნულობას: ჰომეროსი, ჰესიოდე, დანტე, რუსთაველი, პეტრარკა, გოეთე... მით უმეტეს, რომ რთულად აზროვნება და დეფინიციათა გამოთქმა პოეზიისთვის სულაც არ გახლავთ აუცილებელი...

ამ და სხვა ლიტერატურული და ისტორიული გამოცდილების მიუხედავად, ეჭვმიუტანლად მჯერა, რომ დღეს, სწორედ ჩვენს დროში, გახლავთ პოეზია ყველაზე დაუცველი და განწირული.

ასევე, მიუხედავად იმისა, რომ ერთი საუკუნეა ვსაუბრობთ სულის კრიზისზე, ევროპის (ანუ ფაუსტური კულტურის) დაცემაზე, გარდაუვალ კატაკლიზმებსა და ცივილიზაციაზე, როგორც არსებობის ტრაგედიის მიზეზზე, ხელოვნების ახალ საზრისზე და სხვ. პოეზიის სივრცე უფრო და უფრო შეუღწევადი ხდება.

თუკი ადამიანისათვის პოეზია ოდესღაც მისტერიული გარემო იყო (პ. ვალერი), დღეს მსგავს არამატერიალურ გაურკვევლობებს თითქმის აღარ საჭიროებენ. ადამიანთა მასას აქვს პოეზიისადმი თავისი დამოკიდებულება, თავისი გაგება, რაც ფაქტიურად იგივე ვერგაგებაა. ეს „ვერგაგება“ ნიჰილიზმით, ფასეულობებისადმი ცინიკური დამოკიდებულებით ხასიათდება ან სულაც გამიჯვნით ნამდვილ, მაგრამ მათთვის გაუგებარ საგანთან.

„არავის არ შეუძლია იცხოვროს იმ გარემოში, რისიც არ ესმის“... (მ. მამარდაშვილი).

პოეზიის გარემოში ყოფნა, პოეზიის ცოდნა შეგრძნებათა საიდუმლოებებზე გადის. ამ მისტიკურ სამყაროში სავალი გზები, ხელისცეცებით არის საძიებელი, მაგრამ როდესაც მოდის მოძღვარი, ადამიანის თუ წიგნის სახით, და რაიმეს გაგებისთვის არც ეს ხდება საკმარისი, რა უნდა იღონოს მან, ვისაც თავისი მომავალი არსებობა პოეზიასთან კავშირში წარმოუდგენია?

აქ პლატონის პერიფრაზირებაც შეიძლება: „მთელი შენი სულიერი ძალებით უნდა ილტვოდე პოეზიისკენ“... მაგრამ როგორ?

წერილები, რომელიც რაინერ მარია რილკემ უცნობ ახალგაზრდა კაცს გაუგზავნა, ფასდაუდებელია მათთვის, ვინც მარადიული კითხვებით აღვსილი, ცხოვრების საზრისის ძიებას იწყებს (გამოიცა „კავკასიური სახლის“ ეგიდით).

„რილკეს ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში ამ წერილებს უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს. ისინი ახალგაზრდა პოეტთათვის ერთგვარ ბიბლიადაცაა მიჩნეული — აზუსტებს წიგნის ანოტაციაში მთარგმნელი, გერმანისტი ასმათ ფიცხელაურ-ფარჯიანი, — განუხრელი და უმკაცრესი შინაგანი შრომის შედეგად, გამუდმებით „აზრის ცენტრში“ ყოფნით იქმნება რილკეს შემოქმედება და მით უფრო საყურადღებოა, თუ რამდენ დროს უთმობს იგი უცნობ ახალგაზრდას, რაოდენი სერიოზულობით, პასუხისმგებლობის განცდით, და, ამავე დროს, გულისხმიერი სიმკაცრით პასუხობს მის წერილებს“...

თარგმანის მაღალ ხარისხზე, თუ რაოდენ კარგად მოერგო ქართული ენის ქსოვილს, შემდგომი ციტირებისგანაც დარწმუნდებით.

რაც შეეხება თავად ამ წერილების ისტორიას: 1903 წლის დასაწყისში უკვე ცნობილ პოეტს, რილკეს, როგორც ლიტერატურულ მეტრს, უცნობი ახალგაზრდა ბარათს უგზავნის. იგი გახლავთ ავსტრია-უნგრეთის არმიის 20 წლის ლეიტენანტი ფრანც ქსავერ კაპუსი. კონვერტში ლექსებიც ეწყო. როგორც ჩანს, ლეიტენანტი ლექსთა თხზვითაც იყო დაკავებული.



რა იმპულსებმა აღძრა რილკეს პიროვნებაში უცნობი ადამიანისადმი გულწრფელობის და მაღალ საგნებზე თითქმის მოუხელთებელი, ნიუანსური საუბრების სურვილი.

ეს არ იყო ახალგაზრდა კაცის პოეტური ნიჭით აღფრთოვანების შედეგი, რის შესახებაც მაშინვე დაუფარავად მისწერს: **„თქვენს ლექსებს ჯერჯერობით თვითმყოფადი სახე არ გააჩნიათ და საერთოდ, დიდ ღირებულებას არ წარმოადგენენ... ბარათმა, ამ ლექსებს რომ ახლდა, უფრო თვალნათლივ დამანახა თქვენი პოეზიის ნაკლოვანება, რასაც კითხვისას კი ვგრძნობდი, მაგრამ სახელს ვერ ვარქმევდი“...**

იქნებ მისი პასუხები პოეტურად განწყობილი ლეიტენანტისადმი თანაგრძნობა იყო, სამხედრო საქმისა და პოეზიის შეუთავსებლობაზე ფიქრი ან იქნებ იმ წლების მოგონებაც, როცა თავადაც სანკ-პოლტენის და შემდგომ მორავიის სამხედრო სასწავლებლებში სწავლობდა... როცა ოფიცრის კარიერის პერსპექტივისთვის ფიზიკურ და სულიერ ტრავმებს, ყაზარმული ცხოვრების წესს იტანდა.

ლიტერატურის ისტორიისთვის რილკეს წერილების ადრესატის ვინაობას ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება. ეს შესანიშნავი სტრიქონები, ვფიქრობთ, დაწერილია პოეზიის დასაცავად, პოეზიის, რომელიც რილკეს აზრით, არ გახლავთ „მოხერხებული სიტყვათთამაში“ და „უსასოო მარტოობით არის აღბეჭდილი“. აგრეთვე, გაფრთხილებაა მათთვის, ვინც პოეტური მუზის მსახურების საკრალური მნიშვნელობის სირთულეს ვერ აცნობიერებს.

ცხოვრებისეული და ლიტერატურული გამოცდილების ამ ფორმით გაზიარება, რთულ შეგრძნებათა ახსნის მცდელობანი სავარაუდოა, რომ რილკესთვის პოეზიისადმი როგორც სუბსტანციისადმი, თავისებური სამსახურია. ახალგაზრდა ლეიტენანტის ლიტერატურულმა ბედმა კი ერთგვარი სიუჟეტის ფუნქცია შეასრულა.

ეს მიწერ-მოწერა ხანგრძლივი ინტერვალებით 1903 წლამდე გაგრძელდა. ცნობილია, ამავე წერილებიც ცალკეული ფრაგმენტების მარინა ცვეტაევასეული კონგენიალური რუსული თარგმანი, რაც პირველად 1927 წელს, ჟურნალში „Воля Русская“ დაიბეჭდა.

მნიშვნელოვანია, რომ ქართულ ენაზე ათივე წერილი სრული სახით არის წარმოდგენილი.

**— „ნუ იხედებით გარეთ“... — თვითჩაღრმავებისკენ მოუწოდებს დამწყებ ლიტერატორს რაინერ მარია რილკე. ურჩევს, ნაკლები ყურადღება მიაქციოს გარშემომყოფთა აზრებს და ვნებებს, რედაქციების უარის მოტივაციას... „მე კი გირჩევთ, რაკი რჩევა მთხოვეთ, თავი დაანებოთ ამ ყველაფერს. თქვენ მთლიანად გარეთ იხედებით და აი, სწორედ ამას არ უნდა სჩადიოდეთ ახლა. ყველაზე ნაკლებად ამის უფლება გაქვთ. დამერწმუნეთ, სასიკეთოს ვერავინ გირჩევთ და ვერავინ დაგეხმარებათ. გამოსავალი მხოლოდ ერთია: ჩაღრმავდეთ თქვენსავე თავში და მოიძიოთ ის ძირისძირი, წერისაკენ რომ მოგიწოდებთ. შეამოწმეთ, აღწევენ თუ არა მისი ფესვები თქვენი გულის უღრმეს კუნჭულში, თავს გამოუტყდით, მოკვდებოდით თუ არა, თქვენთვის წერა რომ აეკრძალათ. ყველაზე უწინ კი, ღამეული განმარტოების ჟამს, ჰკითხეთ საკუთარ თავს: უნდა ვწერდე? თქვენივე სულის სიღრმეში ეძიეთ განაჩენი და თუ დადებით პასუხს მიიღებთ, თუკი ამ ყველაზე არსებით კითხვას მთელი თქვენი არსება ურყევ და უბრალო პასუხს მიაგებს — „მე უნდა ვწერდე“, მაშინ ააგეთ ცხოვრება ამ აუცილებლობის მიხედვით. თქვენი სიცოცხლის ყოველი უფერული თუ მოსაწყენი წუთიც კი ამ შემოქმედებითი სწრაფვის ნიშანი და დასაბუთება უნდა იყოს... ერიდეთ გაცვეთილ და გავრცელებულ თემებს, რადგან ძალიან რთულია ახალი თქვა იქ, სადაც კარგი და არცთუ იშვიათად, ბრწყინვალე ტრადიცია არსებობს; ამისათვის აუცილებელია დიდი და მომწიფებული ძალა. გირჩევთ დაეხსნათ ზოგად მოტივებს და ყურადღება თქვენს ყოველდღიურ ცხოვრებაზე გაამახვილოთ... საკუთარი თვითგამოხატვისთვის მოიშველიეთ გარემომცველი საგნები... მოგონებას შემორჩენილი ნივთები და ადამიანები... თუკი საკუთარი ყოველდღიურობა უფერული და უშინაარსო გეჩვენებათ, მიზეზს სხვაგან ნუ მოიძიებთ, იგი თქვენშია, თქვენი ბრალია და უნდა აღიაროთ, რომ ჯერ კიდევ არა ხართ მზად, ჯერ კიდევ არ ხართ პოეტი და თქვენი ცხოვრების საგანძურზე ხელი არ მიგიწვდებათ, რადგან შემოქმედისათვის არ არსებობს სიღატაკე და მწირი, უმნიშვნელო, არაფრისმთქმელი გარემო...“.**

ამ გამოცემის მესვეურთა და მთარგმნელის ქალბატონ ასმათ ფიცხელაურ-ფარჯიანის ნაშრომის აქტუალობა ჩვენივე ყოფიერებაშია სახილველი და არა მხოლოდ თანამედროვე ვირტუალური სამყაროს უარყოფით მხარეებში.

პოეზიის კრიზისი დიდი ხანია დაიწყო, როცა ინდივიდების გარეშე, „ღრმა, შინაგანი მარტოობის“ (რილკე) ნაცვლად, ლექსი, როგორც ასეთი, მასების ძალადობას, მასების ამბოხს დაუკავშირდა, როცა სოციალურ-ლოზუნგურ-დემონსტრაციული სულისკვეთება ლექსის ფორმით გადმოიცა.

პოეზიას საკუთარ იარაღად თვლიდნენ რევოლუციონერები, ეგოცენტრიკები, პროლეტპოეტები... მარინეტის მანიფესტები თუ „ზეკაცის“ იდეას შეხიზნული ფაშიზმის იდეოლოგია ერთნაირი პათოსით ისაკუთრებდა ადამიანთა ყველაზე საკრალურ სულიერ მონაპოვარს — პოეზიას...

პოეზიამ დაკარგა ტრანცედენტალური მნიშვნელობა. ნიკალაი ბერდიაევის აზრით, მასები შეიჭრნენ ისეთ სფეროებში, რისაც დღემდე არაფერი გაეგებათ. პოეზია ელიტარულია. კონფლიქტი არისტოკრატიულ და დემოკრატიულ საწყისებს შორის კი რაოდენობის და ხარისხის შეფარდებით იწყება (გავიხსენოთ ილია ჭავჭავაძის ცნობილი ფორმულა ნულების საზოგადოების შესახებ).

ვულგარული მატერიალიზმის საპასუხოდ, პოეზიის დასაცავად, მუდამ ხმას იმაღლებდნენ ყველა დროის დიდი პოეტები...

მე-20 საუკუნის დასაწყისში ილიას და აკაკის უნიჭო ეპიგონებისგან „ცისფერყანწელებმა“ და სასოწარკვეთილად განმარტოებულმა გალაკტიონმა დაიცვეს ქართული პოეზია...

ისტორიული მაგალითების მიხედვით ხალხი შეიძლება გააერთიანოს კატასტროფების მოლოდინმა, რელიგიურმა რწმენამ, რევოლუციურმა მისწრაფებებმა, მაგრამ ის ვერ ფლობს პოეზიის ნიუანსებს და ეს სულაც არ გახლავთ რაიმე უარყოფითი ქვეტექსტების მატარებელი.

ეროვნული მოძრაობის აღმავლობის დღეებში ყველას ახსოვს რუსთაველის პროსპექტზე, თითქმის ყველა ხეზე გაკრული უამრავი ლექსი. სამშობლოს სიყვარულით მოტივირებული ემოციური და ოდნავეგზალტირებული ადამიანები თავს პოეტებად თვლიდნენ. ლექსებს განურჩევლად კითხულობდნენ მიტინგებზე, დემონსტრაციებზე... ეს გახლდათ, კეთილი ნების გამოვლინება და არამც და არამც ნამდვილი პოეზია. ამ თვალსაზრისით მათი გადარწმუნება შეუძლებელი იყო. შეიძლება არასაჭიროც... შემდგომ, ე. წ. დემოკრატიულ საქართველოში, ერთმანეთს ცვლიდნენ დიჯეი-პოეტების უსახური ლექსები და პოსტმოდერნისტები, რომლებიც, როგორც ჩანს, არ იცნობდნენ კარგად დავიწყებულ ძველს — საუკუნის დასაწყისის ლიტერატურულ ექსპერიმენტებს.

მაშინაც დაუცველი გახდა პოეზია.

პოეზიის განმარტება, პოეზიის დაცვა ნიშნავს თუ არა ინდივიდუალიზმის დაცვას და თუ ეს ასეა, რა უპირატესობას აძლევს ინდივიდუალიზმი სოციალურად დაბეჩავებულ ინტელიგენციას? ალბათ, სულიერ გამძლეობას, უნივერსალური ღირებულებების რწმენას, ინდივიდუალიზმის და უნივერსალიზმის ერთიანობის იდეას.

რილკეს პატარა წიგნი „წერილები ახალგაზრდა პოეტს“ (სხვა ახლადგამოცემულ მნიშვნელოვან ავტორებზე ამჟამად არ შევჩერდებით), შეიძლება განვიხილოთ, როგორც დროულად მოწოდებული ღირებულება, როგორც დღეისთვისაც აუცილებელი სულიერი ინფორმაცია...

**რომი, 1903. 23 დეკემბერი, რაინერ მარია რილკე.**

**ფრანც კაპუსს**

**ძვირფასო ბატონო, იფიქრეთ იმ სამყაროზე, რასაც შინაგანად ატარებთ... თქვენი შინაგანი ცხოვრება თქვენი სიყვარულის ღირსია... მთელი თქვენი ძალები მისკენ უნდა მიმართოთ. დროს ნუ დაკარგავთ იმის გასარკვევად, თუ რა ადგილი გიჭირავთ ადამიანთა შორის, რა პოზიცია გაქვთ მათ მიმართ... აბა, ვინ გეტყვით ამ ქვეყნად, რომ ეს ადგილი საერთოდ გაგაჩნიათ?... და თუ ფიქრი ბავშვობაზე, მასთან დაკავშირებულ სიჩუმესა და უბრალოებაზე გაშინებთ და გტანჯავთ, რადგან აღარ ძალგიძთ იწამოთ ღმერთი, რომლითაც სავსე იყო თქვენი ბავშვობა, მაშინ ჩაეკითხეთ საკუთარ თავს: ბატონო კაპუს, მართლა დაკარგეთ ღმერთის რწმენა? ხომ არ აჯობებდა გეთქვათ, რომ ღმერთის რწმენა ჯერ არ მოგიპოვებათ? რადგან როდის უნდა გერწმუნათ იგი? ხომ არ გგონიათ, რომ ბავშვს შეუძლია ხელპყრობა მისი, ვისი ტარებაც ძლიერ მამაკაცთაც კი უჭირთ და ვისი სიმძიმე წელში ხრის მოხუცებს? ნუთუ გგონიათ, რომ ადამიანს, ვისაც ნამდვილად ჰყავს ღმერთი, შეუძლია უბრალო კენჭივით დაკარგოს იგი? ან ეგებ ფიქრობთ, რომ კაცი, რომელსაც ღმერთი ჰყავს, შეიძლება ღმერთს დაეკარგოს?“...**

**...„მე ვერც დაგამშვიდებთ და ვერც განუგეშებთ“...** — მოულოდნელად ამბობს რაინერ მარია რილკე. ალბათ, თვლის, რომ ზუსტი რჩევები ისევე შეუძლებელია, როგორც ზუსტი პასუხები. რჩევის დანიშნულება კი უფრო მეტად ადამიანთა შორის ნდობის გამოხატულების აქტია... მაგრამ იგივე პოეტის თქმით, **„ჩვენ ხომ სულის სიღრმეში, ჩვენი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს და გადამწყვეტ წუთებში, ენით აუწერლად მარტონი ვართ... გირჩევთ და გთხოვთ, მოთმინებით აიტანოთ და ატაროთ ყოველივე აუხსნელი, რაც კი გულს გიფორიაქებთ. შეიყვარეთ თავად კითხვები... ახლა ნუ ეძებთ პასუხებს, რომლებსაც ვერ იპოვით, რადგან თქვენი ცხოვრებით არ მისულხართ ამ პასუხებთან“...**

...ლიტერატურასთან ისე, როგორც ცხოვრებასთან, საკუთარი გამოცდილებით მიდიან.

**„რა აზრი ჰქონდა ჩვენს ძიებასა და ხეტიალს, თუ თქვენ, ახალგაზრდები, ამავე გზებით სიარულს ისურვებდით?“** — ასევე მეტრის გამოცდილებით კითხულობდა მოხუცი გოეთე.

შესაძლოა, დიდი ადამიანების რჩევები საკუთარი გზების დასაწყისთან გვაახლოვებს, უმნიშვნელოვანეს კითხვასთან — რა არის ნამდვილად ჩვენი „საკუთარი“. და კიდევ, დიდ ადამიანთა რჩევები ნდობის და რწმენის გამოხატულებაა, რომ მერეც, მომავალშიც აუცილებლად გადარჩება ის მაღალი ფასეულობები, რასაც მათ ურთულესი ცხოვრების წესით და სულიერი დაძაბულობით მიაგნეს. თუმცა... **„სწორედ აქ ვგრძნობ, რომ ვერავინ გიპასუხებთ კითხვებზე, ვერავინ აგიხსნით განცდებს, თქვენს წიაღში საკუთარი ცხოვრებით რომ ცხოვრობენ. ვერავინ შესძლებს ამას, რადგან რჩეკულნიც ცდებიან, როცა უჩუმარესიც და გამოუთქმელის სიტყვებით ახსნას ცდილობენ“... (რაინერ მარია რილკე).**

**ნინო ხოფერია.**

**სურათზე: რელიკვიები.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 63, ორშაბათი, 10 მარტი, 2003 წელი.

მისი ფენომენის გაგებისათვის

# დიდი სიმამრი მეცნიერი სიძის თვალით

**სტალინის ფენომენი „განაგრძობს“ რუსეთული პრესის ყურადღების ფოკუსში ყოფნას. ახლახან გაზეთმა „ტრუდ-7“ (№32, 20-26 თებერვალი) გამოაქვეყნა საკუთარი კორესპონდენტის საუბარი იური ჟდანოვთან, სადაც დიდი ადგილი ეთმობა სტალინის პიროვნებას. ინტერვიუს შემოკლებით გთავაზობთ.**

**ინფორმაცია განსჯისათვის. იური ანდრეის ძე ჟდანოვი, 83 წლისა, დონის როსტოვში მცხოვრები, ადგილობრივი სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ქიმიის დარგში 850 სამეცნიერო ნაშრომის, ერთი აღმოჩენისა და 33 გამოგონების ავტორი, აგრეთვე თანამედროვე ბუნებისმეტყველების ფილოსოფიური პრობლემების მკვლევარი.**

**მამამისი, ანდრეი ჟდანოვი გახლდათ იოსებ სტალინის უახლოესი თანამოღვაწე და კომუნისტური პარტიის მთავარი იდეოლოგი, ხოლო სიმამრი — თვით იოსებ ბესარიონის ძე (იური ანდრეის ძე ბელადის ქალიშვილის სვეტლანას მეორე ქმარი იყო).**

**— დღეს რუსეთში ძალიან ცოტა დარჩა ცოცხალი მათ შორის, ვისაც თავის დროზე სტალინთან უშუალო ურთიერთობის შესაძლებლობა ჰქონდა. თქვენ მას მრავალი წლის მანძილზე იცნობდით. რა დაგამახსოვრდათ განსაკუთრებული?**

— წიგნში „არბატის შვილები“ ანატოლი რიბაკოვი აღწერს 1934 წლის ზაფხულის ამბებს — როგორ შეხვდნენ სოჭში სტალინი, კიროვი და ჟდანოვი. ყველაფერი ზუსტად არის გადმოცემული ერთი დეტალის გარდა: მეოთხე მე ვიყავი, 15 წლის ჭაბუკი. მამამ შვებულება აიღო და თან მიახლა.

სტალინის აგარაკი მაცესტის ველში იყო განლაგებული, ფართოაივნებიანი პატარა სახლი ტყიდან გადაჰყურებდა ზღვას.

უფროსები კაბინეტში წავიდნენ, სადაც ისტორიის სახელმძღვანელოების პროექტებზე ბჭობდნენ. მათთან მხოლოდ სადილზე მოვხვდი. მახსოვს, როცა საუბარი შეეხო რუსეთის გაქრისტიანებას, იოსებ ბესარიონის ძემ აღნიშნა მონასტრების კულტურული როლი: მათ ხალხში წიგნიერება, წიგნი შეჰქონდათო. პეტრე პირველზე შენიშნა: „მაგარი ვინმე იყო, მაგრამ ხალხს უყვარს, როცა მას კარგად მართავენ“. ეკატერინე მეორის სიდიადე კი, ბელადის აზრით, ის იყო, რომ უნარი ჰქონდა საყვარლები ძლიერ, ნიჭიერ მამაკაცთა შორის შეერჩია — ორლოვი, პოტიომკინი...

**— თქვენ მაშინ ღამითაც დარჩით სტალინთან?**

— არა, სოჭში გასამგზავრებლად მოვემზადეთ. იოსებ ბესარიონის ძემ გაცილება მოიწადინა და ბრეზენტით დახურულ შავ „პაკარდში“ ჩაგვსვა. არავითარი თანმხლები ავტომობილები იმ დროს არ ყოფილა. მე მძღოლის გვერდით დამსვეს, სტალინი და მამა უკან დასხდნენ. მაცესტას რომ გავცილდით, გზატკეცილთან, ჩამუქებული მთის ფონზე, ღია ფერის კაბებში გამოწყობილი ქალების ფიგურები გამოჩნდნენ ხელაწეულები, ორნი იყვნენ. „გააჩერეთ“ — უთხრა სტალინმა მძღოლს. ქალიშვილებმა სოჭამდე ჩაყვანა ითხოვეს. ვზივარ წინ და მესმის ერთ-ერთის ჩურჩული — „ეს ხომ თვით სტალინია“. 1934 წლის დეკემბრამდე, როცა კიროვი მოჰკლეს, რამდენიმე თვე რჩებოდა. სერგეი მირონის ძის დაღუპვის შემდეგ ქვეყანაში მკვეთრად შეიცვალა ვითარება.

**— კიროვის მოკვლის თაობაზე ისტორიკოსებს აქამდე არა აქვთ ერთიანი შეხედულება...**

— როცა ერთხელ დედაჩემმა ამ თემაზე დაუსვა შეკითხვა მამას, მახსოვს, რა გაცხარებულმა უპასუხა — ეს „შინსახკომის“ პროვოკაცია იყოო...

**— მაცესტაში, აგარაკზე, არ მოგისმენიათ სტალინის საყვარელი სიმღერა „სულიკო“?**

— ბევრს ჰგონია, თითქოს ეს იყო ბელადის საყვარელი სიმღერა. შეკითხვას ასეა თუ არაო, სტალინმა ერთხელ ასეთი პასუხი გასცა: „არა... კაცმა რომ თქვას, უფრო „თავო ჩემო“ მიყვარს“... როგორც მე მეჩვენება, იოსებ ბესარიონის ძეს ის უყვარდა, რადგან გამუდმებით აწყდებოდა უამრავ პრობლემას, რომლებიც თავს დაატყდა 30-იან, მერე კი ომის წლებში, აგრეთვე, ჰიტლერის შემოსევის შემდგომ — აღდგენის პერიოდში. ჯერ კიდევ 1931 წელს, მეურნეთა თათბირზე, სტალინმა განაცხადა: „მოწინავე ქვეყნებს 50-100 წლით ჩამოვრჩით, ეს მანძილი 10 წელიწადში უნდა გავირბინოთ. ან ამას გავაკეთებთ, ან გაგვსრესენ“.

მახსოვს, იმ წლებში მამა, როგორც პარტიის ნიჟნი ნოვგოროდის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი, პირდაპირ გაკრული იყო გორკის ავტოქარხნის, „კრასნოე სორმოვოს“, ძერჟინსკის სამხედრო-ქიმიური კომბინატის, ფართო სამაუწყებლო რადიოცენტრის, თანამედროვე ავტოტრასების ქსელის მშენებლობებზე. მსგავსი რამ ხდებოდა მთელს ქვეყანაშიც. ათასობით ქარხანა, ათი ათასობით სკოლა, ასეულობით უმაღლესი სასწავლებელი, სანატორიუმი, კულტურის სახლი აშენდა. 30-იან წლებში იყო დაპატიმრებები, რეპრესიები, დიდძალი ხალხი უდანაშაულოდ დაიტანჯა, მაგრამ იმავე პერიოდში ხომ ბევრიც გაკეთდა, რაც რატომღაც ავიწყდებათ ხოლმე. შემთხვევით კი არ უთქვამს ჩერჩილს სტალინზე: „კავიანი ქვეყანა ჩაიბარა, დატოვა კი ატომურბომბიანი“. ასეთი ტემპები ნეტავი ახლა მოგვცა, ჩვენს გარდაქმნის წლებში...

— როგორც ცნობილია, თქვენს პირად ბედში ბელადმა არცთუ მცირე როლი შეასრულა...

— სტუდენტურ წლებში გატაცებული ვიყავი ვერნადსკით, მისი „ბიოქიმიური ნარკვევებით“, ნოოსფეროზე მოძღვრებით. 1947 წელს კი ჟურნალ „ოქტიაბრში“ სტატია დავბეჭდე, „ადამიანის გავლენა ბუნებრივ პროცესებზე“, სადაც ვერნადსკისა და ფერსმანის შრომებს ვიმოწმებდი. იმავე წლის შემოდგომაზე სტალინმა თავისთან მიმიწვია — მაშინ გაგრის ახლოს ისვენებდა ხოლოდნაია რეჩკაზე. ამის შემდეგ, დეკემბერში, პარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატის მუშაკი გავხდი. ეს დანიშვნა ლაზარ კაგანოვიჩმა ამიხსნა ქუჩაში შემთხვევით შეხვედრისას. მისი თქმით, ერთ-ერთი სხდომის დროს იოსებ ბესარიონის ძემ ჰკითხა პოლიტბიუროს წევრებს, წაიკითხეს თუ არა ჩემი სტატია ჟურნალ „ოქტიაბრში“ და ურჩია, გაცნობოდნენ.

— სვეტლანას, სტალინის ქალიშვილს, ბავშვობიდან იცნობდით?

— ერთმანეთი 1934 წელს გავიცანით. ბელადმა მამა ჩემთან ერთად მიიწვია აგარაკზე ზუბალოვოში. იქ იყვნენ სვეტლანა და ვასილი. გოგონას იმ დროს მხოლოდ 8 წელი შეუსრულდა. უფროსები თავისას მასლაათობდნენ, ჩვენ კი, ბავშვები, მინდორ-მინდორ დავრბოდით. ერთმანეთი მერე დიდხანს აღარ გვინახავს. თან ომიც დაიწყო...

— იური ანდრეის ძევ, ამბობენ, თითქოს სვეტლანაზე თქვენი დაქორწინება „ნომენკლატურული“ ხასიათისა იყო: ის — გენმდივნის ქალიშვილი, თქვენ — პარტიის მთავარი იდეოლოგის ვაჟი...

— რა სისულელეა! ჩვენ ერთმანეთს მრავალწლიანი განშორების შემდეგ შევხვდით ერთ საღამოზე, ბალერინა ოლღა ლეპეშინსკაიასთან. სვეტლანა იმ მომენტისათვის განქორწინებული იყო, ხელთ სამი წლის ბიჭუნათი, მე კი დაუოჯახებელი გახლდით: გამარჯვების დღეს ვენაში შევხვდი და ომიდან მაიორის ჩინით დავბრუნდი. დაქორწინებით კი 1949-ის გაზაფხულზე დავქორწინდით, მამაჩემის გარდაცვალებიდან წლისთავზე.

**— სტალინმა თუ იცოდა, რომ ერთმანეთს ხვდებოდით, თქვენს ქორწილში თუ მოვიდა?**

— იცოდა, თუმცა ქორწილში არ ყოფილა. ან იმ წლებში რა ქორწილს გადავიხდიდით? პატარა ოჯახური შეკრება გაიმართა, რომელსაც ესწრებოდნენ დედაჩემი, ნათესავები, ნაცნობების ვიწრო წრე.

**— როგორ შეგეწყოთ პატარა იოსები, ოსია, სვეტლანას ვაჟი პირველი ქორწინებიდან?**

— ჩვენს შორის უმალვე თბილი დამოკიდებულება დამყარდა, დღესაც ასე ვართ. იოსები ექიმია. მოსკოვში ცხოვრობს, ჩინებულად იცის ინგლისური ენა, სამედიცინო ლიტერატურას თარგმნის.

**— თქვენ წარმატებით მუშაობდით დისერტაციაზე, გოგონა შეგეძინათ, კატია. ოჯახი კი მაინც დაგერღვათ...**

— მიზეზებზე თუ ალაპარაკდება, მამაკაცმა თავის თავზე უნდა აიღოს დანაშაული. ეტყობა, ჯეროვნად ვერ შევაფასე სვეტლანას სწრაფვა პუბლიცისტიკისაკენ, ლიტერატურული შემოქმედებისაკენ. მახსოვს, მაშინ მარქსის, ენგელსის ციტატების, აკადემიკოს პავლოვის შრომების ამოსაწერად დავსვი (აქვე სათქმელად, სვეტლანას ხელით დაწერილი ზოგიერთი ბარათი აქამდე ინახება ჩემს კაბინეტში). მაშინ დისერტაციაზე ვმუშაობდი, გამოსაცემად ვამზადებდი მეცნიერულ სტატიებს. იგი კი თვითგამოხატვას ელტვოდა. ეს გამომეპარა, რაც იქცა კიდევაც ჯერ კონტაქტის დაკარგვის, შემდეგ კი გაყრის მიზეზად.

**— ქალიშვილი თქვენთან დარჩა?**

— კატია ჩვენს ოჯახში იზრდებოდა, ამაში ძალიან მეხმარებოდა დედაჩემი.

**— როგორი იყო იოსებ ბესარიონის ძის რეაგირება თქვენს დაშორებაზე?**

— ჩემთვის ცნობილი გახდა, რაც ქალიშვილს უთხრა: „შენ სწორად არ მოიქეცი“. სხვათა შორის, გაყრას არ გაუფუჭებია ჩვენი ურთიერთობა — მეგობრული, კეთილი დარჩა. მე პარტიის XX ყრილობის დელეგატი გახლდით. დახურულ სხდომაზე ვისმენდი ხრუშჩოვის მოხსენებას, სადაც პირველად ითქვა სტალინის პიროვნების კულტის შესახებ. რასაკვირველია, გაოგნებული გამოვედი. შინ არ წავსულვარ — ვიფიქრე, სვეტლანას მოვინახულებ, ხვალ რომ ეს ყველაფერი თავს დაატყდება, უნდა შევამზადო, გავაფრთხილო-მეთქი. თუმცა ბევრ რამეს უკვე ხვდებოდა, ანასტას მიქოიანმა მოასწრო მასთან ლაპარკი.

**— არის ცნობები, რომ ბოლო დროს სვეტლანა ალილუევა ნიუ-იორკში ცხოვრობს და ამთავრებს მუშაობას მრავალტომიან მემუარებზე, რომელთა ნაწყვეტები რუსეთში 1990-იანი წლების ბოლოს გამოქვეყნდა. კატია? მისი ცხოვრება როგორღა წარიმართა? აქვს დედასთან ურთიერთობა?**

— ჯერ კიდევ ბავშვობაში კატია ბევრს მოგზაურობდა ჩემთან ერთად. მოიარა კავკასია, ალტაი, ბაიკალის ნაპირები. როგორც ჩანს, მოგზაურობის წყურვილმა ისე გაიტაცა, რომ პროფესიად ვულკანოლოგია აირჩია. ის მეცნიერებათა კანდიდატია, ჰყავს ქალიშვილი ანიუტა, ჩემი 19 წლის შვილიშვილი. გარდა ამისა, ორი წლის წინათ შვილთაშვილი ვიკა შემეძინა. ყველანი კამჩატკაზე ცხოვრობენ. რამდენადაც ვიცი, კატიას დედამისთან კონტაქტები არა აქვს. მრავალჯერ მოვუწოდე, გადმოდი ჩემთან როსტოვში-მეთქი. ის კი მიპასუხებს: „მანდ, თქვენთან, ვულკანები არ არისო“...

მოამზადა
**თამაზ ებანოიძემ.**



**სურათზე: პროფესორი იური ჟდანოვი ქალიშვილთან ეკატერინესთან (სტალინის შვილიშვილთან) და შვილიშვილთან ანასთან (სტალინის შვილთაშვილთან) ერთად.**

**უკანა ფონზე — ბარათები მარქსის შრომების ციტატებით, ამოწერილი სტალინის ქალიშვილის სვეტლანას ხელით.**

კრიმინალი



## დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში გარდატეხა იწყება

**ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაზე დამანგრევლად მოქმედებს ქვეყნის მასშტაბით შექმნილი რთული კრიმინოგენური სიტუაცია, რასაც საქართველოს მთავრობის სხდომაზე განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ და რადიკალური ზომების მიღება მოითხოვა ამ კუთხით მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.**

**სწორედ ამ მოთხოვნის შესასრულებლად გასატარებელ ღონისძიებათა შემუშავებას მიეძღვნა სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელებისა და რაიონის გამგებლების საგანგებო თათბირი, რომელიც ახლახან ჩატარდა ქალაქ ხობში.**

მხარეში შემავალი რაიონების გამგებლებმა თავიანთ ინფორმაციებში ვრცელი ანალიზი გააკეთეს არსებული კრიმინოგენური სიტუაციისა, დაასახელეს ხელისშემშლელი მიზეზები.

მესტიის რაიონის გამგებელმა ერეკლე ჯაფარიძემ უკმაყოფილება გამოხატა სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის მიმართ, პრაქტიკული დახმარება მოითხოვა, რათა ფარდა აეხადოს გახმაურებულ დანაშაულობებს და დაისაჯონ კრიმინალები. ამისათვის ის უახლოეს დროში რაიონში სპეცღონისძიებების ჩატარებას ელოდება.

სენაკის რაიონის გამგებელი გურამ მისაბიშვილი პრინციპულად შეეხო ე.წ. „კანონიერი ქურდების“ თემას, რომლის შეუფასებლობამ შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს მოზარდი თაობის ფსიქოლოგიას.

როგორც აბაშის რაიონის გამგებელმა სოსო ჭანტურიამ აღნიშნა, რაიონის მოსახლეობა აღშფოთებას გამოთქვამს პირუტყვის ქურდობის ბუმზე. სხვათა შორის, ეს პრობლემა აგრეთვე სერიოზულად აწუხებს მხარის სხვა რაიონებსაც.

თათბირზე ითქვა ზოგიერთი მოსამართლის შესახებ, რომლებიც ლიბერალურ გადაწყვეტილებებს იღებენ, რაც ეფექტს უკარგავს დამნაშავეობის წინააღმდეგ პოლიციის მიერ გაწეულ მუშაობას.

თათბირზე განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში იდგა კონტრაბანდის, უკანონო ტვირთბრუნვის, სატრანსპორტო საშუალებების გატაცების, გახშირებული ყაჩაღობისა და სხვა მანკიერ მოვლენათა წინააღმდეგ ბრძოლაში გარდატეხის შეტანის აუცილებლობა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ის, რომ რაიონების სამართალდამცავი ორგანოების და ადგილობრივი მმართველობების მიერ შემუშავებულია კრიმინოგენური სიტუაციის დაძლევის ღონისძიებათა ერთობლივი გეგმა, რომლის შესრულებაზე სისტემატური კონტროლია დაწესებული პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის მხრიდან და პერიოდულად მოხდება მისი განხილვა.

თავის გამოსვლაში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულმა ბონდო ჯიქიამ ამ თათბირს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ათვლის წერტილი უწოდა და კონკრეტული სამოქმედო პროგრამა დაუსახა სამართალდამცავ ორგანოებს.

**ოდიკ ქუხილავა,**
„სრ“ საკ. კორ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

უცნობი ისტორია

# ბრძოლა კავკასიისათვის

## (1942–1943 წლები)

(მერვე გვერდიდან)


ფიცის დადების ცერემონია.

1942 წლის მარტიდან შენაერთი გადაისროლეს ლიუთენბურგში სასწავლო საწრთვნელ ბანაკში, მიტენვალდის მახლობლად, სადაც ოთხი თვის მანძილზე, კავკასიურთან მაქსიმალურად მიახლოებულ პირობებში გადიოდა გაძლიერებულ სამთოსასროლ მომზადებას.

7-8 ივლისს, ლიუთენბერგში ადმირალმა კანარისმა პირადად შეამოწმა შენაერთი.

1942 წლის ივლისის ბოლოსათვის შენაერთი მზად იყო ბრძოლისთვის. ამ დროისათვის ბატალიონში დაახლოებით 1200 კაცი ითვლებოდა – 900 კავკასიელი და 300 გერმანელი. სტრუქტურულად ბატალიონი შედგებოდა შტაბისა და (პროპაგანდის ჯგუფთან ერთად) ხუთი მსროლელთა ასეულისაგან (1-ლი, მე-4, მე-5 ქართული, მე-2 ჩრდილო-კავკასიური, მე-3 აზერბაიჯანული, აგრეთვე, ერთი სომხური ოცეული).

1942 წლის 28 ივლისს საბრძოლო მოქმედებათა კავკასიურ თეატრში რომ გააგზავნეს, ბატალიონი „ბერგმანი" მიამაგრეს პირველ სატანკო არმიას, რომელიც იალბუზის აღმოსავლეთით და დასავლეთით იბრძოდა, ვინაიდან შექმნილი ოპერატიული მდგომარეობის გამო ეს შენაერთი ვერ გამოიყენეს გერმანული სამხედრო სარდლობის წინასწარ განზრახულებათა შესაბამისად (ჯვრის უღელტეხილის სადესანტო დაპყრობა), ბატალიონის მეთაურმა ტ. ობერლენდერმა პირველი სატანკო არმიის შტაბის უფროსთან ერთად გადაწყვიტა გამოეყენებინათ „ბერგმანის" ასეულები ცალ-ცალკე, სხვადასხვა მიმართულებით.

ამასთან, ბატალიონის მობილურ ჯგუფებს იყენებდნენ სადაზვერვო-დივერსიულ, პროპაგანდისტულ და ანტიპარტიზანულ ოპერაციებში.

პირველ შემთხვევაში პრიორიტეტული ყურადღება ექცეოდა სამხედრო და სამრეწველო სტრატეგიული ობიექტების ხელში ჩაგდებას, სანამ მათ უკანდახეული წითელი არმიის ნაწილები დაანგრევდნენ, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა კავკასიაში ვერმახტის შეტევითი ოპერაციებისათვის.

კერძოდ, 1942 წლის სექტემბერში წითელი არმიის სამხედრო მოსამსახურეთა ფორმებში გადაცმულმა დივერსიულმა ჯგუფმა ააფეთქა ხიდი მინვოდის რაიონში, რითაც ხელი შეუშალა წითელი არმიის დეზორგანიზებული ნაწილების უკან დახევას, მეორემ ხელში ჩაიგდო ხიდი პიატიგორსკის რაიონში და შეინარჩუნა ის გერმანული ტანკების მოსვლამდე. მესამემ მაიკოპში შესვლა და „საცობის" შექმნა რომ მოახერხა, დეზორგანიზაცია შეიტანა წითელი არმიის უკანდახეული ნაწილების რიგებში.

ამ დივერსიულ ოპერაციებში, ქართული და გერმანული წყაროების მონაცემებით, ეფექტიანად გამოიჩინეს თავი „ბერგმანის" ქართველმა ჯარისკაცებმა. მაგალითად, პიატიგორსკის რაიონში ხიდის ხელში ჩასაგდებად სპეციალურ ოპერაციაში საბრძოლო დამსახურებისათვის მეორე ხარისხის რკინის ჯვარით დააჯილდოვეს გ. ნადარაია, ხოლო საბჭოთა ბატალიონის დაზვერვის პუნქტის დაკავებისათვის სადაზვერვო დივერსიული ოპერაციის დროს დაღუპვის შემდეგ, ის დააჯილდოეს პირველი კლასის რკინის ჯვარით.

რადგანაც კავკასიაზე გერმანიის შეტევის ძირითადი სტრატეგიული მიზანი მაიკოპის, გროზნოსა და ბაქოს ნავთობის საბადოების ხელში ჩაგდება იყო, 1942 წლის აგვისტო-სექტემბერში „ბერგმანის" ლეგიონერებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს იმ ოპერაციების განხორციელების სადაზვერვო-დივერსიულ აქციებში, რომლის კოდური სახელი „შამილი" იყო. ამ ოპერაციის მიზანი იყო უკანდახეული წითელი არმიის ნაწილების მიერ გასანადგურებლად მომზადებული ნავთობგადამმუშავებელი ქარხნების ხელში ჩაგდება. პარაშუტისტთა ჯგუფების გადასროლისას ლიუფტვაფეს პილოტის შეცდომის მიუხედავად, შენაერთის ჯარისკაცებმა მაინც მოახერხეს მაიკოპის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის აღება და მისი შენარჩუნება ვერმახტის სატანკო დივიზიების გამოჩენამდე.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გერმანიის სარდლობის მცდელობით, ობერლეიტენანტ გ. ლანგეს სპეცდანიშნულების ქვედანაყოფის დახმარებით, რომელიც ძირითადად „ბერგმანის" დაღესტნელი და ჩეჩენი მებრძოლებისაგან შედგებოდა, გროზნოს ნავთობგადამამუშავებელ ქარხნის აღება. აბვერ-1-ის ინფორმაციით ამ რეგიონში მოქმედებდნენ ჩეჩენ მეამბოხეთა რაზმები და გერმანიის სარდლობა იმედოვნებდა, რომ სწორედ ისინი იკისრებდნენ ხსენებული ობიექტების დაცვას. გარდა ამისა, საჭირო გახდა ჩეჩენი პარტიზანების მოქმედების გერმანიის სარდლობის მოქმედებებთან კოორდინირების გარდაუვალი აუცილებლობა.

გარდა ამისა, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უკვე 1941 წლის 22 ივნისს, გერმანია-საბჭოთა კავშირის ომის დაწყების დღეს, როგორც წერს თავის მემუარებში აბდურახმან ავტორხანოვი, მთიანი ჩეჩნეთის სახელით ომი გამოუცხადეს საბჭოთა კავშირს, დღესდღეობით, გაასაშკარავებული და 1993 წელს რუსეთში გამოქვეყნებული სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მასალებიდან ცნობილია, რომ ომის დაწყების შემდეგ, ჩეჩნეთის მეამბოხე რაზმების მოქმედების საერთო კოორდინაციის მიზნით, 1942 წლის იანვარში ჩეჩნეთის წინააღმდეგობის ერთ-ერთი ლიდერის ხ. ისრაილოვის (ტერლოევის) ხელმძღვანელობით შეიქმნა სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაცია – კავკასიელი ძმების განსაკუთრებული პარტია.

როგორც 1942 წლის 28 იანვარს, ორჯონიკიძეში პარტიის დამფუძნებელ კრებაზე მიღებულ წერილში წერია, ამ ორგანიზაციის მიზანი იყო: **„გააერთიანოს ყველა ანტისაბჭოთა ორგანიზაცია და დაჯგუფება კავკასიელ ძმათა ერთიან ძმურ პარტიაში და გააფართოოს ეს პარტია მთელ კავკასიაში.**

**მთელი ზურგის, საბჭოთა სამხედრო წყობილების ნარჩენების სრული დეზორგანიზაციის უზრუნველყოფა, კავკასიაში ბოლშევიზმის დაღუპვის დაჩქარება და გერმანიასთან ომში რუსეთის დამარცხების სახელით მოქმედება.**

**კავკასიაში თავისუფალი ძმური ფედერაციული რესპუბლიკის – კავკასიის მოძმე ხალხების სახელმწიფოს შექმნა, გერმანიის იმპერიის მანდატით".**

არქივის მონაცემებით, 1941 წლის 10 ნოემბერს ჩეჩნეთის 41 ანტისაბჭოური განწყობილების აულში გამართულ არალეგალური ორგანიზაციის კრებებზე კავკასიელი ძმების განსაკუთრებული პარტიის ფიცი მიიღო 5000 მეამბოხემ. ჩეჩნეთ-ინგუშეთის ტერიტორიაზე შეიქმნა 8 მეამბოხეთა ოლქი, რომელიც 24970 კაცს ითვლიდა. ქ. ორჯონიკიძეში აბვერის რეზიდენტურასთან კავშირი რომ ჰქონდა, ამ ორგანიზაციის ბევრი წევრი შეაპარეს ხელმძღვანელ სტრუქტურებში, მათ შორის, ჩეჩნეთ-ინგუშეთის ასსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში.

**გიორგი მამულია,**
**ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.**

თარგმნა
**ვალიკო სიმონიშვილმა.**

**(გაგრძელება იქნება).**

წიგნი

# „მაქვს უთვალავი საჭურჭლე"...

**ბევრჯერ თქმულა – ქართული სახელმწიფო, თუ ასეთ რამეს ვესწრაფვით და გვინდა, ჯერ საკუთარ ეროვნულ გამოცდილებას უნდა დაეფუძნოს და მერე ვისიც გნებავთ სხვას. ეს გამოცდილება საუკუნეთა მანძილზე გროვდებოდა ქვეყნის ბუნებრივ-ისტორიული განვითარებით და მას არ შეიძლება თავისი კვალი არ დაემჩნიოს ეროვნული ცხოვრებისათვის. ამასთან დაკავშირებით ილია წერდა:**

**„არ არის არცერთი მხარე ჩვენის ცხოვრებისა, რომ წარსულის რაიმე ნაშთი ზედ არ შერჩენოდეს, მაგრამ ამ ნაშთისა დღეს ჩვენ აღარა გაგვეგება რა იმიტომ, რომ დავიწყებული გვაქვს მისი ამხსნელი და გამმარტებელი ისტორია... ამიტომაც ბევრში უთავბოლობა გვეტყობა, არაფერი საქმე არ გვიხერხდება და აქეთ-იქეთ ვაწყდებით თავბრუ-დახვეულ კაცივით... ეს ქანცს უწყვეტავს გამრჯელს და მის მაყურებელს ერს კი გული უტყდება, თავის თავზე სასოება და იმედი ეკარგება..."** („ერი და ისტორია").

**„ისტორიის დავიწყებაში"** რას გულისხმობს, სრულიად ცხადია: არა სახელებსა და თარიღებს, არამედ **„ისტორიის ფილოსოფიას"**, მის **„ან-ბანს"**, როგორც ხშირად უყვარდა თვითონვე თქმა. მის გულისტკივილსაც ის იწვევდა, რომ საქართველოს ისტორიის ფილოსოფიაზე, მის განზოგადოებულ პოლიტიკურ დასკვნებზე არავინ ვფიქრობთ და ამიტომაც დავდივართ **„თავბრუდახვეულ კაცივით"**.

ასეთი ხალხი კი, – **„უბინაო კაცსა ჰგავს, რომელმაც არ იცის ვინ არის, რისთვის არის, საიდან მოდის და საით მიდის"**. ანდა, სხვაგან: **„ულმობელი კანონი ისტორიისა არ დაინდობს იმას, ვინც არ იცის და არც უნდა გაიგოს, – რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შეიძლება ვიქმნეთ"**. („დავით აღმაშენებელი", „რა გითხრათ, რით გაგახაროთ?").

და კიდევ ერთი ილიასეული საქართველოს ისტორიის ფილოსოფიური წვდომა: **„ადამიანის მრავალფერი ბუნების ფარულნი მიზეზნი შორს არიან უბრალო სიკვდილის შვილთა თვალთათვის... მათი პოვნა და მიგნება ხვედრია იმისთანა გენიოსებისა, როგორიც რუსთაველია... აბა, ნახეთ რუსთაველი – ყოველთვის უტყუარი და მართალია"** („აკაკი წერეთელი" და „ვეფხისტყაოსანი").

ისე, რომ რუსთველოლოგიაშიც პირველად ილიამ გაუსვა ხაზი ზოგადკაცობრიულთან ერთად, ეროვნული მემკვიდრეობის დიდ მნიშვნელობას და პრაქტიკულ ძალას, იმის გააზრებას, რომ რუსთაველმა თავისი ეპოქის საქართველო უმაღლეს სიმაღლეებამდე აიყვანა. ძველი საქართველოს ამ **„დიდების გზას"** გამოყენებითი პოლიტოლოგიური გააზრება სჭირდება და არა... „უქმის ჭკვის უქმი ვარჯიში"...

ეროვნული მემკვიდრეობის – **„ძველი გზის არ დაგდების" ასეთი მინიშნება მოგვცა პროფესორმა გიორგი ნადარეიშვილმა. ბატონ გიორგის წლების მანძილზე უკვლევია სახელმწიფოს შესახებ „ვეფხისტყაოსანში" დალექილი ბევრი მნიშვნელოვანი სამართლებრივი ნორმები და პრინციპები და თუ ჩვენ შევძლებთ თანამედროვე ეპოქისადმი მათ გარკვეულ ადაპტირებას და გამოყენებითი პოლიტოლოგიური მნიშვნელობის მიცემას, ეს უთუოდ წაადგება იმ დიდმნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტას, რასაც ისევ ილიას ფორმულირებით – „წარხდენილი ქართველთა სახელისა და ქართული წესწყობის აღდგენა"** ჰქვია.

მრავალთაგან აქ ჩვენ გამოვყოფთ ამ **„წეს-წყობის"** ყველაზე უმთავრეს პრინციპს და **„ბალავრის ქვას"** – მაშინდელი ქართული სახელმწიფოს **„პატრონყმობაზე"** დაფუძნებულ დაპირისპირებულ ძალთა **„ბედნიერი მორიგების"** პრინციპს **„ერთმანეთის დაუმონებლად და შეუბღალავად"**, რაზეც თავის მხრივ, დამყარებული იყო **„ერთნებაობითა და თანადგომით ქვეყნის მართვა"**. აქვე ალბათ, იმასაც უნდა გავუსვათ ხაზი, რომ სწორედ ამ პრინციპზე დააფუძნა ილიამ თავისი **„საერთო ნიადაგის"** თეორია და მისი უმთავრესი კრედო – **„ყველა საზოგადოებრივ ძალთა ერთ კვალში ჩაყენება"** და ამით – **„ახალი საქართველოს ძველიდგან აღმოშობა"**.

საქართველოსა და ქართველი ერის ბუნებრივ-ისტორიული განვითარების კვლავ მის ძველ ისტორიულ კალაპოტში დაბრუნების ეს იდეა უნდა გახდეს ჩვენი და ჩვენი შემდგომი თაობების საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების თავისებური **„კომპასი და გზისგამკვლევი"**. ასეთ შეფასებას აძლევს მას და საერთოდ, ილიას მთელ მემკვიდრეობას ივანე ჯავახიშვილი **(„ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია")**. მხოლოდ ამ გზით შეგვიძლია მივცეთ საქართველოს ისტორიას შემეცნებითთან ერთად (და მასზე მეტადაც!) გამოყენებითი მნიშვნელობა...

რა იყო „პატრონყმობა" ოქროვანი ხანის საქართველოში?" თუ თვალს გადავავლებთ ამ


აკად. პ. გუგუშვილის სახელობის საქართველოს
ეკონომიკურ-ჰუმანიტარული ინსტიტუტი

გიორგი ნადარეიშვილი

სახელმწიფო, სამართალი და მორალური ნორმები
"ვეფხისტყაოსნის" მიხედვით

*(რუსთველოლოგიური დაკვირვებანი)*

მხრივ „ვეფხისტყაოსანს", აქ აღწერილ სამართლებრივ, პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობებს, ეს „პატრონყმობაზე" დაფუძნებული თავისებური **„მუდმივი სოციალური კონტრაქტია"** საზოგადოების შემადგენელ სხვადასხვა წევრებსა და ფენებს შორის, ასე რომ არის დღეს გავრცელებული მსოფლიოს წამყვან, განსაკუთრებით კი, იაპონურ ფირმებში და რითაც ხშირად ხსნიან მათ ეკონომიკურ წარმატებებს.

გადავხედოთ „ვეფხისტაოსანსაც" და ძველ საქართველოსაც – ყველა რაღაცნაირი დაუწერელი, თუ დაწერილი კანონებით ერთმანეთზე არიან გადაბმულ-გადაჯაჭვულნი – ყმა და ყრმა, თუ პატრონი და მფარველი: **„კაი ყმის"** ფენომენიც აქედან იღებს სათავეს: როსტევანი, თინათინი, ავთანდილი, შერმადინი, შემდეგი სოციალური ფენა – „ყმანი", რომელთაც ავთანდილი **„ერთგულნოსა და მისანდომნოდ"** ხოლო თავის თავს მათთვის – **„მიწაცა თქვენი ავთანდილ"**-ად მოიხსენიებს. ამიტომ წერს ივანე ჯავახიშვილიც „ქართული სამართლის ისტორიაში": **„მთელი მაშინდელი საქართველო მეფიდან დაწყებული, უბრალო მდაბიობამდე პატრონყმურს უღელში იყო შებმული."** აქ ყველას თავისი ფუნქცია აქვს, სახელმწიფოში თავისი ადგილი და როლი...

დღესაც თავისებური „პატრონყმობაა", მაგრამ სახელმწიფოებრივ ფუნქციებსა და „კაი ყმობაზე" კი რა მოგახსენოთ... ავიღოთ თუნდაც ასე ყბადაღებული კორუფცია. ქრთამი – მოსაკითხი – ძღვენი, თუ ხარკი – ბეგარა – გადასახადი ქართული სახელმწიფოს მუდმივი თანამგზავრია, „ქრთამს აძლევს და ამხანაგობს"-ო, გვეუბნება რუსთაველი ავთანდილზე, გაპარვის წინ ვაზირთან რომ ძღვენი მიაქვს, როსტევანთან „საქმის ჩასაწყობად". ქრთამს აქ სიკეთის დანიშნულება აქვს ბოროტების დასათრგუნავად. ღმერთმა ქნას რომ ავთანდილის მსგავსი ასეთი „ქრთამი" და ასეთი „კლანი" დაუმკვიდრდეს ქართულ სახელმწიფოსაც და არა ბაღვაშთა მსგავსნი...

პოემის პროლოგსა და ეპილოგში, 62 „ამბავსა" და 1587 სტროფში საქართველოს ისტორიის ფილოსოფიისა და **„ნაადრევი ქართული რენესანსის"** არაერთი ბრწყინვალე გააზრებას ვხვდებით, ისეთს, როგორიც ვთქვათ, ბატონ გიორგის მიერ გადმოცემული **„რუსთაველისეული სოციალური იდეალია": ყოველთა სწორად წყალობასა, ვითა თოვლსა მოათოვდეს, ობოლ-ქვრივნი დაამდიდრნეს და გლახაკნი არ ითხოვდეს, ავის მქმნელნი დაამშნეს"...** და ა.შ. სოციალურთან ერთად, ჩვენ დავამატებდით პოლიტიკურ იდეალსაც, როცა „ვეფხისტყაოსანშიც" და მაშინდელ საქართველოშიც აშკარად ჩანს ერთპიროვნული მონარქიული მმართველობიდან **„ერთგვარ რესპუბლიკაზე"** გადასვლის ტენდენცია, ის, რაც შემდეგ დაიწყო ინგლისსა და იტალიის ქალაქებში...

განსაკუთრებით ეს ითქმის გულანშაროს სახელმწიფო მართვა-გამგეობაზე, სადაც კონსტიტუციური მონარქიის აშკარა ნიშნები ჩანს, ისე როგორც XII საუკუნის **„ისნის კარავის"** ფენომენშიც. ვინ იცის „ოქროვანი ხანის" საქართველოს ბუნებრივ-ისტორიული განვითარება რომ თავისი გზით და რიგით წარმართულიყო, იგი ინგლისისა და იაპონიის მსგავსად, შეიძლება კონსტიტუციური მონარქიის ერთ-ერთი კლასიკური ქვეყანაც გამხდარიყო: შემთხვევითი ხომ არაა, რომ იაპონური სამუარული ტრადიციები, ისე როგორც ინგლისური კონსერვატიზმი, საოცრად გვაგონებენ „ვეფხისტყაოსნის" და საერთოდ, ძველი საქართთველოს ცხოვრების წესსა და ტრადიციებს. მაგრამ ის, რაც **„ძნელბედობამ – შავით მოსილმა საქართველოს შავმა ბედმა"** (ილია), შეუძლებელი გახადა წარსულში, იქნებ სამომავლოდ მაინც რეალობად იქცეს?! ესეც საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი დიდი ფილოსოფიაა...

**ერთი სიტყვით, „ვეფხისტყაოსნის" და მასთან ერთად, მაშინდელი ქართული სახელმწიფოს პოლიტოლოგიური გააზრება ბევრ მნიშვნელოვან იდეას გვაძლევს საზრდოდ ქართული სახელმწიფოს სამომავლო პროგნოზირებისათვის. მთავარია, რომ ჩვენ თვითონ ვეძიოთ ეს ჩვენს ძველ ისტორიასა და ეროვნულ მემკვიდრეობაში: ის, ვინც ეძებს, ჰპოვებს კიდეც...**

**ბატონ გიორგის მონოგრაფიაც სწორედ ამის დადასტურებაა. დაინტერესებული მკითხველი იქ ბევრ საგულისხმოს ჰპოვებს „ძველი საქართველოდან ახალი საქართველოს აღმოშობის" გასააზრებლად. დღეს კი სწორედ ასეთი ჟამი დაგვიდგა ქართველობას, – ჟამი დიდი სამომავლო განსჯა-გააზრებისა და გადაწყვეტისა...**

**ელბერდ ბატიაშვილი.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

## ორშაბათი
### 10 მარტი

09.00, 12.00, 15.00, 20.00 "მოამბე" 09.10 მულტსერიალი "ბელფეგორი" 10.10 მხ. ფილმი "სიკვდილი ჰოლივუდში" 12.15 ტელესერიალი "ეშმაკუნა" 13.00 საქართველოს ეკონომიკური ფორუმი 18.00 "ვესტნიკი" 18.20 ბასტი-ბუბუ 18.40 "მრავალჟამიერ" 19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე" 20.55 ტელესერიალი "ეშმაკუნა" 22.00 პრეზიდენტი გისმენთ 22.45 ტელესერიალი "ძილის წინ" 23.00 სერიალი "72 საათი" 00.10 მხ. ფილმი "მადმუაზელი"

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.40 სერიალი "ოჯახური ურთიერთობები" 20.30 მოგზაურობა სასიტყვეთში 21.00 ჯანმრთელობა 21.30 დოკ. ფილმი 22.10 ჰიტ. პარადი 22.20 მხ. ფილმი "კაპიტანი ფრაკასი" მე-2 ს.

07.00 მუსიკა 07.30 მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" 08.00 დილა მშვიდობისა 09.40 სერიალი "ქალთა ქვეყანა" 10.40 სერიალი "ალფი" 11.10 ხალხის პირისპირ 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი "დატყვევებული გულები" 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.05 სერიალი "ქალთა ქვეყანა" 18.00, 21.00, 01.50 კურიერი 18.15 მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" 18.40 სერიალი "მედისონის სკოლა" 19.05 სერიალი "კუსტოს წყალქვეშა ოდისეა" 20.05 სერიალი "დატყვევებული გულები" 22.00 ხალხის პირისპირ 22.50 ღამის კურიერი 00.05 მხ. ფილმი "წითელი კარავი" მთ. რ-ში: პიტერ ფინჩი 02.00 კლასიკა

08.00 ანონსი, მულტფილმი 08.15 აღსავალი 08.20, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 19.30, 23.30, 01.05 მუსიკა 08.30 მხ.ფ. "უგროშოდ ბევერლი ჰილზე" 10.20 მხ.ფ. "ხასიათი" 13.00, 15.00, 17.00, 19.00 ახალი ამბები 13.10, 18.00 დოკ. სერიალი "ექსპედიცია" 14.10 დოკუმენტური ფილმი 17.30 დოკ. სერიალი 18.45 ბუნების ფერები 20.00 მხ.ფ. "ოჯახი გაქირავებით" 22.40 "ბურთი და მოედანი" 22.00 დიალოგი 23.45 მხ.ფ. "ვნებით შეპყრობილნი" 01.30 ღამის ფილმი

12.00 ინდური მხ. ფილმი "სიყვარულის მაგია" 15.00 მხ. ფილმი "მუშკეტერი" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი "ტაქსი" 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი "ცხოველი" 22.30 მხ. ფილმი "გავარვარებული ასფალტი"

10.30 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს 11.00 რუსული ენის გაკვეთილი 11.30 ინგლისური ენის გაკვეთილი 12.00 "ვარსკვლავები გვამცნობენ" 13.00 დოკ. ფილმი "ფანჯარა ევროპაში" 13.30 მხ. ფილმი "ურჩხული" 18.00 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს 18.30 რუსული ენის გაკვეთილი 19.00 ინგლისური ენის გაკვეთილი 19.30 ექსტრაორდინალური 20.30 ტალანტები და თაყვანისმცემლები 21.30 პირველი ნაბიჯები 22.00 მუსიკალური პაუზა 22.30 ინდური მხ. ფილმი

08.00 ტოროლა 11.00 განმეორებით ქართული მუსათეული 11.45 მუსიკა 13.00 SMS შოუ 16.00 ფილმი "დევნა" მთ. როლ-ში რიჩარდ დრეიფუსი 19.00 ინფორმატორი 19.15 ქართული მუსიკა 19.30 ვიდეორადიო 21.00 უცხოური მუსათეული 22.00 ინფორმატორი 22.30 მუსიკა 23.00 აბა გამოიცანი კადრი 00.00 ფილმი ბრავო "დაცინვა" მთ. როლში შარლ ბერლინგი 01.40 ფილმი ღამურა "მეთვალყურე" მთ. როლ-ში ჯეიმს სპეიდერი, კიანუ რივზი 03.45 პაუზის გარეშე

10.00 მხ. ფილმი "სიღრმეში" 11.45, 12.45, 17.50, 18.25, 21.55, 23.50 მუსიკა 11.50 მულტფილმი "ცეროდენა და ნამცეცა" 13.00 დოკ. ფილმი "ფოტორობოტი" მე-3 ს. 13.50 მარიონეტების ფილმი "ყოჩაღები". "□არცვა" 14.10 "ბელისიმო" (ნინო ბაირონი) 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები 14.45 "მსოფლიო ფეხბურთი" 15.15 დოკ. სერიალი "ცხოვრებისეული გამოცდილება" მე-7 ს. 15.45 გადაცემა "ოსტატი" (განმ.) 16.00 მხ. ფილმი "ბილიარდომანები" 18.00 მხ. სერიალი "ჰორასი და თინა" 18.40 მულტფილმი "ალექსი" მე-18 ს. 19.00 მხ. სერიალი "მოჯადოება" 131-ე სერია 20.00 გადაცემა "მსოფლიო რაგბი" 21.00 მხ. სერიალი "ვი. აი. პი" 22.00 "ტელემეტრი" 22.15 მხ.ფილმი "ამრევი ქალი" 00.20 მხ. სერიალი "თოჯინების ველი" 00.45 მხ.ფ. "კონფესიები: ბოროტების ორი სახე"

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 08.20 დოკუმენტური ფილმი 09.00, 12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება 09.15 ისტორიული ფილმი "სამი მეფის შერკინება" 1 ს. 10.00 საბავშვო ფილმი "პატჩიპუხი" 11.30 დოკუმენტური ფილმი 12.15 თრილერი "თეთრკანიანი ადამიანის ხვედრი" 14.00 კომედია "გმირი" 16.15 მულტფილმი "მილიონერი ძაღლები" 17.40 სათავგადასავლო ფილმი "თეთრი მგლები" 1 ს. 19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.30, 22.40, 00.40 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე 20.00 მელოდრამა "ყვითელი ჯუჯა" 21.40 დოკუმენტური ფილმი 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 22.50, 00.45 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე 22.55, 00.50 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე 23.00 "ალტერნატივა" საავტორო გადაცემა 01.00 კომედია "მენავთობე ქალები" 02.30 დოკუმენტური ფილმი 03.30 თრილერი "ნათლიმამის განაჩენი"

## სამშაბათი
### 11 მარტი

07.30 ალიონი 09.45 "ბელფეგორი" 10.15 მხ. ფილმი "მადმუაზელი" 11.30 სერიალი "კონტაქტი" 11.45, 15.00, 20.00, 23.55 მოამბე 12.00 სასამართლო დარბაზიდან 15.15 მხ. ფილმი "იდუმალი მგზავრი" 16.45 სერიალი "ძილის წინ" 17.00 შემეცნებითი ფილმი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" 17.30 საქართველო და გარე სამყარო 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. სერიალი "საგნების ისტორია" 18.30 ბასტი-ბუბუ 18.50 "და არს მუსიკა" 19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე" 21.00 ტელესერიალი "ეშმაკუნა" 21.50 "ჩვენი ფეხბურთი" 22.35 ტელესერიალი "ძილის წინ" 23.00 სერიალი "72 საათი" 00.10 მხ. ფილმი "ჩრდილი ან იქნებ ყველაფერმა ჩაიაროს"

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.40 სერიალი "ოჯახური ურთიერთობები" 20.30 ამბები ჩვენზე 20.45 ოქტაგონი 21.30 ასპარეზი 22.10 ჰიტ. პარადი 22.20 მხ. ფილმი "ამელი"

07.00 მუსიკა 07.30 მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" 08.00 დილა მშვიდობისა 09.40 სერიალი "ქალთა ქვეყანა" 10.40 სერიალი "ალფი" 11.10 ხალხის პირისპირ 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი "დატყვევებული გულები" 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.05 სერიალი "ქალთა ქვეყანა" 18.00, 21.00, 01.40 კურიერი 18.15 მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" 18.40 სერიალი "კუსტოს წყალქვეშა ოდისეა" 19.30 პერეკროსტოკი 20.05 სერიალი დატყვევებული გულები" 22.00 ვის უნდა ოცი ათასი 22.50 ღამის კურიერი 23.40 ჩემპიონთა ლიგა. "არსენალი"-"რომა" 02.00 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 02.40 კლასიკა

08.00 ანონსი, აღსავალი 08.05 დიალოგი 10.35 "ბურთი და მოედანი" 10.50 მხ. ფილმი "ოჯახი გაქირავებით" 12.30 დოკ. ფილმი 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები 13.10 მხ.ფ. "ვნებით შეპყრობილნი" 14.10, 17.20, 19.30, 21.45, 00.55 მუსიკა 15.20, 18.00 დოკ. სერიალი "ექსპედიცია" 16.20 მულტფილმი 17.30 მულტფილმი 20.00 მხ.ფ. "მამილო და სხვები" 22.00 დიალოგი 23.45 ძველი კინო - მხ. ფილმი "ასფალტის ჯუნგლები" 01.10 ღამის ფილმი

12.00 მხ. ფილმი ცხოველი" 13.30 მხ. ფილმი "გავარვარებული ასფალტი" 15.00 მხ. ფილმი "ზოროს ნიღაბი" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი "ტაქსი 2" 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი "მარტის კატები" 23.30 მხ. ფილმი "მილიონერთა ექსპრესი"

10.30 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს 11.00 რუსული ენის გაკვეთილი 11.30 ინგლისური ენის გაკვეთილი 12.00 მუსიკალური კოლაჟი 12.30 სალონი 14.00 ტელესერიალი "დაბრუნება ედემში" 18.00 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს 18.30 რუსული ენის გაკვეთილი 19.00 ინგლისური ენის გაკვეთილი 19.30 ტელესერიალი "დაბრუნება ედემში" 20.30 მსოფლიო სპორტი 21.30 სალონი 23.00 სტუდია "ეკონომისტი" 00.00 მხ. ფილმი "ჯეიმს ბონდი"

08.00 ტოროლა 11.00 განმ. უცხოური მუსათეული 11.45 მუსიკა 13.00 SMS შოუ 16.00 ფილმი "დევნა 2" მთ. როლ-ში რიჩარდ დრეიფუსი 19.00 ინფორმატორი 19.15 ქართული მუსიკა 19.30 ვიდეორადიო 21.00 რუსული მუსათეული 22.00 ინფორმატორი 22.30 მუსიკა 23.00 აბა გამოიცანი მელოდია 00.00 ფილმი ბრავო "ასევე შენს დედასაც" მთ. როლ-ში მარიბელ ვერდუ 01.40 ფილმი ღამურა "ზამთრის ძილში" მთ. როლ-ში ულრიხ მატესი 03.45 პაუზის გარეშე

09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები 09.50, 11.50, 17.50, 18.30, 19.50, 21.55, 23.50 მუსიკა 10.00 მულტფილმი "ალექსი" მე-18 ს. 10.30 მხ. სერიალი "ჰორასი და თინა" 11.00 მხ. სერიალი "მოჯადოება" 12.00 მხ. სერიალი "ვი. აი. პი" 12.45 მხ.ფ. "ამრევი ქალი" 14.20 "ტელემეტრი" 14.45 გადაცემა "მსოფლიო რაგბი" 15.15 დოკ. სერიალი "ცხოვრებისეული გამოცდილება" 15.45 მხ. ფილმი "კონფესიები: ბოროტების ორი სახე" 18.00 მხ. სერიალი "ჰორასი და თინა" 18.35 მულტსერიალი "ალექსი" 19.00 მხ. სერიალი "მოჯადოება" 20.00 "ევროპის სტადიონებზე" 21.00 მხ. სერიალი "ვი. აი. პი" 22.15 მხ. ფილმი "გჯეროდეს" 00.20 მხ. სერიალი "თოჯინების ველი" 00.45 მხ. ფილმი "იქნებ დამეხმაროთ"

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 08.20 დოკუმენტური ფილმი 09.00, 12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება 09.15 ისტორიული ფილმი "სამი მეფის შერკინება" 2 ს. 10.00 მელოდრამა "ყვითელი ჯუჯა" 12.15 თრილერი "ფანატი" 14.25 კომედია "ვეფხვების მომთვინიერებელი" 16.15 მულტფილმი "ქალთევზა" 17.30 სათავგადასავლო ფილმი "თეთრი მგლები" 2 ს. 19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.30, 22.40 "Ï ðåñŝ-ï àï üå" 19.30, 22.50, 00.40 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე 20.00 მელოდრამა "დათვური ამბორი" 21.50 "გალერეა" 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 23.00, 00.45 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე 23.05, 00.50 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე 23.10 დოკუმენტური ფილმი 01.00 თრილერი "ფინიქსი" 03.30 კომედია "ჯონი-კბილჩიჩქნა"

## ოთხშაბათი
### 12 მარტი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი "ბელფეგორი" 10.15 დოკ. სერიალი "შინაური ცხოველების ველური ცხოვრება" 11.05 ლერერის შოუ 12.00, 15.00, 20.00, 23.55 მოამბე 12.15 ტელესერიალი "ეშმაკუნა" 13.00 "ნაშუადღევს" 14.05 ქართული ენის გაკვეთილი 14.30 დოკ. სერიალი "ევროპის ბუნების დიდებულება" 15.15 პალიტრა 15.45 კალათბურთი. "დინამო" (თბილისი) – სტუ "ჯეოსელი" 17.20 50-50 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. სერიალი "საგნების ისტორია" 18.30 ბასტი-ბუბუ 18.50 "ისტორიანი" 19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე" 21.00 ტელესერიალი "ეშმაკუნა" 21.50 "მათი შვილები" 22.35 ტელესერიალი "ძილის წინ" 23.00 სერიალი "72 საათი" 00.10 მხ. ფილმი "სია"

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.40 სერიალი "ოჯახური ურთიერთობები" 20.30 და არს მუსიკა 21.00 დოკ. ფილმი 21.30 წარსულის ტერიტორია 22.10 ჰიტ. პარადი 22.20 მხ. ფილმი "ორმაგი სიცოცხლე"

07.00 მუსიკა 07.30 მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" 08.00 დილა მშვიდობისა 09.40 სერიალი "ქალთა ქვეყანა" 10.40 სერიალი "ალფი" 11.10 ვის უნდა ოცი ათასი 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი "დატყვევებული გულები" 13.30 მხ. ფილმი 15.20 ჩემპიონთა ლიგა 17.05 სერიალი "ქალთა ქვეყანა" 18.00, 21.00, 01.40 კურიერი 18.15 მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" 18.40 სერიალი "მედისონის სკოლა" 19.05 სერიალი "კუსტოს წყალქვეშა ოდისეა" 20.05 სერიალი "დატყვევებული გულები" 22.00 ხალხის პირისპირ 22.50 ღამის კურიერი 23.40 ჩემპიონთა ლიგა. "რეალი"-"მილანი" 02.00 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 02.40 კლასიკა

08.00 ანონსი, აღსავალი 08.05 დიალოგი 10.35 მხ. ფილმი "მამილო და სხვები" 12.05, 17.20, 17.50, 18.30, 19.30, 21.35, 23.30 მუსიკა 12.20 ლიტერატურული - სილუეტი (განმ.) 13.00, 15.00, 17.00, 19.00 ახალი ამბები 13.10 მხ.ფ. "ასფალტის ჯუნგლები" 14.30 დოკ. ფილმი 15.20, 18.00 დოკ. სერიალი "ექსპედიცია" 16.20 მულტფილმი 17.30 მულტფილმი 18.45 ბუნების ფერები 19.45 გადაცემა - მურადა 20.00 მხ.ფ. "უკანმოუხედავად" 22.00 დიალოგი 23.45 მხ.ფ. "რისკიანი ბიზნესი" 01.30 ღამის ფილმი

12.00 მხ. ფილმი "მარტის კატები" 13.30 მხ. ფილმი "მილიონერთა ექსპრესი" 15.00 მხ. ფილმი "გასეირნება ამერიკაში" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი "დიდი კუში" 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი "თავში უქრის" 22.30 მხ. ფილმი "მძვინვარების ანგელოზი"

10.30 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს 11.00 რუსული ენის გაკვეთილი 11.30 ინგლისური ენის გაკვეთილი 12.00 მუსიკალური კოლაჟი 12.30 სალონი 14.00 ექიმი გვირჩევს 18.00 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს 18.30 რუსული ენის გაკვეთილი 19.00 ინგლისური ენის გაკვეთილი 19.30 სცენის ოსტატები 20.30 მულტფილმი 21.00 მსოფლიო სპორტი 22.00 თინეიჯერი 23.00 მხ. ფილმი "ჯეიმს ბონდი. ოქროს თვალი"

08.00 ტოროლა 11.00 განმეორებით რუსული მუსათეული 11.45 მუსიკა 13.00 SMS შოუ 16.00 ფილმი "დამიბრუნდი" მთ. როლ-ში დევიდ დუხოვნი 19.00 ინფორმატორი 19.15 ქართული მუსიკა 19.30 ვიდეორადიო 21.00 ქართულ-უცხოური მუსათეული 22.00 ინფორმატორი 22.30 მუსიკა 23.00 ჩაძირობანა 00.00 ფილმი ბრავო "სახელგანთქმულობა" მთ. როლ-ში ლეონარდო დი კაპრიო 01.40 ფილმი ღამურა "საისკვდილო არაყი" მთ. როლ-ში ენჯი ევერხარტი 03.50 პაუზის გარეშე

09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები 09.50, 11.50, 14.20, 17.50, 19.50, 21.55, 23.45 მუსიკა 10.00 მულტსერიალი "ალექსი" 10.30 მხ. სერიალი "ჰორასი და თინა" 11.00 მხ. სერიალი "მოჯადოება" 12.00 მხ. სერიალი "ვი. აი. პი." 12.50 მხ. ფილმი "გჯეროდეს" 14.45 "ევროპის სტადიონებზე" 15.15 დოკ. სერიალი "ცხოვრებისეული გამოცდილება" 15.45 მხ. ფილმი "იქნებ დამეხმაროთ" 18.00 მხ. სერიალი "ჰორასი და თინა" 18.40 მულტსერიალი "ალექსი" 19.00 მხ. სერიალი "მოჯადოება" 20.00 "ევროპის სტადიონებზე" 21.00 მხ. სერიალი "ვი. აი. პი" 22.00 "ტელემეტრი" 22.15 მხ.ფილმი "ცოცხალი ბარგი" 00.20 მხ. სერიალი "თოჯინების ველი" 00.45 მხ. ფილმი "ლურჯის ორი ელფერი"

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 08.20 დოკუმენტური ფილმი 09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება 09.15 ისტორიული ფილმი "სამი მეფის შერკინება" 3 ს. 10.00 საბავშვო ფილმი "მთის მეფე" 12.15 ფანტასტიკა "ვარსკვლავთა ომები" 14.20 კომედია "ჯონი-კბილჩიჩქნა" 16.15 მულტფილმი "შრეკი" 17.45 თრილერი "გაიქეცი ლოლა, გაიქეცი" 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.30, 22.40 "პრესდაიჯესტი" 19.35, 22.50, 00.40 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე 20.00 კომედია "Ê-9" 22.00 მისტიკური დრამა "საამური ცხოვრება" 23.00, 00.45 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე 23.05, 00.50 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე 23.10 "ალტერნატივა" საავტორო გადაცემა 01.00 დრამა "ბრწყინვალება" 03.30 მელოდრამა "მოსიყვარულე გულები"

## ხუთშაბათი
### 13 მარტი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი "ბელფეგორი" 10.15 მხ. ფილმი "სია" 11.45 დოკ. სერიალი "კონტაქტი" 12.00, 15.00, 20.00, 23.55 მოამბე 12.15 ტელესერიალი "ეშმაკუნა" 13.00 "ნაშუადღევს" 14.00 ინგლისური ენის გაკვეთილი 14.30 დოკ. სერიალი "ევროპის ბუნების დიდებულება" 15.15 "ეგვიპტოლოგიის პიონერები" 15.45 კალათბურთი. "თსუ" – სტუ "ჯეოსელი" 17.15 ტელესერიალი "ძილის წინ" 17.30 შემეცნებითი ფილმი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. სერიალი "საგნების ისტორია" 18.30 ბასტი-ბუბუ 18.50 "ჯანმრთელობა" 19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე" 21.00 ტელესერიალი "ეშმაკუნა" 21.50 "ფრაგმენტები სასამართლო ცხოვრებიდან" 22.10 საქართველო არის ესე 22.35 ტელესერიალი "ძილის წინ" 23.00 სერიალი "72 საათი" 00.10 მხ. ფილმი "ვატელი" 02.05 ქართული ენის გაკვეთილი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.40 სერიალი "ოჯახური ურთიერთობები" 20.30 ისტორიანი 21.00 შვიდეული 22.10 ჰიტ. პარადი 22.20 მხ. ფილმი "დედოფალი მარგო"

07.00 მუსიკა 07.30 მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" 08.00 დილა მშვიდობისა 09.40 სერიალი "ქალთა ქვეყანა" 10.40 სერიალი "ალფი" 11.10 ხალხის პირისპირ 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი "დატყვევებული გულები" 13.30 მხ. ფილმი 15.20 ჩემპიონთა ლიგა 17.05 სერიალი "ქალთა ქვეყანა" 18.00, 21.00, 02.00 კურიერი 18.15 მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" 18.40 სერიალი "მედისონის სკოლა" 19.05 სერიალი "კუსტოს წყალქვეშა ოდისეა" 20.05 სერიალი "დატყვევებული გულები" 22.00 ვის უნდა ოცი ათასი 22.50 ღამის კურიერი 00.05 მხ. ფილმი "მომავალი ზაფხული" მთ. რ-ში: ფილიპ ნუარე 02.10 კლასიკა

08.00 ანონსი, აღსავალი 08.05 დიალოგი 10.35 მხ. ფილმი "უკანმოუხედავად" 12.30, 17.20, 17.50, 18.30, 21.55, 23.30 მუსიკა 13.00, 15.00, 17.00, 19.00 ახალი ამბები 13.10 მხ.ფ. "რისკიანი ბიზნესი" 14.30 დოკ. ფილმი 15.20, 18.00 დოკ. სერიალი "ექსპედიცია" 16.20 მულტფილმი 17.30 დოკ. სერიალი 18.45 ბუნების ფერები 19.30 კონცერტი 21.00 ტელე-სინე-ვიდეო (განმეორებით) 22.00 დიალოგი 23.45 მხ.ფ. "სიკვდილის მიზეზი" 00.55 მხ.ფ. "არც მატარებლები, არც თვითმფრინავები" 02.10 ღამის ფილმი

12.00 მხ. ფილმი "თავში უქრის" 13.30 მხ. ფილმი "მძვინვარების ანგელოზი" 15.00 მხ. ფილმი "სეიფების მძარცველი" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი "მიზერი" 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი "ბოლერო"

10.30 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს 11.00 რუსული ენის გაკვეთილი 11.30 ინგლისური ენის გაკვეთილი 12.00 მუსიკალური კოლაჟი 12.30, 22.00 სალონი 14.00 ექიმი გვირჩევს 18.00 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს 18.30 რუსული ენის გაკვეთილი 19.00 ინგლისური ენის გაკვეთილი 19.30 "ერთი ერთზე" 20.30 მულტფილმი 21.00 მსოფლიო სპორტი 23.30 მხ. ფილმი "ჯონ ფ. კენედი"

08.00 ტოროლა 11.00 განმ. ქართულ-უცხოური მუსათეული 11.45 მუსიკა 13.00 SMS შოუ 16.00 ფილმი "ორიდან ერთი" მთ. როლ-ში ენდი გარსია 19.00 ინფორმატორი 19.15 ქართული მუსიკა 19.30 ვიდეორადიო 21.00 მუსათეული მიქსი 22.00 ინფორმატორი 22.30 მუსიკა 23.00 აბა გამოიცანი მელოდია 00.00 ფილმი ბრავო "კ-19" მთ. როლ-ში ჰარისონ ფორდი 01.45 ფილმი ღამურა "ბრძოლა ნარეჩვაზე" 1-ლი ნ. მთ. როლში უილ ბრინერი 03.45 პაუზის გარეშე

09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები 09.50, 11.50, 17.50, 18.30, 19.50, 21.50, 23.45 მუსიკა 10.00 მულტსერიალი "ალექსი" 10.30 მხ. სერიალი "ჰორასი და თინა" 11.00 მხ. სერიალი "მოჯადოება" 12.00 მხ. სერიალი "ვი. აი. პი." 12.45 მხ. ფილმი "ცოცხალი ბარგი" 14.15 "ტელემეტრი" 14.45 "ევროპის სტადიონებზე" 15.15 დოკ. სერიალი "ცხოვრებისეული გამოცდილება" 15.45 მხ. ფილმი "ლურჯის ორი ელფერი" 18.00 მხ. სერიალი "ჰორასი და თინა" 18.40 მულტსერიალი "ალექსი" 19.00 მხ. სერიალი "მოჯადოება" 20.00 "ქართული ფეხბურთი" 21.00 მხ. სერიალი "ვი. აი. პი." 22.00 "ჩემი ქვეყანა" 22.15 მხ. ფილმი "დაქირავებული-2" 00.20 მხ. სერიალი "თოჯინების ველი" 00.45 მხ. ფილმი "გამბედაობა"

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 08.20 დოკუმენტური ფილმი 09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება 09.15 ისტორიული ფილმი "სამი მეფის შერკინება" 4 ს. 10.00 სათავგადასავლო ფილმი "ვულკანი" 12.15 დრამა "ბრწყინვალება" 14.00 კომედია "დაუმარცხებელი ველური" 16.15 მულტფილმი 17.40 მხატვრული ფილმი "გაიხსენეთ ჯარისკაცი" 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.30, 22.40, 00.40 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე 19.40 "პირისპირ" საავტორო გადაცემა 20.25 თრილერი "ყმები" 21.35 დოკუმენტური ფილმი 22.45, 00.45 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე 22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე 23.00 დოკუმენტური ფილმი 01.00 მელოდრამა "წინადადება" 03.30 მელოდრამა "ლამაზმანი"

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## პარასკევი
### 14 მარტი

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "ბელფეგორი" **10.15** მხ. ფილმი **"ვატელი"** **12.00, 15.00, 20.00, 23.55** მოამბე **12.15** ტელესერიალი **"ეშმაკუნა"** **13.00** "ნაშუადღევს" **14.05** "მხოლოდ კლასიკა" **15.15** მხ. ფილმი **"საშობაო ლევზელი"** **16.35** ტელესერიალი **"ქილის წინ"** **17.10** 50-50 **17.45** "ზუმი" **18.00** ვესტნიკი **18.20** დოკ. სერიალი "საგნების ისტორია" **18.30** ბასტი-ბუბუ **19.20** ტელეთამაში "იმღერე რამე" **21.00** ტელესერიალი **"ეშმაკუნა"** **21.50** "ფრაგმენტები სასამართლო ცხოვრებიდან" **22.10** ბენი ჰილი **22.35** ტელესერიალი **"ქილის წინ"** **23.00** სერიალი **"72 საათი"** **00.10** მხ. ფილმი **"მეექვსე ელემენტი"**

**19.00, 22.00** "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.40** სერიალი **"ოჯახური ურთიერთობები"** **20.30** საქართველო არის ესე **21.00** დოკ. ფილმი **21.30** აფხაზეთის ტელევიზია **22.10** ჰიტ. პარადი **22.20** მხ. ფილმი **"შესანიშნავი"**

**07.00** მუსიკა **07.30** მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" **08.00** დილა მშვიდობისა **09.40** სერიალი **"ქალთა ქვეყანა"** **10.40** სერიალი "ალფი" **11.10** ვის უნდა ოცი ათასი **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი **"დატყვევებული გულები"** **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.05** სერიალი **"ქალთა ქვეყანა"** **18.00, 21.00, 02.00** კურიერი **18.15** მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" **18.40** სერიალი **"მედისონის სკოლა"** **19.05** სერიალი **"კუსტოს წყალქვეშა ოდისეა"** **20.05** სერიალი **"დატყვევებული გულები"** **22.00** ხალხის პირისპირ **22.50** ღამის კურიერი **00.05** მხ. ფილმი **"მისტერ დიდსი-უნებლიე მილიონერი"** მთ. რ-ში: ედამ სანდლერი, ვაინონა რაიდერი **02.10** მხ. ფილმი **"ოქროს თასი"** მთ. რ-ში: ქეით ბეკინსეილი. **04.00** კლასიკა

**08.00** ანონსი, აღსავალი **08.05** დიალოგი **10.35** მხ. ფილმი **"სიკვდილის მიზეზი"** **12.30, 17.20, 17.50, 18.30, 21.55, 23.30** მუსიკა **13.00, 15.00, 17.00, 19.00** ახალი ამბები **13.10** მხ. ფილმი **"არც მატარებლები, არც თვითმფრინავები"** **14.30** დოკ. ფილმი **15.20, 18.00** დოკ. სერიალი **"ექსპედიცია"** **16.20** მულტფილმი **17.30** დოკ. სერიალი **18.45** ბუნების ფერები **19.30** "ნათელი სახეები" **20.00** მხ.ფ. **"შეინარჩუნო რწმენა"** **22.00** დიალოგი **00.55** მხ. ფილმი **"ფუქსი"** **02.10** ღამის ფილმი

**12.00** მხ. ფილმი **"ბოლერო"** **15.00** მხ. ფილმი **"აფიორა"** **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მხ. ფილმი **"დრაკონის კოცნა"** **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი **"პირადი მცველი"** **22.10** დოკ. ფილმი

**10.30** ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს **11.00** რუსული ენის გაკვეთილი **11.30** ინგლისური ენის გაკვეთილი **12.00** მუსიკალური კოლაჟი **12.30** სალონი **14.00** ექიმი გვირჩევს **18.00** ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს **18.30** რუსული ენის გაკვეთილი **19.00** ინგლისური ენის გაკვეთილი **19.30** "მომავალი" **20.00** ტელესერიალი **"დაბრუნება ედემში"** **21.30** კრიმინალი, პოლიცია, საზოგადოება **22.30** "გამარჯობა" **23.15** ძველი კინოკლასიკა მხატვრული ფილმი **"დრაკულა"**

**08.00** ტოროლა **11.00** განმ. მიქსი მუსათეული **11.45** მუსიკა **13.00** SMS შოუ **16.00** ფილმი **"სკუბი-დუ"** მთ. როლ-ში ფრედი პრინცი **19.00** ინფორმატორი **19.15** ქართული მუსიკა **19.30** ვიდეორადიო **21.00** რუსული მუსათეული **22.00** ინფორმატორი **22.30** პაპარაცი **23.00** ჩაძირობანა **00.00** ფილმი ბრავო **"24 საათი"** მთ. როლ-ში შარლიზ ტერონი **02.15** ფილმი ღამურა **"ბრძოლა ნერეტვაზე"** მე-2 ნ. **03.45** პაუზის გარეშე

**09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **09.50, 11.50, 17.50, 18.25, 19.50, 21.55, 23.40** მუსიკა **10.00** მულტსერიალი "ალექსი" **10.30** მხ. სერიალი **"ჰორასი და თინა"** **11.00** მხ. სერიალი **"მოჯადოება"** **12.00** მხ. სერიალი **"ვი. აი. პი"** **12.35** მხ. ფილმი **"დაქირავებული-2"** **14.15** "ჩემი ქვეყანა" **14.45** "ქართული ფეხბურთი" **15.15** დოკ. სერიალი "ცხოვრებისეული გამოცდილება" **15.45** მხ. ფილმი **"გამბედაობა"** **18.00** მხ. სერიალი **"ჰორასი და თინა"** **18.40** მულტსერიალი "ალექსი" **19.00** მხ. სერიალი **"მოჯადოება"** **20.00** "რეზო გაბრია[illegible]ის ნახატების არაჩვეულებრივი გამოფენა" **1**-ლი ნ. **21.00** მხ. სერიალი **"ვი. აი. პი"** **22.00** "ტელემეტრი" **22.15** მხ. ფილმი **"მოძღვარი"** **00.20** მხ. სერიალი **"თოჯინების ველი"** **00.45** მხ. ფილმი **"იაკუძას ძმა"**

**08.00, 03.00** საინფორმაციო დაიჯესტი **08.20** დოკუმენტური ფილმი **09.00, 12.00, 16.00** საინფორმაციო გამოშვება **09.15** ისტორიული ფილმი **"სამი მეფის შერკინება"** **5** ს. **10.00** საბავშვო ფილმი "არასასიამოვნო თავგადასავლები მაიმუნებთან" **12.15** თრილერი **"სახიფათო ზონა"** **14.00** კომედია **"ერნესტი აფრიკაში"** **15.30** დოკუმენტური ფილმი **16.15** მულტფილმი **17.10** მხატვრული ფილმი **"მარადიული სიყვარულის ისტორია"** **19.00, 22.00, 00.00** საინფორმაციო გამოშვება "დღეს" **19.20, 22.30, 00.30** საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" **19.30, 22.40** «Ï ðåñ-ï àï üå» **19.35, 22.45, 00.40** საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე **20.00** დოკუმენტური ფილმი **20.30** მელოდრამა **"მარტოხელა მამა"** **23.50, 00.45** საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე **22.55, 00.50** საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე **23.00** "ალტერნატივა" საავტორო გადაცემა **01.00** თრილერი **"სასოწარკვეთის საათი"** **03.30** კომედია **"თორმეტი სკამი"** **1-2** სერია

## შაბათი
### 15 მარტი

**08.00, 15.00, 00.30** მოამბე **08.15** მხ. ფილმი **"მეექვსე ელემენტი"** **09.45** "ზოოპარკი" **10.00** დილის პაემანი **11.05** "მხიარული კარუსელი" **11.35** დოკ. სერიალი "კონტაქტი" **11.50** გლობუსი **12.25** "მეტრო" **13.00** კვალი **13.30** დოკ. სერიალი "შინაური ცხოველების ველური ცხოვრება" **14.25** "საქართველო, დრო, მოვლენები" **15.15** ქართ. ფილმი **"რუი ბლაზი"** **16.50** საწინდარი **17.15** "ბელფეგორი" **17.40** რეალური სამყარო **18.00** ვესტნიკი **18.45** "თბილისის დროით" **19.05** "ენერგია" **19.35** "გინდ დაიჯერეთ, გინდ არა" **20.00** ცაიტნოტი **21.20** სერიალი **"72 საათი"** **22.10** "ფორტუნა" **22.45** მღერის ირმა სოხაძე **00.45** მხ. ფილმი **"ბოროტმზრახველები როგორც ყოველთვის უცნობი დარჩნენ"** **02.30** ღამის ჯაზი

**19.00** მულტფილმი **19.30** ორატორი **19.40** სერიალი **"ოჯახური ურთიერთობები"** **20.30** "ახლო ხედი" **21.00** დოკ. ფილმი **21.40** მხ. ფილმი **"ლიფტიდან ხელმარცხნივ"** **00.05** ჰიტ-პარადი

**08.00** მუსიკა **09.00** კურიერი **09.20** მულტსერიალი **10.50** სერიალი **"ათასწლეული"** **12.00, 15.00** კურიერი **12.20** სიმფსონები **12.45** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.00** სერიალი **"სახლი ძველ უბანში"** **17.30** სერიალი **"კოლომბო"** **18.00, 01.00** კურიერი **18.20** სერიალი **"კოლომბო"** **19.15** ჩემპიონთა ლიგის კვირის მიმოხილვა **20.05** სერიალი **"ჩინელი პოლიციელი"** **21.00** **კურიერი** P.S. **22.00** **ფსიქო**. მხ.ფ. **"აწიე წითელი ფარნები"**. **00.15** მხ.ფ. **"შავი ქორის დესანტი"** მთ. რ-ში: ჯოშ ჰარტნერი. **03.20** ღამის ჯაზი

**08.00** ანონსი, აღსავალი **08.05** დიალოგი **10.35** მხ. ფილმი **"შეინარჩუნო რწმენა"** **12.30, 17.20, 17.50, 18.30, 21.55, 23.30** მუსიკა **12.40** მხ. ფილმი **"ფუქსი"** **15.00, 17.00, 19.00, 22.00** ახალი ამბები **15.20** დოკ. სერიალი **"ექსპედიცია"** **16.30** მულტფილმი **17.30** დოკ. სერიალი **18.00, 19.30** მულტფილმი **18.45** ბუნების ფერები **20.30** ლიტერატურული გადაცემა - სილუეტი **21.00** დოკ. ფილმი **23.30** მუსიკალურ ტალღაზე **01.30** მხ.ფ. **"იჩქარე გიყვარდეს"** **02.40** ღამის ფილმი

**12.00** მხ. ფილმი **"პირადი მცველი"** **14.00** მხ. ფილმი **"განგსტერები"** **16.00** მხ. ფილმი **"გენერალი"** **17.30** მულტფილმი "შრეკი" **19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **19.15** დოკ. ფილმი **21.00** მხ. ფილმი **"დიდი დედას სახლი"** **22.30** მხ. ფილმი **"პროექტი 281"** **00.20** მხ. ფილმი **"მტრედის ფრთები"**

**10.30** მულტფილმი **11.30** ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს **12.00** რუსული ენის გაკვეთილი **12.30** ინგლისური ენის გაკვეთილი **13.00** სალონი **14.30** ექიმი გვირჩევს **15.30** დოკ. ფილმი **16.00** ლაბირინთი **17.00** დოკ. ფილმი "ფანჯარა ევროპაში" **17.30** თქვენი ადვოკატი **18.30** ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს **19.00** რუსული ენის გაკვეთილი **19.30** ინგლისური ენის გაკვეთილი **20.00** თინეიჯერი **21.00** ცეროდენა ვარსკვლავები **22.00** "და ღმერთმა შექმნა ქალი" **22.30** საოცარი პირამიდა **23.30** თეატრალური შეხვედრები **00.30** მხ. ფილმი **"იურული პერიოდის პარკი"**

**09.00** განმ. რუსული მუსათეული **10.00** ტოროლა **13.00** მუსიკა **14.00** SMS შოუ **17.00** ფილმი **"ქალაქის პოლიცია"** მთ. როლ-ში ედი მერფი **19.00** ინფორმატორი **19.15** ქართული მუსიკა **19.30** ვიდეორადიო **21.00** უცხოური მუსათეული **22.00** ინფორმატორი **22.30** კვირის საუკ. ლექსები **23.00** აბა გამოიცანი კადრი **00.00** ფილმი ბრავო **"ჭრიჭინა"** მთ. როლში კევინ კოსტნერი **01.50** ფილმი ღამურა **"მე ვიცი რა გააკეთეთ გასულ ზაფხულს"** მთ. როლ-ში ჯენიფერ ლავ ჰუიტი **03.45** პაუზის გარეშე

**09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **09.50, 11.50, 17.50, 18.25, 19.50, 21.50, 23.45** მუსიკა **10.00** მულტსერიალი "ალექსი" **10.30** მხ. სერიალი **"ჰორასი და თინა"** **11.00** მხ. სერიალი **"მოჯადოება"** **12.00** მხ. სერიალი **"ვი. აი. პი"** **12.45** მხ. ფილმი **"კანონის დამცველი"** **14.15** "ტელემეტრი" **14.45** "რეზო გაბრიაძის ნახატების არაჩვეულებრივი გამოფენა" **1**-ლი ნ. **15.15** დოკ. სერიალი "ცხოვრებისეული გამოცდილება" **15.45** მხ. ფილმი **"იაკუძას ძმა"** **18.00** მხ. სერიალი **"ჰორასი და თინა"** **18.40** მულტსერიალი "ალექსი" **19.00** გადაცემა "საუბრები სტუდიაში" **20.00** "რეზო გაბრიაძის ნახატების არაჩვეულებრივი გამოფენა" მე-**2** ნ. **21.00** დოკ. მუს. ფილმი "მუდი ბლუზი" **1**-ლი ნ. **22.00** მარიონეტების ფილმი "ყოჩაღები". "თავისუფლების კუნძული" **22.15** "მეცხრე არხის" კინოკლუბი: **1.** მხ. ფილმი **"შემცვლელი"** **77-83-28** **2.** მხ. ფილმი **"შეღწევა"** **77-83-29** **3.** მხ. ფილმი **"ეშმაკის მსხვერპლი"** **77-83-30** **00.20** მხ. ფილმი **"რინგი"**

**08.00, 03.00** საინფორმაციო დაიჯესტი **08.20** დოკუმენტური ფილმი **09.00, 12.00, 16.00, 19.00** საინფორმაციო გამოშვება **09.40** კომედია **"თორმეტი სკამი"** **1-2** სერია **12.10** ისტორიული ფილმი "სამყაროს შექმნა" **1** ს. **13.40** მხატვრული ფილმი **"ბუს ციხესიმაგრე"** **16.15** მულტფილმი **17.25** სათავგადასავლო დრამა **"ჯილაგი"** **1** ს. **19.20, 22.30, 00.30** საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" **19.25, 22.40** "პრესდაიჯესტი" **19.30** "ყველანი ვართ პატარები" **19.40** მხატვრული ფილმი **"ათი ზანგის ბიჭუნა"** **1** ს. **21.00** "ქართული ფილმი" საავტორო გადაცემა **22.00, 00.00** საინფორმაციო გამოშვება "დღეს" **23.00** «Ñëî âî » საავტორო გადაცემა **00.40** მელოდრამა **"წყნარი ოკეანის ისტორია"** **03.30** ისტორიული ფილმი **"სპარტაკი"**

## კვირა
### 16 მარტი

**08.00** მოამბე **08.15** მხ. ფილმი **"ბოროტმზრახველები როგორც ყოველთვის უცნობი დარჩნენ"** **10.00** "დილის პაემანი" **11.05** "ამბები ჩვენზე" **11.35** მოგზაურობა სასიტყვეთში **12.05** "სპა" **12.35** "პრესსტუდია" **13.25** მოსკოვი-თბილისი **13.55** "ღამის ჯაზი" **14.25** არათბილისური ამბები **15.00** საინფორმაციო პროგრამა ინგლისურ ენაზე **15.15** სპექტაკლი "დარაბებს მიღმა გაზაფხულია" **16.55** მულტსერიალი "ბელფეგორი" **17.25** საკვირაო გამოფენა **17.40** ტელეზღაპარი **18.00** ტაიმ-აუტი **18.20** "სახსოვარი" **18.55** "ოქროს ვექტორი" **19.25** "ჩვენი მისამართია" **20.00** ტაიმ-აუტი **20.55** ტელესერიალი **"72 საათი"** **21.45** "ამბობენ" **22.15** ჩემი მშვენიერი ლედი **22.35** ქართ. ფილმი **"დარიკო"** **00.30** ტაიმ-აუტი **01.00** მხ. ფილმი **"ცხოველური ბუნება"**

**19.00** მხიარული კარუსელი **19.30** დიზაინი **19.50** შეხვედრები ფიქრის გორაზე **20.30** საქართველოს მატიანე **21.00** დოკ. ფილმი "საუკუნის გიგანტები" **21.50** ვარსკვლავები გვამცნობენ **22.00** შვიდეული **23.00** მხ. ფილმი **"სიკვდილი ჰოლივუდში"** ჰიტ-პარადი

**08.00** მუსიკა **09.00** კურიერი **09.20** მულტსერიალი **10.50** სერიალი **"ათასწლეული"** **11.50** სიმფსონები **12.50** მხ.ფილმი **14.35** ველური ამბები **15.05** მხ. ფილმი **17.10** სერიალი **"სახლი /ველ უბანში"** **17.40** სერიალი **"კოლომბო"** **18.00, 00.40** კურიერი **18.20** სერიალი **"კოლომბო"** **19.00** მხ. ფილმი **21.00** **60** წუთი **22.25** ჩვენი ეზო **22.40** "ჯეოსელის კინოკლუბი" - **"ასა"** **8 77 45-79-25** ტატიანა დრუბიჩი, ჯონ ლიტგოუ. **"შემთხვევა მატარებელში"** **8 77 45-79-26**, ჟან-კლოდ ვანდამი, ლაურა ხერინგი. **"გამიწიე სამსახური"** **8 77 45-79-27** ორნელა მუტი. **00.50** მხ.ფ. **"ალი"** მთ. რ-ში: უილ სმიტი. **03.30** კლასიკა.

**08.00** ანონსი, მულტფილმი **08.20** აღსავალი **08.25, 10.15, 12.30, 21.55, 22.50** მუსიკა **08.30** ახალი ამბები **09.00** მხ. ფილმი **"იჩქარე გიყვარდეს"** **10.20** მულტფილმი **12.30** გადაცემა - მურადა (განმეორებით) **13.00** მუსიკალურ ტალღაზე **19.30** დოკ. ფილმი **20.00** მხ. ფილმი **"მოკლა სმუჩი"** **22.00** ტელე-სინე-ვიდეო **23.00** მხ.ფ. **"ბოტანიკური ბაღი"** **01.00** ღამის ფილმი

**12.00** მხ. ფილმი **"დიდი დედას სახლი"** **13.30** მხ. ფილმი **"პროექტი 281"** **15.00** მხ. ფილმი **"მკვდარი პოეტების საზოგადოება"** **17.00** მხ. ფილმი **"უკანასკნელი მოჰიკანი"** **19.00** ინდ. მხ. ფილმი **"პროფესიონალი"** **22.00** მხ. ფილმი **"მეხუთე ელემენტი"** **00.20** მხ. ფილმი **"ხალხი ლარი ფლინტის წინააღმდეგ"**

**11.00** ცისკრის ზარები **11.05** ტელესერიალი **"დაბრუნება ედემში"** **12.00** თეატრალური შეხვედრები **13.25** თბილისური ოჯახები **14.10** მხ. ფილმი **"ჩემი დედინაცვალი უცხოპლანეტელია"** **16.00 - 18.00** რელიგიის საათი **18.00** დოკ. ფილმი **19.00** კითხვების კორიანტელი **19.20** მუსიკალური კოლაჟი **20.00** შეხვედრა ვარსვლავთან **20.20** მოგზაურობა ბავშვობაში **20.40** თავისუფალი მიკროფონი **20.50** თქვენი აზრით **21.00** ტელესერიალი **"დაბრუნება ედემში"** **22.00** "იდენ-ტვ" **22.30** საოცარი პირამიდა **23.30** მხ. ფილმი **"იურული პერიოდის პარკი-2"**

**10.00** ტოროლა **13.00** განმ. უცხოური მუსათეული **14.00** SMS შოუ **17.00** ფილმი **"ყველაფერი ბენჯამინებზე"** მთ. როლ-ში აის კიუბი. **19.00** ინფორმატორი **19.15** ქართული მუსიკა **19.30** ვიდეორადიო **21.00** ქართული მუსათეული **22.00** ინფორმატორი **22.30** მუსიკა **23.00** აბა გამოიცანი მელოდია **00.00** ფილმი ბრავო **"დროის მანქანა"** მთ. როლ-ში გაი პირსი **01.40** ფილმი ღამურა **"მე ჯერ კიდევ ვიცი რა გააკეთეთ გასულ ზაფხულს"** მთ. როლ-ში ჯენიფერ ლავ ჰუიტი **03.45** პაუზის გარეშე

**09.30** დღის ამბები **09.50, 11.50, 17.50, 18.25, 19.50, 21.50, 23.45** მუსიკა **10.00** მულტსერიალი "ალექსი" **10.30** მხ. სერიალი **"ჰორასი და თინა"** **11.00** გადაცემა "საუბრები სტუდიაში" **12.00** მულტფილმი "ფიფქია და შვიდი ჯუჯა" **13.10** დოკ. ფილმი "კეტრინ ჰეპბერნი. ყველაფერი ჩემს შესახებ" **14.45** "რეზო გაბრიაძის ნახატების არაჩვეულებრივი გამოფენა" მე-**2** ნ. **15.15** მხ. ფილმი **"რინგი"** **17.00** მხ. ფილმი **"შემცვლელი-2"** **19.00** "ბელისიმო". ურმული. **19.30** გადაცემა "მსოფლიო ფეხბურთი" **20.00** "ოსტატები". მეარღნე. **20.40** დოკ. სერიალი "ფოტორობოტი" მე-**4** ს. **22.00** მარიონეტების ფილმი "ყოჩაღები". "ძარცვა". **22.15** მხ. ფილმი **"ძნელად ნაშოვნი ფული"** **00.20** მხ. ფილმი **"თავისუფალი ქვეყანა"**.

**08.00, 03.00** საინფორმაციო დაიჯესტი **08.20** დოკუმენტური ფილმი **09.00, 12.00, 16.00, 19.00** საინფორმაციო გამოშვება **09.15** საბავშვო ფილმი "გან[illegible]ის მაძიებელნი" **11.00** "ყველანი ვართ პატარები" **11.10** "Ñëî âî " **12.10** "სამყარო მშვენიერია" ბავშვები და ხელოვნება **12.20** ისტორიული ფილმი "სამყაროს შექმნა" **2** ს. **14.00** მელოდრამა **"სიცოცხლე და მეტი არაფერი"** **16.15** "სამყარო მშვენიერია" ბავშვები და ხელოვნება **16.25** მულტფილმი **17.25** სათავგადასავლო დრამა **"ჯილაგი"** **2** ს. **19.30** "სამყარო მშვენიერია" ბავშვები და ხელოვნება **19.40** მხატვრული ფილმი **"ათი ზანგის ბიჭუნა"** **2** ს. **20.55** ისტორიული ფილმი **"კორინთოს დამპყრობი"** **22.00, 00.00** საინფორმაციო გამოშვება "დღეს" **22.30, 00.30** "Í î âî ñòè â âî ñêðåñåíüå" **22.50** "ქალბატონები" საავტორო გადაცემა **01.00** მელოდრამა **"პროვინციული რომანი"** **03.30** ისტორიული ფილმი **"ზულუსები"**

## [illegible]



**ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის საქ. თეატრი**

14.03 (18.00) ჯუზეპე ვერდი **"ტრავიატა"**. ოპერა ოთხ მოქმედებად. [illegible] - ზაზა აზმაიფარაშვილი

16.03 (18.00) გაეტანო დონიცეტი **"სიყვარულის ნექტარი"**. ოპერა ორ მოქმედებად. [illegible] - გელა ფარჩუკიძე.

*ფასი 2-5 ლარი.*

**[illegible]**

[illegible] "[illegible]" [illegible]. [illegible]: 93-11-06

5.03, 16.03 (14.00) საბავშვო ზღაპარი **"ყველაზე დიდი სასწაული"**. დამდგმელი რეჟისორი _ ავთანდილ ვარსიმაშვილი.

*ფასი 5 ლარი.*

**თეატრი "ძველი სახლი" თბილისის მუნიციპალური "მეტეხის თეატრი"**
მუნიციპალური „მეტეხის თეატრი" / თეატრი „ძველი სახლი"
მეტეხის აღმართი №1 ტ.77-04-64

14.03 (18.00) თეოდორ დოსტოევსკი **"იდიოტი"**. დამდგმელი რეჟისორი - სანდრო მრევლიშვილი.

11.03, 15.03 (18.00) აზიზ ნესინი **"მომკალ-მომკალ..."** დამდგმელი რეჟისორი - ლევან კუჭაიძე.

13.03 (18.00) რევაზ კლდიაშვილი **"როსტომ მანველიძე"** (დავით კლდიაშვილის მოთხრობის მიხედვით). დამდგმელი რეჟისორი - სანდრო მრევლიშვილი.

*ფასი 2-3 ლარი.*

**ნოდარ დუმბაძის სახელობის ცენტრალური საბავშვო თეატრი**

დიდი დარბაზი

13.03 (12.00), 14.03 (15.00), 15.03 (12.00) ჰანს კრისტიან ანდერსენი **"თოვლის დედოფალი"** რუსულ ენაზე. დამდგმელი რეჟისორი - გია კიტია.

11.03 (14.30), 12.03 (15.00), 14.03 (11.00) ჰანს კრისტიან ანდერსენი **"თოვლის დედოფალი"** ქართულ ენაზე. დამდგმელი რეჟისორი - გია კიტია.

მცირე დარბაზი

16.03 (12.00) **"ყოჩაღ მიცია!"**. დამდგმელი რეჟისორი - ანზორ ჩხიკვაძე.

*ფასი 2 ლარი.*

**ზღაპრის თეატრი**
[illegible]ღმაშენებლის 136 ტ. 95-01-23

15.03,16.03(12.00) "[illegible]", "[illegible]", "[illegible]", "[illegible]", "[illegible]", "[illegible]", "[illegible]".

*[illegible] 2 [illegible].*

**[illegible]**
[illegible]. [illegible] [illegible]. 10

16.03 (18.00) ლაშა თაბუკაშვილი **"მერე რა, რომ სველია სველი იასამანი"**. დამდგმელი რეჟისორები _ რობერტ სტურუა, დავით ხინიკაძე.

15.03 (18.00) ილია ჭავჭავაძე **"კაცია-ადამიანი?!"** დამდგმელი რეჟისორები _ რობერტ სტურუა, ანდრო ენუქიძე.

*[illegible] 5-10 [illegible].*

**ვაკის სარდაფი**
ჭავჭავაძის. 32. ტ. 91-27-78

10.03-16.03 (20.00) უილიამ შექსპირი **"ვენეციელი ვაჭარი"**. დამდგმელი რეჟისორი - ლევან წულაძე.



**კოტე მარჯანიშვილის სახელობის აკადემიური თეატრი**
მარჯანიშვილის ქ. 8 95-55-00

15.03, 16.03 (18.00) პრემიერა. ინგა გარუჩავა, პეტრე ხოტიანოვსკი **"მიტევების დღე"** დამდგმელი რეჟისორი - ქეთი დოლიძე. მონო სპექტაკლი გურანდა გაბუნიას მონაწილეობით.

*ფასი 2-5 ლარი.*

**ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი**
მის: ქუთაისი. აღმაშენებლის მოედანი 1. ტ: 4-56-41



10.03 (16.00) ოთარ ბაღათურია **"ამიკო"**. დამდგმელი რეჟისორი - ნუგზარ ლორთქიფანიძე.

11.03 (16.00) ლუდმილა რაზუმოვსკაია **"მარიამ სტიუარტი"**. დამდგმელი რეჟისორი - დავით მღებრიშვილი

12.03 (16.00) ანტუან დე სენტ ეგზიუპერი **"ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ"**. დამდგმელი რეჟისორი - ბექა ყურაშვილი.

13.03 (16.00) ოტია იოსელიანი **"ურემი გადაბრუნდა"**. დამდგმელი რეჟისორი - ნუგზარ ლორთქიფანიძე.

*ფასი 3 ლარი.*

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

რეტრო

# მურთაზ ხურცილავა დიდ ფეხბურთში

## ციფრები, ფაქტები, კომენტარი




შესავლის გარეშე დავაკონკრეტებ: მურთაზ ხურცილავა მსოფლიოს ყველა დროს ერთ-ერთი უძლიერესი ცენტრალური მცველი გახლდათ. ჩემი აზრით, იგი გაცილებით ძლიერი იყო, ვიდრე ბრაზილიელი რამოს დე ოლივეირა მაურო, ინგლისელი ბობი მური, რუსი (თავის დროზე საბჭოთა) ანატოლი მასლიონკინი, გერმანელები ვილი შულცი და ვოლფგანგ ვებერი.

საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ისტორიაში მურთაზ ხურცილავას სახელი ოქროს ასოებითაა ჩაწერილი. იგი თანაბრად ინაწილებს ყველა დროის საუკეთესო ცენტრალური მცველის არაოფიციალურ ტიტულს კონსტანტინე კრიჟევსკისთან და ალბერტ შესტერნიოვთან ერთად.

... მე, 1959 წლის სეზონის საფეხბურთო სეზონის დასაწყისიდან გახლავართ ფეხბურთის გულშემატკივარი, შევხვედრივარ არაერთ ფეხბურთის ვარსკვლავს. ცნობილ მწვრთნელს, გამოჩენილ სპეციალისტს და დავასკვენი რომ მურთაზ ხურცილავას სიძლიერის ფეხბურთელი საქართველოს არ ჰყოლია. მივიჩნევ რომ 1959 წლიდან მოყოლებული (სხვა პერიოდს არ ვეხები) ქართველ უძლიერეს ფეხბურთელთა ხუთეული უნდა განისაზღვროს... ექვსი ფეხბურთელით. დიახ, ექვსით!

აი, ისინიც: სიმბოლურ ტახტზე (პირველი ადგილი მაქვს მხედველობაში) ერთნაირი ძალის (ოღონდ სხვადასხვა სტილის) ორი ვარსკვლავი უნდა განთავსდეს – სლავა მეტრეველი და მიხეილ მესხი! მიხეილ მესხი და სლავა მეტრეველი! მეორე ადგილზე, უდაოდ, მურთაზ ხურცილავაა. შემდეგ – გივი ჩოხელი; IV – რამაზ შენგელია; V – სერგო კოტრიკაძე.

ყველა დროის საქართველოს სიმბოლური ნაკრები კი (1959 წლიდან მოყოლებული) ასე მაქვს წარმოდგენილი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, დავით ყიფიანი, შოთა იამანიძე, სლავა მეტრეველი, ვლადიმერ ბარქაია, რამაზ შენგელია, მიხეილ მესხი (გუნდი შედგენილია სისტემით 4+2+4). სიმბოლურ ნაკრებს სათავეში ნოდარ ახალკაცს და ანდრო ჟორდანიას ჩავუყენებდი.

მურთაზ ხურცილავა დღიდან თბილისის „დინამოში" მოსვლისა (1961 წელი), საფეხბურთო კარიერის დასასრულამდე (1975 წ.), ცენტრალური მცველი გახლდათ. ამ ამპლუაში გამოდიოდა იგი საბჭოთა კავშირის ნაკრებშიც 1965 წლიდან 1973 წლის ჩათვლით. „დინამოში" იგი მარჯვენა ცენტრალური მცველი იყო (1962-63 წ.წ. გივი ჩოხელთან, 1964-65 წ.წ. ჯემალ ზეინკლიშვილთან და შემდეგ წლებში ვახტანგ რეხვიაშვილთან, ვახტანგ ჭელიძესთან და ფირუზ კანთელაძესთან ერთად). საბჭოთა კავშირის ნაკრებში მურთაზი მარცხენა ცენტრალური მცველი იყო. მარჯვენა ცენტრალური მცველის ფუნქციას შეუდარებელი ალბერტ შესტერნიოვი ასრულებდა. მისი ფეხბურთიდან წასვლის შემდეგ, ხურცილავამ საყრდენი ცენტრალური მცველის ფუნქცია იკისრა ნაკრებშიც და ათეულობით მატჩი ითამაშა მეორე ცენტრალურ მცველ არმიელ ვლადიმერ კაპლიჩნისთან „ტანდემში".

ცენტრალურ მცველად უთამაშია მურთაზ ხურცილავას მსოფლიოში აღიარებული ცენტრალური თავდამსხმელების წინააღმდეგ. ჩამოვთვალოთ ზოგიერთ მათგანი: ბრაზილიელი პელე, იტალიელი მაცოლა, ესპანელი კინო, პოლონელი ლიუბანსკი, პორტუგალიელი ტორესი, გერმანელი მიულერი, უნგრელი ალბერტი, ბულგარელი ასპარუხოვი, მოსკოველი ე. სტერლცოვი, როსტოველი ვ. პონელელნიკი, მინსკელი ე. მალოფეევი, ბაქოელი ა. ბანიშევსკი, კიეველი ე. ბიშოვიცი და მრავალი სხვა.

მურთაზ ხურცილავას არავისთან შეურცხვენია თავი. ბევრი მათგანი კი, საერთოდ გამოუთიშია თამაშიდან.

რაც შეეხება შეტევებში მურთაზ ხურცილავას მონაწილეობას (გაიტანა 6 გოლი სსრკ ნაკრების შემადგენლობაში, 15 გოლი საბჭოთა კავშირის პირველობაზე), ეს ამ დიდი ფეხბურთელის ფართო დიაპაზონზე მეტყველებს.

... მურთაზ ხურცილავამ 15 სეზონის განმავლობაში ითამაშა თბილისის „დინამოს" შემადგენლობაში და გამართა 293 მატჩი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გაიტანა 15 გოლი. წარმოგიდგენთ მურთაზ ხურცილავას მიერ საკავშირო ჩემპიონატებში გამართულ მატჩებს წლების მიხედვით:

1961 წ. – 6 მატჩი; 1962 წ. – 24; 1963 წ. – 33; 1964 წ. – 9. 1965 წ. – 21; 1966 წ. – 16; 1967 წ. – 22; 1968 წ. – 25; 1969 წ. – 25; 1970 წ. – 24; 1971 წ. – 29; 1972 წ. – 22; 1973 წ. – 17; 1974 წ. – 18; 1975 წ. – 2 მატჩი.

თბილისის „დინამოს" შემადგენლობაში 5-ჯერ გახდა ბრინჯაოს მედლის მფლობელი (1962, 1967, 1969, 1971, 1972 წ.წ.). 1970 წელს ითამაშა საბჭოთა კავშირის თასის გათამაშების ფინალში (1:2 – მოსკოვის დინამოსთან). 1971-75 წლებში იყო თბილისის „დინამოს" კაპიტანი.

მურთაზ ხურცილავამ საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში 69-ჯერ ითამაშა 34 – ქვეყნის ნაკრები გუნდის წინააღმდეგ. წარმოგიდგენთ მურთაზ ხურცილავას მიერ ნათამაშევი მატჩების (ქვეყნების) რაოდენობას 1965 წლის 3 ოქტომბრიდან (საბერძნეთის ნაკრების წინააღმდეგ). 1973 წლის 5 აგვისტომდე (შვეციის ნაკრების წინააღმდეგ); 1. საბერძნეთი – 3 მატჩი. 2. დანია – 2. 3. უელსი – 1. 4. ბრაზილია – 2. 5. ურუგვაი – 2. 6. კორეა – 1. 7. იტალია – 2. 8. პორტუგალია – 1. 9. თურქეთი – 3. 10. გდრ – 3 (1 გოლი). 11. შოტლანდია – 1. 12. ავსტრია – 2. 13. პოლონეთი – 3. 14. ფინეთი – 3 (1 გოლი). 15. შვეცია – 3 (2 გოლი). 16. ბულგარეთი – 5. 17. ჰოლანდია – 1. 18. ინგლისი – 2. 19. ჩილე – 1. 20. ბელგია – 2. 21. უნგრეთი – 3 (1 გოლი). 22. ჩეხეთი – 2 (1 გოლი). 23. პერუ – 3. 24. სალვადორი – 2. 25. მექსიკა – 2. 26. ინდოეთი – 1. 27. ჩრ. ირლანდია – 2. 28. ესპანეთი – 1. 29. გფრ – 2. 30. იუგოსლავია – 2: 31. სუდანი – 1. 32. მაროკო – 1, 33. საფრანგეთი – 2. 34. ირლანდია – 2 მატჩი. სულ 69 მატჩი. 34 ქვეყანა, 6 გოლი.

მურთაზ ხურცილავამ 1971-73 წ.წ. საბჭოთა კავშირის ნაკრების კაპიტანმა 1966 წელს ინგლისში მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. 1970 წელს მონაწილეობდა მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატში. 1972 წელს, ბელგიაში, ევროპის პირველობის ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა. ამავე წელს, სექტემბერში მიუნხენის XX ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს მედალს დაეუფლა. 1967-68 წ.წ. დაასახელეს საბჭოთა კავშირის № 2, 1972 წელს კი № 3 ფეხბურთელად. 1967 წელს იყო საუკეთესო სპორტსმენი საქართველოში. 1969 წელს მას მიანიჭეს სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება. 10-ჯერ შედიოდა „33 საუკეთესო" ფეხბურთელთა სიაში (მათ შორის № 1 იყო 6-ჯერ).

... შეუდარებელ მურთაზ ხურცილავას 2003 წლის 5 იანვარს 60 წელი შეუსრულდა...



**ნუგზარ მჭედლიშვილი.**
**ვარლამ გენზიურის ფოტო.**

## მხოლოდ შედეგები

### რაგბი

**ევროპის ერთა თასი.** რუსეთი – საქართველო 17:23.

**ექვსი ერის თასი.** ირლანდია – საფრანგეთი 15:12, შოტლანდია – უელსი 30:22.



### ავტოსპორტი

**„ფორმულა-1". I ეტაპი. „ავსტრალიის დიდი პრიზი".**

პრიზიორები: დევიდ კულტჰარდი („მაკლარენი", შოტლანდია), ხუან პაბლო მონტოია („უილიამსი", კოლუმბია), კიმი რაიკონენი („მაკლარენი", ფინეთი).

### ფეხბურთი

**იტალია:** „ბოლონია" – „ინტერი" 1:2, „რომა" – „ლაციო" 1:1.

**ესპანეთი.** „რეალი" – „რასინგი" 4:1, „ვალენსია", – „ატლეტიკო" 0:1, „ბარსელონა" – „ვალიადოლიდი" 1:1, „დეპორტივო" – „ვილიარეალი" 2:1.

**ინგლისი.** „ლივერპული" – „ბოლტონი" 2:0.

**გერმანია.** „ბაიერნი" – „ლევერკუზენი" 3:0, „შალკე" – „ბილეფელდი" 1:1, „ვერდერი" – „ბოხუმი" 2:0, „გლადბახი" – „ბორუსია" 1:0, „შტუტგარტი" – „ჰამბურგი" 1:1, „ჰერტა" – „მიუნხენი" 6:0, „ვოლფსბურგი" – „კოტბუსი" 3:2.

**საფრანგეთი.** „რენი" – „ოსერი" 0:0, „ლიონი" – „აიაჩო" 3:1, „მონაკო" – „ბორდო" 0:1, „სედანი" – „გენგამი" 2:0, „სოშო" – „ლილი" 2:2, „ნანტი" – „ჰავრი" 2:0, „ტრუა" – „მონპელიე" 0:2, „ლანსი" – „ნიცა" 0:0, „ბასტია" – „სტრასბურგი" 1:1.

**ჰოლანდია.** „ტილბურგი" – „ტვენტე" 1:2, „ბრედა" – „გრააფსხაფი" 1:0, „ეინდჰოვენი" – „ნაიმეგენი" 2:1, „ზვოლე" – „აიაქსი" 0:5, „ექსცელსიორი" – „ფეიენოორდი" – 2:6.

**ჩეხეთი.** „სპარტა" – „ლიბერეცი" 5:0.

**ბელგია.** „მუსკრონი" – „ბრიუგე" 0:4, „გენტი" – „სენტ ტრუიდენი" 3:0, „ანტვერპენი" – „ლიერსი" 2:2, „შარლერუა" – „მონსი" 2:1, „მეხელენი" – „ბეერსხოტი" 2:0, „ვესტერლო" – „ლომელი" 1:2.

**შოტლანდია.** „სელტიკი" – „რეინჯერსი" 1:0, „დანდი" – „კილმარნოკი" 2:2, „ლივინგსტონი" – „ჰართსი" 1:1, „მოზერუელი" – „აბერდინი" 0:1.

**ავსტრია.** „ბრეგენცი" – „შტურმი" 0:2, „გრაცერი" – „რიდი" 2:0, „პაშინგი" – „ადმირა" 0:0, „ზალცბურგი" – „კერნტენი" 1:1.

**შვეიცარია.** „ვილი" – „გრასხოპერსი" 1:3, ბაზელი" – „სერვეტი" 2:0, „ლიუცერნი" – „აარაუ" 0:1.

**საბერძნეთი.** „პანახაიკი" „ქსანთი" 0:2.

**თურქეთი.** „გალათასარაი" – „ფენერბახჩე" 2:0, „დენიზლი" – „ალთაი" 1:1, „გიოზთეფე" – „სამსუნი" 0:0, „მალათია" – „ელაზიგი" 1:1.

**ინგლისის თასი.** „არსენალი" – „ჩელსი" 2:2.

**პორტუგალიის თასი.** „პორტუ" – „ვარზიმი" 7:0, „ლეირია" – „აკადემიკა" 3:1.

**რუსეთის სუპერთასი.** „ლოკომოტივი" – ცსკა 1:1 (პენალტებით – 4:2).

### ჭადრაკი

**ქალთა მე-60 ეროვნული ჩემპიონატი. X ტური.** სოფიო გვეტაძე – ლელა ჯავახიშვილი 0,5:0,5, ანა გავაშელი – ნინო მელაშვილი 1:0, ნანა ძაგნიძე – თამარ წერეთელი 1:0, მაია ლომინეიშვილი – ნინო ბაციაშვილი 1:0, ალა ვახანია – სალომე მელია 0:1, სოფიო ტერელაძე – ანა მათნაძე 0:1.

**XI ტური.** ჯავახიშვილი – ვახანია 0,5:0,5, მელაშვილი – გვეტაძე 0:1, ბაციაშვილი – ხოტენაშვილი 0:1, წერეთელი – ლომინეიშვილი 0:1, მათნაძე – ძაგნიძე 0,5:0,5, მელია – ტერელაძე 1:0.

**საქართველოს** სახელმწიფო კანცელარიის სახელმწიფო სამსახურის ბიუროს მიერ ცხადდება შესწორებები 2003 წლის 6 და 9 თებერვლის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის სახელმწიფო სამსახურის ბიუროს მიერ გამოცხადებული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის მოხელეთა ვაკანტურ თანამდებობებზე გრძელვადიანი საჯარო კონკურსის პირობებში; კერძოდ:

1. კონკურსის პირობებს მე-3 აბზაცში სიტყვებს „საბაჟო სისტემაში მუშაობის გამოცდილება" შეიცვალოს სიტყვებით „და გამოცდილება".

აღნიშნული ცვლილებების საფუძველზე კონკურსში მონაწილეობის მსურველთა საბუთების მიღება იწარმოებს განცხადების გამოქვეყნებიდან 2 კვირის განმავლობაში (გამოსასვლელი დღეების გარდა; 11-დან 17 საათამდე, საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოში შემდეგ მისამართზე: თბილისი, ორხევის დასახლება, აბზიანიძის ქ. № 4), ხოლო მათ, ვისაც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოში შეტანილი ჰქონდა საბუთები (კონკურსში მონაწილეობისათვის) ძალაში რჩება და დამატებითი განცხადების შეტანა სავალდებულო არ არის.

**ბიურო.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

ადამიანი დროში

# ნიკოლოზ ქვარიანი პოლონეთში დიდი სიყვარულით სარგებლობდა

**წლეულს, 16 იანვარს, დაბადებიდან ასი წლისთავი შეუსრულდა მსოფლიოში სახელგანთქმულ სპორტსმენს, ლეგენდარულ ფალავანს, ემიგრანტს – კოლია ქვარიანს. საქართველოს საამაყო შვილისადმი მიძღვნილი დღე ზეიმით აღნიშნეს ქუთაისში, სადაც სპორტსმენი დაიბადა და რომელ ქალაქთანაც არის დაკავშირებული ამ ჭიდაობის ლეგენდის ცხოვრების უდიდესი ნაწილი.**

**ამ თარიღთან დაკავშირებით გთავაზობთ ვარშავაში გამომავალ ჟურნალ „PRO GEORGIA“-ში (მას უშვებს საქართველო-პოლონეთის საზოგადოება) დაბეჭდილ მშვენიერ წერილს ქართველი სპორტსმენის შესახებ. იგი ეკუთვნის ემიგრანტი ჟურნალისტისა და პოლიტოლოგის ალექსანდრე გოძიაშვილის ვაჟის, ეჟის კალამს. ვფიქრობთ, წინამდებარე წერილი გარკვეულად შეავსებს ჩვენს წარმოდგენას გამოჩენილ ფალავანზე.**

ოცაათიან წლებში ძმები სტანევსკების ვარშავის ცირკში (ომის დროს ეს შენობა დაინგრა. შემდგომ იმ ადგილას ფრედერიკ შოპენის სახელობის აკადემიის შენობა ააგეს) ხშირად იმართებოდა შეჯიბრებები პროფესიონალ მოჭიდავეებს შორის. მაშინ ამგვარი პაექრობები უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა. ცირკის შენობა სულ გადატენილი იყო მაყურებლით. ისიც გავიხსენოთ, რომ იმ დროს სპორტი არ იყო ასე პოპულარული და სპორტული სანახაობებიც იშვიათად ეწყობოდა.

მაყურებლები, განსაკუთრებით ისინი, ვინც დარბაზის ბოლო რიგებში ისხდნენ, ტაშითა და შეძახილებით ხვდებოდნენ თავიანთ საყვარელ მოჭიდავეებს, ხოლო თუ რომელიმე მათგანი ამა თუ იმ მიზეზით არ მოსწონდათ – სტვენით და ფეხების ბრახუნით.

მაყურებელთა დიდი სიმპათიებით სარგებლობდნენ, რაც სავსებით ბუნებრივია, პოლონელი მოჭიდავეები, თუმცა არა ყველა. განსაკუთრებით უყვარდათ ელეგანტურად მოჭიდავე თეოდორ შტეკერი და ასევე ორმეტრიანი გოლიათი ლეონ გრაბოვსკი, ასევე სიმპათიური ბილევიჩი (უკრაინა) და პანოვი (უნგრეთი). სამაგიეროდ, მათი სიმპათიებით ვერ სარგებლობდნენ ურბახი (გერმანია) და გრომოვი (რუსეთი). ეს, ალბათ, იმიტომ, რომ ვერც ლამაზად ჭიდაობას ახერხებდნენ და გარეგნულადაც შეუხედავები იყვნენ. თუმცა, უნდა ითქვას, რომ გერმანელი და რუსი მოჭიდავეებისადმი ვარშაველი მაყურებლის ცივ დამოკიდებულებას შესაძლოა პოლიტიკური მოტივებიც განსაზღვრავდა. ეს მოჭიდავეები ხომ იმ ქვეყნებს წარმოადგენდნენ, რომლებიც თავს ესხმოდნენ და ჩაგრავდნენ პოლონეთს. მათ მიმართ გულცივ დამოკიდებულებას მნიშვნელოვანწილად 1920 წლის ომიც განაპირობებდა. ის ამბავი, რომ მოჭიდავეთა გვარის გამოცხადების შემდეგ მათ ქვეყანას აცხადებდნენ როგორც უკრაინას, რუსეთს თუ საქართველოს და არა საბჭოთა კავშირს, მიანიშნებდა პოლიტიკურ შეხედულებებზე და დამოუკიდებულობის იდეის სიძლიერეზე.

ქართველი სპორტსმენი ნიკოლოზ ქვარიანი ვარშაველი მაყურებლის დიდი სიყვარულით სარგებლობდა არა მხოლოდ იმიტომ, რომ ლამაზად ჭიდაობდა და უკვე სახელიც ჰქონდა მოხვეჭილი საფრანგეთისა თუ ამერიკის ტურნირებში, არამედ საქართველოსადმი პოლონელთა პოლიტიკური სიმპათიების გამოც. სპორტის ასაკოვან მაყურებელში ჯერ კიდევ ცოცხალი იყო იმის მოგონებები, თუ როგორი გულთბილი დამოკიდებულება ჰქონდათ რევოლუციამდე ციმბირში გადასახლებულ პოლონელსა და ქართველს ერთმანეთის მიმართ. ცხადია, მისადმი მაყურებელთა დიდ სიმპათიებს ისიც განაპირობებდა, რომ იმ დროისათვის პოლონეთის არმიაში მრავალი ქართველი მსახურობდა პორუჩიკიდან გენერლამდე. შესაძლოა მის პოპულარობას პოლონეთში დაბადებული პატარა თანამემამულე ბიჭის მიერ მირთმეული ყვავილებიც ზრდიდა. ქვარიანისადმი ვარშაველების სიმპათიებს აძლიერებდა ასევე ამ ქალაქში მაშინ არსებული დიდი ქართველი დიასპორის ცხოველი გულშემატკივრობა მისადმი.

მშვენივრად მახსოვს ჩემი პირველი დასწრება ამ შეჯიბრზე. ლამაზად ვიყავი გამოწყობილი, ზუსტად ისე, როგორც პირველი ზიარების დროს – თეთრ პერანგსა და ბროწეულისფერ შარვალში. მახსოვს ისიც, თუ როგორი ძალით ვუჭერდი ხელს ვარდების თაიგულს, რომელთა შესაკვრელადაც დედაჩემმა სპეციალურად შეკერა ქართული დროშის ფერების – შინდისფერი, შავი და თეთრი, – სიმბოლურად გამომსახველი ბანტი. მშობლებმა ისიც დამარიგეს, რომ თუ ქვარიანი ხელში ამიყვანდა (იგი ხომ ზორბა ტანის მამაკაცი იყო), მე კისერზე უნდა მოვხვეოდი მას და მეკოცნა.

ბოლოს დადგა დრო, როდესაც ჩვენ ცირკის ლოჟაში აღმოვჩნდით. ძალიან ვღელავდი. შეჯიბრებამდე ჩვეულებრივი ცირკის ნომრები გათამაშდა. მისი




დასრულების შემდეგ ორკესტრმა სპორტული მარში დაუკრა და მოჭიდავეებიც რიგ-რიგობით სცენაზე გამოვიდნენ. გამოსვლისას ისინი ჰაერში რკალს კრავდნენ. პროგრამის წამყვანი მეგაფონით წარუდგენდა მათ მაყურებელს. კერძოდ, აცხადებდა სახელს, გვარს, სამშობლო ქვეყანას და ასევე მიღებულ ჯილდოებს. მოჭიდავე გამოდიოდა ცირკის არენაზე, თავს უკრავდა მაყურებელს და მაყურებელიც მას ან მოწონების შეძახილებით ამხნევებდა და ტაშს უკრავდა, თუ მოჭიდავე მათი კერპი იყო, ან უარყოფის ნიშნად ფეხების ბრახუნითა და სტვენით ხვდებოდა. მახსოვს, რომ თეოდორ შტეკერი და ლეონ გრაბოვსკი მაყურებელმა ენთუზიაზმით მიიღო, ხოლო ურბახი და გრომოვი – უკმაყოფილო შეძახილებით. ისიც მახსოვს, რომ ამ რამდენიმე წუთის განმავლობაში ძალიან ვღელავდი, რადგან მაინტერესებდა, თუ როგორ შეხვდებოდა მაყურებელი ქვარიანს. ბოლოს გაისმა: „ნიკოლოზ ქვარიანი – საქართველო“ და სხვა ინფორმაცია მის შესახებ.

აღელვებული, მამის დახმარებით, გადავხტი ბარიერზე, რომელიც ცირკის არენას მაყურებელთა ლოჟებისგან ყოფდა და აკანკალებული ხელით ამაყად გავუწოდე სპორტსმენს ვარდების კონა, თან ადრე ნასწავლი ქართული სიტყვებით მივესალმე. ბატონი ნიკოლოზი დაიხარა და მხოლოდ მაკოცა. ჩემი საქციელი ძალიან მოეწონა მაყურებელს და ჩვენ მისი გაცხოველებული ტაშიც დავიმსახურეთ. ვფიქრობ, ამ ტაშის მცირე ნაწილი მეც მერგო.

თუმცა ყველაფერი კარგად როდი დასრულდა.

ბავშვების ცხოვრებაში ხშირად ხდება გულსატკენი მარცხი, რომელიც მათ მთელი სიცოცხლის მანძილზე ამახსოვრდებათ. ეს მეც არ ამცდა და იგი სწორედ იმ საღამოს, ცირკში მოხდა. თაიგულის მიწვდისას ერთ-ერთ ვარდს სულ გასცვივდა ფურცლები და ცირკის არენაზე მიმოიფანტა. ღმერთო ჩემო, რა დიდი სირცხვილი ვჭამე...

ქვარიანის გარდა, ყვავილების თაიგული იმ დღეს მხოლოდ უკრაინელმა ბელევიჩმა დაიმსახურა. როგორც შემდეგ გამოირკვა, იგი ერთ ვარშაველ ქალბატონს შეჰყვარებოდა და იგი მის ყოველ გამოსვლას მხურვალედ გულშემატკივრობდა. ეს თაიგული ლოჟის არენისაგან გამყოფ თეჯირზე იდო და როდესაც მოჭიდავე არენაზე გამოვიდა, მას იგი ცირკის მოსამსახურემ მიართვა. ბელევიჩი გულშემატკივარი ქალბატონის ლოჟას მიუახლოვდა და მდაბლად დაუკრა თავი მას. მსგავსი სცენები შემდგომ დღეებშიც განმეორდა, რადგან, როგორც ჩანს, ეს ქალბატონი ძლიერ იყო შეყვარებული თავის რჩეულზე, ხოლო ქართველები – თავის თანამემამულეზე.

ეს შეჯიბრება ქვარიანმა ბრწყინვალედ ჩაატარა. მან ლამაზად დაამარცხა შტეკერი. ეს ამ უკანასკნელის ერთადერთი დამარცხება იყო. ქართველები აღფრთოვანებულები იყვნენ ქვარიანის კარგი გამოსვლით. იგი მრავალმა ქართულმა ემიგრანტულმა ოჯახმა მიიპატიჟა. ქვარიანი, წესისამებრ, თავის მეუღლესთან, ამერიკელ ქალბატონთან ერთად დადიოდა სტუმრად. მე კარგად მახსოვს მათი ჩვენთან სტუმრობაც. ეს იყო დაუვიწყარი საღამო. ქართველებმა ერთობ მოილხინეს. იმ პერიოდში ვარშავაში ძირითადად ფრანგული ღვინოები ისმებოდა, მაგრამ მოხდა ისე, რომ ძმები პაკულსკების ცნობილმა ფირმამ სახელდობრ მაშინ შემოიტანა ვარშავაში ქართული ღვინოების დიდი პარტია და ქართველმა ემიგრანტებმა იმ საღამოზე სწორედ საკუთარი, ქართული ღვინო მიირთვეს. იმ დროიდან მახსოვს ქართული ღვინის – „ნაფარეულის“ სახელი...

მახსოვს ისიც, რომ პირველ ვახშამზე მამამ დედას სუფრაზე ხილის ვაზების მიტანა სთხოვა. სწორედ მათ უნდა შეეცვალა საქართველოში ღვინის სასმელად გამოყენებული ფიალები. ვინაიდან ასეთი ჭურჭელი ჩვენს სახლში საკმარისი არ აღმოჩნდა, მოსამსახურე გავიდა და მეზობლებთან ითხოვა. შემდგომი საღამოებისათვის ჩვენ უკვე მრავალი ფიალა შევიძინეთ. პოლონური ოჯახის პირობაზე ისინი ძალზე ბევრი იყო და არც ადვილად ტყდებოდა, რომ ცოტა მაინც შემცირებულიყო. ამიტომ მათ მიერ გამოწვეული პრობლემები ჩვენს ოჯახში თითქმის ვარშავის აჯანყებამდე გაგრძელდა, როდესაც ჩვენი სახლი მთლიანად გაიქურდა.

ასეთ საღამოებზე ძალზე საცოდავად გამოიყურებოდა ქვარიანის მეუღლე, ამერიკელი ქალბატონი. იგი, თუმცა ვერაფერს იგებდა ჩვენი ლაპარაკიდან, მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდა, იძულებული იყო მოთმინებით აეტანა ეს ყველაფერი.

შეჯიბრების დასრულების შემდეგ ქართველებმა ცოლ-ქმარ ქვარიანებს გამოსამშვიდობებელი საღამო მოუწყეს, სადაც ბატონ ნიკოლოზს ქართველთა ფონდის მიერ შეძენილი ძვირფასი საჩუქარი მიართვეს.

შეიძლება ითქვას, რომ გარკვეული თვალსაზრისით სიმბოლურიც იყო ეს საზეიმო საღამო. მას შემდეგ ქვარიანი საფრანგეთში დაბრუნდა, ხოლო პოლონელი ქართველები მთელ მსოფლიოში მიმოიფანტნენ, ბევრიც მეორე მსოფლიო ომს შეეწირა.

მე 1937 წელს მოვინახულე ქვარიანის სახლი და კაფე პარიზში. თავად იგი, სამწუხაროდ, ვერ ვნახე. სამუდამო საცხოვრებლად ამერიკაში გადასახლებულიყო...

მიუხედავად ამისა, როგორც ჩანს, ყველაფერი არ კვდება. ამის დასტურად თუნდაც ეს წერილიც გამოდგება, რომლითაც გარდასულ დღეებს ვიხსენებთ.

პოლონურიდან თარგმნა
**ამბროსი გრიშიკაშვილმა.**

მსოფლიო შტრიხებში

## ჩვენებურ ლელოს რომ მოგაგონებთ



**ეს კაცი, ბურთით ხელში ბრბოს რომ აუტაცნია, პრინცი ჩარლზია. ის ბრიტანეთის პატარა ქალაქ ეშბორნში ჩავიდა ტრადიციული საყველიერო ფეხბურთის მატჩის გასახსნელად.**

**ამ თამაშს მიიჩნევენ ყველაზე ძველ, ყველაზე გრძელ და ყველაზე უგუნურ თამაშად მსოფლიოში.**

**ათასობით ეშბორნელი მიესალმებოდა პრინცს ბრიტანეთის დროშებით მორთულ ქუჩებში. „დაე, ეს ეშბორნული ტრადიცია ცოცხლობდეს, რაც შეიძლება, დიდხანს ჩვენს დიდ ქვეყანაში!“ – ბრძანა პრინცმა, რის შემდეგ მისი ნატყორცნი დიდი ტყავის ბურთი რამდენიმე ასეული მოთამაშის ხელში აღმოჩნდა და დაიწყო ბრძოლა გამარჯვებისათვის.**

**„საყველიერო მატჩს“ თითქმის არავითარი საერთო არ გააჩნია თანამედროვე ფეხბურთთან, გარდა ტყავის ბურთისა, თუმცა, ისიც შედარებით დიდია, თანაც კარში კი არ უნდა გაიტანო ასმეტრიანი მინდვრის ბოლოს, არამედ უნდა მიიტანო სპეციალურ ბოძებთან, ერთმანეთისაგან სამი მილის (დაახლოებით 5 კილომეტრი) დაშორებით რომ ჩაურჭვიათ მიწაში. მოთამაშემ ბოძს ბურთი სამჯერ უნდა მიარტყას, მაშინ ის გატანილად ჩაითვლება.**

**ამ თამაშის წესებიც თავისებურია. აკრძალულია ბურთის გადატანა ტრანსპორტით, არ შეიძლება მატჩის გაგრძელება ღამის 12 საათის შემდეგ და, რაც მთავარია, ამ შეხვედრის დროს მოთამაშეებს ეკრძალებათ ერთმანეთის მოკვლა (?!). ბურთის წართმევა შეიძლება ნებისმიერი ხერხით.**

**ჩვენებური ლელო-ბურთი ხომ არ გახსენდებათ?**

**მეცნიერების აზრით, ეშბორნში მისი თამაში ჯერ კიდევ XII საუკუნეში დაიწყეს, წერილობით პირველად მას 1683 წელს იხსენიებენ.**

**1891 წლიდან ეს ტრადიციული თამაში ეშბორნში არ გამართულა მხოლოდ ორჯერ – 1968 და 2001 წლებში ჯილეხის ეპიდემიის გამო.**

## აჩუ, აქლემო, აჩუ!

**„თავისუფლების თასი“ – ასეთი პათოსური სახელით მონათლეს აქლემების მორიგი შეჯიბრება კუვეიტში. ეს ტურნირი მიეძღვნა ერაყის მონობისაგან კუვეიტის განთავისუფლების მეოცე წლისთავს.**

**აქლემების დოღი აღმოსავლეთის ერთ-ერთი ძალზე რთული შეჯიბრებაა, რადგან ძალზე ძნელია, ეს კუზიანი გიგანტი აიძულო, რაც შეიძლება, სწრაფად ირბინოს. აქლემი, როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, – წყნარი, დინჯი ცხოველია, იძულებით სირბილს ვერ იტანს, თუ გაბრაზდა, მოგაფურთხებს კიდევაც. მას მოფერება უფრო აამოძრავებს, თანაც მხედრის გამოცვლაც არ სიამოვნებს. ამბობენ, თუ „კაცურად“ სთხოვ, მთელ თავის მოქნილობას, სისწრაფეს გამოავლენსო.**

**აღსანიშნავია, რომ ამ უკვე ტრადიციულ ტურნირებში მონაწილეობენ, როგორც გამოცდილი ჟოკეები, ისე პატარა ბიჭებიც კი, თანაც, იმასაც უმატებენ, რომ წინასწარ ვერ განსაზღვრავ, თუ ვინ გაიმარჯვებსო.**



ათლეტიზმი

# ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად

## წონებთან მებრძოლი დავითი. II ნაწილი

**განვაგრძობთ** ათლეტურ კლუბ „გოლიათის“ (მწვრთნელი – საერთაშორისო კლასის ოსტატი უჩა ქორიძე) წამყვანი სპორტსმენის, ქვემძიმეწონოსანი (90 კგ-მდე კატეგორია) ტალანტის, საქართველოს ჩემპიონისა და რეკორდსმენის დავით ჯუკაშვილის ვარჯიშების დემონსტრირებას. უნდა აღინიშნოს, რომ დავითში ჰარმონიულადაა შერწყმული დიდი ფიზიკური ძალა და სხეულის შესანიშნავი აგებულება, რაც საკმაოდ იშვიათია.

დღეს გთავაზობთ მხრის ორთავა კუნთების (ბიცეპსების) ვარჯიშს იდაყვის მუხლზე დაყრდნობით ჯერ ერთი, ხოლო შემდეგ მეორე ხელისათვის დავით ჯუკაშვილის შესრულებით (სურ. 1, 2). ეს ვარჯიში კარგად ავითარებს ბიცეპსებს, რაც კარგად ჩანს მე-3 და მე-4 სურათებზე.

**ზურაბ ჭავჭანიძე.**
**ნაზი გოგიშვილის ფოტო.**













გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ალბომი

# ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



სახალხო დღესასწაული „ტბელობა“. სოფ. ხიხაძირი (ხულოს რაიონი). ზეიმის მონაწილეთა ერთი ჯგუფი 10.IX.1982 წ.

მოგვაწოდა სერგო დუმბაძემ.

ხსოვნა

## ვახტანგ ყურაშვილი



გარდაიცვალა შესანიშნავი მოქალაქე, საქართველოს დამსახურებული იურისტი, იუსტიციის გენერალი, საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის საპატიო წევრი **ვახტანგ ყურაშვილი**.

ვ. ყურაშვილი დაიბადა 1918 წელს, ქუთაისში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის წარჩინებით დამთავრებისთანავე — 1938 წლიდან მუშაობა დაიწყო პროკურატურის სისტემაში. 1940 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში.

ვახტანგ ყურაშვილი 1941-46 წლებში გაწვეული იყო საბჭოთა არმიის რიგებში. საბრძოლო დამსახურებებისათვის მიღებული აქვს მთავრობის მრავალი ჯილდო.

დემობილიზაციის შემდეგ, 1946 წელს, ვახტანგ ყურაშვილი დაინიშნა საქართველოს იუსტიციის სახალხო კომისრის მოადგილედ, პირველ მოადგილედ, 1947 წლიდან კი საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრად.

მოგვიანებით ვახტანგ ყურაშვილი დაინიშნა საქართველოს სსრ პროკურორის პირველ მოადგილედ. 1955 წლიდან კი იგი სამუშაოდ გადადის საქართველოს ადვოკატთა კოლეგიაში, სადაც კეთილსინდისიერად და წარმატებით მოღვაწეობდა სამ ათეულ წელზე მეტი ხნის მანძილზე.

ვახტანგ ყურაშვილი 1991 წელს აირჩიეს საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის საპატიო წევრად.

წავიდა ამ ქვეყნიდან დიდი დამსახურების მქონე პიროვნება, ღირსეული მოქალაქე და ოჯახის მამა, მაღალზნეობრივი პროფესიონალი და სამართლის სფეროს მოღვაწე, რომლის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მეგობრებისა და კოლეგების მეხსიერებაში.

მეგობართა ჯგუფი.

სილამაზე

# თბილისელი პროფესიონალების წარმატება

**10-12 თებერვალს უკრაინის დედაქალაქ კიევში გამართულ ღია მსოფლიო ჩემპიონატზე საპარიკმახერო ხელოვნების დარგში საპატიო მეორე გუნდური ადგილი დაიკავეს საქართველოდან წარგზავნილებმა, ხოლო ჩემპიონატის მონაწილეებს ნანა ომანაძეს, მარინა ყაჯრიშვილს, პატრიკ კასიმოვსა და სერგო სტეფანოვს პრიზები გადაეცათ.**

ყველაფერი კი ასე დაიწყო: ერთი წლის წინათ ჩამოაყალიბა ვარცხნილობის პროფესიონალმა ოსტატმა ნათელა იაშვილმა არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს პარიკმახერთა და კოსმეტოლოგთა კავშირი“, რომელიც რამდენიმე თვეში ფედერაციად გადაკეთდა.

ორგანიზაციის შექმნის იდეა დაიბადა მაშინ, როდესაც რამდენიმე თანამოაზრე მიხვდა, რომ დარგი უფსკრულის პირას იყო მისული. ფეშენებელური სალონები, რომლებიც ახლა დედაქალაქში ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვხდება, ვერ ცვლის მდგომარეობას, რა დასამალია, რომ უკვე ძნელია კვალიფიციური პროფესიონალის მიგნება, თუმცა, ჩვენ ტალანტები არ გვაკლია. ამას ემატება ისიც, რომ ხელმოკლეობის გამო კლიენტებს ელიტარული სპეციალისტთან მისვლა უჭირთ, აღარ ხდება კლასიფიკაციის მინიჭება პროფესიონალიზმის ნიშნით, დღეს ლამის ყოველ მიწისქვეშა გადასასვლელში შეუძლია მსურველს შესაბამისი მოწმობის მიღება, რაც უფრო ართულებს მდგომარეობას.

ქართველ ქალს კი მუდამ სურს ლამაზად გამოიყურებოდეს. არა იმიტომ, რომ ვინმეს თავი მოაწონოს, არამედ ის ელემენტარულად, შინაგანი ბუნებით არის ესთეტი.

ლამის მთელი საქართველო იცნობს თბილისელ პარიკმახერს ვაჟა მხითარიანს, მან სახელი თავისი ფანტაზიითა და ჯადოსნური ხელების წყალობით გაითქვა, საიდან არ ჩამოდიოდნენ მასთან კლიენტები. პროფესიონალმა 25 წელიწადი იმსახურა მშობლიურ თბილისში. მკითხველს შევახსენებ, რომ ბატონი ვაჟა თორმეტგზის ოქროს მედალოსანია. მათ შორის, მინიჭებული აქვს ისეთი პრესტიჟუი ჯილდო, როგორიც „ოქროს ვარდია“.

საქართველოს პარიკმახერთა და კოსმეტოლოგთა ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ნათელა იაშვილი გვიამბობს: — ვაჟა მხითარიანს მრავალ ქვეყანაში იწვევდნენ სამუშაოდ, მაგრამ მას მიაჩნია, რომ საქართველოს შვილია და აქ არის მისი ადგილი, ამიტომაც, როდესაც შეიტყო ჩვენი ორგანიზაციის არსებობის შესახებ, უყოყმანოდ დაგვთანხმდა ჩვენს შეთავაზებაზე — ყოფილიყო ფედერაციის პრეზიდენტი. ახლა მისი ხელშეწყობით და ხელმძღვანელობით მრავალი ისეთი იდეის განხორციელებას ვაპირებთ, რომელთა შემდეგ მნიშვნელოვანი ნაბიჯები უნდა გადაიდგას დარგში. ამჟამად ბატონი ვაჟა მოღვაწეობს მოსკოვში, აქვს თავისი სალონი და იქაურებსაც ანცვიფრებს თავისი ხელოვნებით.





რაც შეეხება ორგანიზაციას, აქ ჯერ ისევ სტრუქტურული ცვლილებებია მოსალოდნელი, ჩვენი კარი ყველასთვის მუდამ ღიაა. ფედერაციამ თავისი არსებობის მცირე ხნის მანძილზე არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება განახორციელა. შარშანდელ „თბილისობაზე“ ჩვენი ვარცხნილობებისა და კოსმეტილოგიური ხელოვნების ჩვენება დედაქალაქის ერთ-ერთი ღონისძიება გახლდათ.

უკვე ჩამოვაყალიბეთ სკოლა-კოლეჯი პროფესიონალების აღზრდის მიზნით. აქ, რა თქმა უნდა, სწავლა ფასიანია. ამასთან უსახსრო, მაგრამ ნიჭიერ ბავშვებს კონკურსის წესით ვარჩევთ და გადასახადისაგან ვათავისუფლებთ. ფედერაციაში მოქმედებს პროფესიული დახელოვნების ისეთი აღიარებული ფორმა, როგორიც არის მასტერ-კლასი. უკვე გავმართეთ პირველი სწავლება, რომელსაც 80 თბილისელი ხელოვანი დაესწრო. ლექციის წასაკითხად მოსკოვიდან ჩამოვიყვანეთ საერთაშორისო კლასის ოსტატი სერგეი სკაკუნოვი.

გარდა ამისა, უკვე გავმართეთ ოთხი ჩვენება, რომელშიც მონაწილეობდა 28 ხელოსანი და 76 მოდელი. ეს იყო უფრო შოუ. დარბაზი მაყურებელს ვეღარ იტევდა — მარტო ორ დღეში 500 ბილეთი გაიყიდა.

სულ ახლახან კაფე-ბარში „მირაჟი“ გაიმართა პროფესიული ხელოვნების ჩვენება. ფედერაციას აქვს სარეკლამო სააგენტო და მოდელების სააგენტო. დღენიადაგ ვზრუნავთ ახალი ტალანტების აღმოსაჩენად, პროფესიონალიზმის ასამაღლებლად.

რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, ამაზე ქალბატონი ნათელა ამბობს, რომ მარტიდან უკვე გაიმართება რაიონული კონკურსები დედაქალაქის მასშტაბით, რომლის გამარჯვებულნიც თბილისის საქალაქო ჩემპიონატში მიიღებენ მონაწილეობას. ხოლო წლეულს, შემოდგომაზე, დაგეგმილია თბილისში გაიმართოს საქართველოს ღია საერთაშორისო ჩემპიონატი.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს პარიკმახერთა და კოსმეტოლოგთა ფედერაცია არის პარიკმახერთა მსოფლიო ორგანიზაციის (OMC) წევრი, რაშიც დიდი დამსახურება სწორედ პრეზიდენტს ვაჟა მხითარიანს მიუძღვის. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მეშვეობით დაუკავშირდნენ OMC-ს პრეზიდენტს პიერ სისარის (საფრანგეთი), რომლისგანაც მიიღეს მადლობა და თანხმობა საქმიანი თანამშრომლობის გასაგრძელებლად. სწორედ ბატონი პიერი უგზავნის ქართველ სპეციალისტებს უახლეს მეთოდურ ლიტერატურას, კატალოგებს, ჟურნალებს და ასე იქმნება სრული საინფორმაციო ბაზა დარგის განვითარების უახლესი მიღწევების შესახებ.

და მაინც, გვირგვინი ფედერაციის საქმიანობისა გახლავთ კიევის ჩემპიონატი, რომელზეც წერილის თავშიც ვსაუბრობდით. ფედერაციის წევრი, ქალბატონი ნინო კონტრიძე სიამაყით გვიმხელს, რომ ვიცე-პრეზიდენტმა ნათელა იაშვილმა მოიპოვა საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის წოდება. იყო მეტად საპასუხისმგებლო ჟიურის წევრი, რაც უდავოდ დიდი პატივია ქართველი პროფესიონალისათვის. ჩვენი გუნდის წარმომადგენლებმა ზაზა ყაჯრიშვილმა და იური სტეპანოვმა კი მოიპოვეს საერთაშორისო კატეგორიის მწვრთნელების საპატიო წოდებები. კიევის ჩემპიონატი გახდა წინაპირობა იმისათვის, რომ ამიერიდან ქართველ სპეციალისტებს მიენიჭათ უფლება მოამზადონ და შეაფასონ ყველა საერთაშორისო დონის კონკურსები და ჩემპიონატები.

აქვე ერთი გადახვევა: კიევში გასამგზავრებლად ჩვენი გუნდის წევრებს თვითონ მოუწიათ სატრანსპორტო თუ სხვა სახის ხარჯის გაღება. ამიტომ ისინი დიდხანს აგროვებდნენ 500-500 ამერიკულ დოლარს, რითაც საშუალება ექნებოდათ ათი დღის განმავლობაში თავი შეენახათ უკრაინაში. აქვე ვიტყვით, რომ ჩვენებს იქ დახვდა თანამემამულე კოტე ყაველაშვილი, კიევში დაბადებულ-გაზრდილი კაცი, თავის სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული, რამდენიმე სალონის მეპატრონე და შესაბამისად, მათ კიდეც უმასპინძლა, რისთვისაც დიდი მადლობელი არიან.

წარმატებები ვუსურვოთ თბილისელ პროფესიონალებს.

**ლია ჭილაძე.**

**სურათზე: პარიკმახერი ნანა ომანაძე თავისი საქორწინო ვარცხნილობით; ვაჟა მხითარიანი.**



**მეუღლე ზინა ტრაპაიძე, შვილები ნესტანი, დარეჯანი, ზურაბი, ძმა ალექსანდრე, რძლები ტატიანა, ნორა, ეთერი, თალიკო, სიძეები რომანი, თენგიზი, ივიკო, ქვისლი ვაჟა, შვილიშვილები ნინო, ნანა, ნატო, ეკა, თამარი, ანა, თინა, ლევანი, რომანი, შვილთაშვილი ზუკა; ძმისწულები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**იური სილიბისტროს ძე ბერიშვილი**

**პანაშვიდი 11, 12 III, 4 სთ., დაკრძალვა 13 III, 3 სთ., თბილისი, შატბერაშვილის ხევი № 7.**

---

**ჯულია და ზურაბ მაჩაიძეები, ოჯახის წევრებთან ერთად თანაუგრძნობენ იროდიონ და ქეთევან მაჩაიძეებს**

**მეუღლის და დედის**

**გარდაცვალების გამო.**

---

**და ქეთევან, ძმა შალვა ელიავები, დისწული ირმა ხახანაშვილი, ძმისწულები შაკო, გულიკო, აზა ელიავები, შვილიშვილი ქეთა ლომსაძე, რძლები მალვინა ლორია, ქეთევან ტყეშელაშვილი, სიძე ბორის ლომსაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**ნათელა შალვას ასული ელიავა**

**პანაშვიდი 9, 10 III, 5 სთ., გამოსვენება 11 III, 3 სთ., თამარაშვილის 10. IV სადარბაზო.**

---

**ეთერ ქემერტელიძე ღრმა მწუხარებას გამოთქვამს თვალსაჩინო მეცნიერის და მეცნიერების ორგანიზატორის, ბრწყინვალე პიროვნების და ერთგული მეგობრის, აკადემიკოს**

**ელენე მეტრეველის**

**გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.**

---

**ნინო, მანანა, მემნუნე, მერი, თენგიზ, ლევან და ოთარ ჩარკვიანები, ზაზა და რევაზ ციციშვილები გულითადად თანაუგრძნობენ ციცო, ნუნუ და ნატო ხარაიშვილებს და მთელ მათ ოჯახებს დედის, ქალბატონ**

**ლეილა ლეჟავა-ხარაიშვილის**

**გარდაცვალების გამო.**

---

**რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.**

**რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!**

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-2002“

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, ვახტანგ ბელაშვილი, გურამ გოგიაშვილი, ბონდო გულიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი.

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24. სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა — sakresp@gol.ge